საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№26 (497)
17 - 23 ივლისი, 2019
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## სად მივყავართ თბილისური არეულობების კვალს 16





## «სააკაშვილი გეგმავს, ერთ-ერთი თავისიანი მოაკვლევინოს და დანაშაული გახარიას დააბრალოს» 4

„ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები პარლამენტში უნდა შეჭრილიყვნენ, მეუფეები — გრიგოლ ბერბიჭაშვილი და პეტრე ცაავა მზად იყვნენ, შეჰყოლოდნენ, რადგან სააკაშვილი მათ პატრიარქობას ჰპირდებოდა“

«ულირსი სამღვდელოება სააკაშვილს მისტირის»



ნანა კაკაბაძე:
## მაინცდა-მაინც ვინმე უნდა მოკლან და სახურავზე დააგდონ, როგორც 26 მაისს?! 6



## ქვეყანაში სოციალური აფეთქების გამოწვევა — «ნაციონალური მოძრაობის» მთავარი მიზანი 10

## უძლები «სამოქალაქო აქტივისტები» და მაღალხელფასიანი «პატრიოტიზმი» 8




## გვარამიასთვის რუსულ ფულს სუნი არ ასდის 9



რუსული ფულით პარლამენტში „შეთრეული დეპუტატები“ (გვარამიას ტერმინია) „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს თურმე ნერვებს უშლიან და იმავე რუსული ფულით დაფინანსებული ტელევიზია ნერვებს არ მოუშლის, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში საქმე პირადად მას და მის ჯამაგირს ეხება.

## 2050 წელს გერმანია მუსლიმანური ქვეყანა იქნება, საფრანგეთში კი 7 წლის შემდეგ ყველა მეხუთე მცხოვრები — მუსლიმი 3



## ისტორია რუსულად და ვირო მადლი ქართულად 11





მერაბ ზურაბაშვილი: 9
## გვარამიამ ის სიტყვები იმიტომ გვითხრა, რომ, თვითონ სულში ჩაფურთხებულს, უნდა, ჩვენც სულში ჩაგვაფურთხოს

მოვლენების კვალდაკვალ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრული ჭკუისა, საღად გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე, რატომ? — იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთ ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუა ნაკლებია, არ რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი“.**

# რას ნიშნავდა ტუსკის მოწოდება კოსმოპოლიტიზმისკენ



**ამა წლის 11-12 ივლისს ბათუმში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „საქართველოს ევროპული გზა“ სიტყვით გამოვიდა ევროპის საბჭოს პრეზიდენტი, პოლონელი დონალდ ტუსკი, რომელმაც ქართულად წაიკითხა ციტატა ვაჟა-ფშაველას წერილიდან „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“:**

„მინდა, გავიხსენო **ვაჟა-ფშაველა,** ერთ-ერთი დიდი კლასიკოსი და მისი სიტყვები პატრიოტებსა და კოსმოპოლიტებზე:

**„ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი პატრიოტია“,** — ამბობდა ვაჟა. ზოგი ადამიანი ამბობს, რომ ჭეშმარიტი პატრიოტიზმი გამორიცხავს კოსმოპოლიტიზმს. ეს ასე არ არის. ჭეშმარიტი პატრიოტი არის კოსმოპოლიტი და ყველა ნამდვილი და ჭეშმარიტი კოსმოპოლიტი არის ჭეშმარიტი პატრიოტი. ყველა კოსმოპოლიტი ემსახურება თავის ქვეყანას და ცდილობს, რომ უფრო განავითაროს ის. ეს გამოთქმა უკვე 100 წელზე მეტი ხნისაა და ეს თავისთავად მოწმობს გლობალიზაციას. ასი წლის წინათ ბრძანა ეს ბატონმა ვაჟამ და ეს გლობალიზაცია გულისხმობდა ადამიანებისა და ქვეყნების დაახლოებას“, — განაცხადა დონალდ ტუსკმა და ქართველებს მოგვიწოდა, კოსმოპოლიტები იყავითო.

კოსმოპოლიტიზმი, თანამედროვე გაგებით, — ეს არის მსოფლიოს მოქალაქეობის იდეოლოგია, რომელიც უარყოფს ეროვნულ თვითმყოფადობასა და ეროვნულ სუვერენიტეტს; ქადაგებს სამშობლოსადმი, ეროვნული კულტურისადმი გულგრილობას და წინა პლანზე აყენებს „მსოფლიოს სახელმწიფოს“, „მსოფლიოს მოქალაქეობის“ იდეას.

კარგი იქნებოდა, ბატონ ტუსკს ზემოხსენებული წერილის — „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმის“ — ბოლო, დასკვნითი ნაწილიც წაეკითხა, რომელშიც გენიალური ვაჟა-ფშაველა წერს: **„ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრული ჭკუისა, საღად გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე, რატომ? — იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთ ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუა ნაკლებია, არ რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი...**

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: **გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მათ საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი მათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისივე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებასა და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს, ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარყოს თავისი თავი.** ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თვითონ მოუაროს თავს, საკუთარის ძალღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელი კაცობრიობის განვითარების“.

მართლაც, ამაზე კარგად ვერ იტყვი!

ერთი რამ აღსანიშნავია: ტუსკი და, საერთოდ, დასავლელი „სტრატეგიული მეგობრები“ კოსმოპოლიტიზმში სწორედ ეროვნული ტრადიციებისა და ფასეულობების დავიწყებას ან სხვა ქვეყნის ფასეულობებში ათქვეფას, ანუ სამშობლოს, ეროვნული სახელმწიფოს უარყოფას გულისხმობენ.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**«კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მათ საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი მათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისივე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებასა და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს, ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარყოს თავისი თავი»**





# გერმანიის თავდაცვის მინისტრმა, სჯობს, გაიხსენოს, რით დასრულდა გერმანიისთვის რუსეთთან «ძალის პოზიციიდან» ლაპარაკი

**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამჟამინდელმა თავდაცვის მინისტრმა (განათლებით ექიმმა) ურსულა ფონ დერ ლაიენმა, რომლის კანდიდატურაც ევროკომისიის თავმჯდომარის პოსტზეა წარდგენილი (შეცვლის ჟან-კლოდ იუნკერს), 10 ივლისს ევროპარლამენტში გამოსვლისას ევროპის ქვეყნებს მოუწოდა: რუსეთთან დიალოგი უნდა ვაწარმოოთ „ძალის პოზიციიდან“-ო, და დასძინა, რომ მხარს უჭერს არა „ევროპის არმიას“, არამედ „ევროპელთა არმიას“.**

ამ ქალბატონს, 7 შვილის დედას, ჯერ გერმანიის ოჯახური საკითხებისა და შემდეგ შრომისა და სოციალური საკითხების ექსმინისტრს, ამჟამად ბუნდესვერის (გერმანიის შეიარაღებული ძალების) ხელმძღვანელს, ეტყობა, ისტორიის სახელმძღვანელოს წასაკითხად დრო არ ჰქონდა ან, რაც ისწავლა, დაავიწყდა, რადგან ვინ-ვინ და გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ყველაზე კარგად უნდა იცოდეს, როგორ და რით დასრულდა 80 წლის წინათ რუსეთთან „ძალის პოზიციიდან“ დიალოგი, რით დასრულდა 1939 წელს გერმანელების მიერ გაჩაღებული II მსოფლიო ომი, რომელშიც იმხანად მსოფლიოში არსებული 73 სახელმწიფოდან 62 მონაწილეობდა და რომელმაც 60 მლნ-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის, 7,1 მლნ გერმანელისა და 300-ზე მეტი ქართველის.

ან რით დასრულდა ფრანგი **ნაპოლეონ ბონაპარტის** არმიების თავდასხმა 1812 წელს რუსეთზე. ამ ომებში, რომელშიც ქართველი გენერლებიც მონაწილეობდნენ (1812 წლის ომში: **პეტრე ბაგრატიონი, ძმები ფანჩულიძეები, ძმები იაშვილები** და სხვ. 1941-45 წლების ომში — **ლესელიძე, კაკუჩაია, ბერია, სტალინი...)** ბერლინამდე და პარიზამდე სდიეს „ძალის პოზიციიდან“ მოლაპარაკე მომხდურებს, სხვათა შორის, ნაპოლეონს ყველაზე დიდი დამარცხება გერმანიის ქალაქ ლაიფციგთან (1813 წელს) აგემეს რუსებმა, 1945 წლის 9 მაისს კი ქალბატონ ურსულას სამშობლოს დედაქალაქის — ბერლინის თავზე, რაიხსტაგზე, სწორედ ქართველმა **მელიტონ ქანთარიამ** და რუსმა **მიხეილ ეგოროვმა** აღმართეს გამარჯვების დროშა.

ურსულა ფონ დერ ლაიენის ამ განცხადებაში აშკარად გამოსჭვივის ევროკავშირის მისწრაფება რუსეთთან კონფრონტაციისკენ „ძალისმიერი მეთოდებით“. „დემოკრატიულ“ დასავლეთს ამ კონფრონტაციაში საქართველო საომარ პოლიგონად სჭირდება, ქართველები კი — საზარბაზნე ხორცად.

დიდი ანალიტიკოსობა არ სჭირდება იმის გამოცნობას, რით დასრულდება დასავლეთისა და რუსეთის კონფრონტაცია იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ქვეყანა საომარი მოქმედებების პოლიგონად გადაიქცევა, ამიტომ დროა, საღ აზრს მოვუხმოთ, ამ ე.წ. კეთილმოსურნე „სტრატეგიული პარტნიორების“ დაკრულზე ცეკვას თავი დავანებოთ და ჩვენი ბედი არა სხვისი, არამედ ჩვენივე ინტერესების, საჭიროებების მიხედვით გადავწყვიტოთ.

**ნიკა კორინთელი**

**დიდი ანალიტიკოსობა არ სჭირდება იმის გამოცნობას, რით დასრულდება დასავლეთისა და რუსეთის კონფრონტაცია იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ქვეყანა საომარი მოქმედებების პოლიგონად გადაიქცევა, ამიტომ დროა, საღ აზრს მოვუხმოთ, ე.წ. კეთილმოსურნე «სტრატეგიული პარტნიორების» დაკრულზე ცეკვას თავი დავანებოთ და ჩვენი ბედი არა სხვისი, არამედ ჩვენივე ინტერესების, საჭიროებების მიხედვით გადავწყვიტოთ**

**ევროკავშირის 31 ქვეყანაში შობადობის საშუალო კოეფიციენტი 1,38 ბავშვია ოჯახზე. ისტორიული მონაცემები მიუთითებს, რომ ასეთ შემთხვევაში ერის გაქრობის პროცესი შეუქცევადია. წლების შემდეგ ისეთი ევროპა, როგორიც ჩვენ ვიცით, აღარ იარსებებს.**

დემოგრაფიული კატასტროფა ევროპაში
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 2050 წელს გერმანია მუსლიმანური ქვეყანა იქნება, საფრანგეთში კი 7 წლის შემდეგ ყველა მეხუთე მცხოვრები — მუსლიმი





**მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მოსახლეობამ იმ ზღვარს მიაღწია, რომლის იქით შობადობის რაოდენობრივი მაჩვენებელი აღდგენის (აღწარმოების) დონეს ძალიან ჩამორჩება და, თუ არაფერი შეიცვლება, ამ ქვეყნებში მცხოვრები მკვიდრი და ჩასული მოსახლეობის თანაფარდობა მნიშვნელოვნად შეიცვლება. „ევროპის მამებმა“ დემოგრაფიული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ერთ საშუალებას მიმართეს: თავიანთ ქვეყნებში შეჰყავთ მიგრანტები, როგორც ფიქრობდნენ, განსაზღვრული რაოდენობით, მაგრამ ამ პრობლემამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო და ახლა ევროპაში, საითაც ასე გამალებით მიერეკება ქართველებს ქვეყნის ხელისუფლება, კატასტროფული ვითარებაა; ისეთი, რომ, სპეციალისტების პროგნოზით, გერმანია 2050 წელს მუსლიმანური ქვეყანა იქნება, საფრანგეთში კი ყოველი მე-5 მცხოვრები — მუსლიმი. ანალოგიური ვითარებაა ევროპის სხვა ქვეყნებშიც — ჰოლანდიაში, ბელგიაში და სხვ. თუმცა ეს მონაცემები, რომლებსაც ქვემოთ გთავაზობთ, დაახლოებით 7-8 წლის წინანდელია და დღეს ვითარება შეიძლება კიდევ უფრო მძიმე იყოს.**

მეცნიერთა კვლევების თანახმად, ერმა 25 წელიწადზე მეტი რომ იცხოვროს, შობადობის კოეფიციენტი **2,11 ბავშვი** უნდა იყოს ერთ ოჯახზე, თუ ამაზე ნაკლებია, ერი გაქრება. კაცობრიობის ისტორიაში ვერც ერთმა ერმა ვერ შეძლო აღდგენა-განვითარება, როცა შობადობის კოეფიციენტი იყო **1,9 ბავშვი**, ხოლო **1,3** კოეფიციენტის შემთხვევაში ერის დემოგრაფიული განვითარება შეუძლებელია, იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში აღდგენას დასჭირდება 80-დან 100 წლამდე პერიოდი.

ეკონომიკური მოდელი კი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში შეძლებდა ერის არსებობის შენარჩუნებას, არ არსებობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **თუ არის მშობელთა ორი წყვილი და მათ ჰყავთ თითო-თითო შვილი, ე.ი., ბავშვები ორჯერ ნაკლები არიან, ვიდრე მშობლები, თუ ამ ბავშვებს ეყოლებათ თითო შვილი, მაშინ შვილიშვილები მშობლებზე 4-ჯერ ნაკლებნი იქნებიან. როდესაც მცირდება პოპულაცია, მცირდება ერიც.** შობადობის კოეფიციენტი **საფრანგეთში** ამჟამად არის 1,8, **ინგლისში** — 1,6, **საბერძნეთში** — 1,3, **იტალიაში** — 1,2, **ესპანეთში** — 1,1. ევროკავშირის 31 ქვეყანაში შობადობის საშუალო კოეფიციენტი 1,38 ბავშვია ოჯახზე. ისტორიული მონაცემები მიუთითებს, რომ ასეთ შემთხვევაში ერის გაქრობის პროცესი შეუქცევადია. წლების შემდეგ ისეთი ევროპა, როგორიც ჩვენ ვიცით, აღარ იარსებებს. მიუხედავად ამისა, ევროპის მოსახლეობა არ მცირდება. რატომ? ამის მიზეზი იმიგრაციაა.

1990 წლიდან ევროპაში მოსახლეობის 90%-ით მატება განპირობებულია ისლამური იმიგრაციით.

საფრანგეთი: 1,8 ბავშვი ოჯახზე, მუსლიმანები — 8,1.

20 წლამდე მოზარდთა 30% მუსლიმანია. ნიცაში, მარსელში პარიზში და სხვა დიდ ქალაქებში ამ მაჩვენებელმა 45%-ს მიაღწია.

2027 წელს ყოველი მეხუთე ფრანგი მუსლიმანი იქნება. ბოლო 30 წლის განმავლობაში ინგლისში აზიური წარმოშობის მოსახლეობის რაოდენობამ 82000-დან 2500000-ს მიაღწია, ანუ 30-ჯერ მოიმატა. იქ 1000-ზე მეტი მეჩეთია, რომელთა შორის ბევრია ყოფილი ეკლესია.

**ჰოლანდიაში** ახალშობილთა 50% არაბია და 15 წლის შემდეგ **ჰოლანდიის** მოსახლეობის ნახევარი მუსლიმანი იქნება. **ბელგიაში** მოსახლეობის 25% და ახალშობილთა 50% მუსლიმანია. **2025 წლისთვის ევროპელი ბავშვების 1/3 მუსლიმანურ ოჯახებში დაიბადება. გერმანიის მთავრობა იძულებული შეიქნა, ეს საჯაროდ განეცხადებინა და ეთქვა, რომ გერმანელთა შობადობის შემცირების შეჩერება უკვე შეუძლებელია. ახლა ეს უკვე შეუქცევადი პროცესია.**

**2050 წელს გერმანია ისლამური სახელმწიფო იქნება.**

ლიბიის პრეზიდენტმა **მუამარ კადაფიმ**, რომელიც დასავლეთის მიერ დაბომბილ ლიბიაში ამბოხებულებმა მხეცურად მოკლეს, განაცხადა:

**„როგორც ჩანს, ალაჰი ჩვენ ევროპაში გამარჯვებას ხმლისა და იარაღის გარეშე, დაპყრობის იარაღის გარეშე გვაჩუქებს, ჩვენ არ გვჭირდება ტერორისტები, თვითმკვლელები, სულ რაღაც, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ 50 მილიონი არაბი ევროპას მუსლიმანურ კონტინენტად გადააქცევს“.**

იმავეზე მიუთითებს რიცხვები კანადაშიც: ამჟამად იქ შობადობის კოეფიციენტი 1,6 ბავშვია ერთ ოჯახზე. ეს საჭიროზე ნაკლებია. აუცილებელია, რომ ეს კოეფიციენტი 2,11 იყოს. ამერიკის შეერთებულ შტატებში შობადობის მიმდინარე კოეფიციენტი 1,6-ია. ლათინურ ერებსა და იმიგრანტებთან ერთად ეს მაჩვენებელი **2,11-ს** აღწევს. ეს არის მინიმუმი, რომელიც საჭიროა ერის არსებობის შესანარჩუნებლად.

**1970 წელს აშშ-ში ცხოვრობდა 100 000 მუსლიმანი, ამჟამად 9 მილიონზე მეტია.**

**მსოფლიო იცვლება.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**P.S.** შობადობის რაოდენობრივი კოეფიციენტი — ეს **არის საშუალო რაოდენობა იმ ახალშობილებისა, რომლებსაც ყოველი ქალი სიცოცხლის განმავლობაში აჩენს. ეს მაჩვენებელი განსხვავდება შობადობის დონის განმსაზღვრელი მონაცემისგან, რომელიც აღნიშნავს ახალშობილთა რაოდენობას ყოველ 1000 ადამიანზე წლის განმავლობაში, როცა შობადობის რაოდენობრივი კოეფიციენტი ეცემა და 2,1-ს ქვემოთ რჩება, მოსახლეობის რაოდენობაც მცირდება.**

**საქართველოში, რომლის მოსახლეობა, 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, 3,7 მლნ-ია, შობადობის კოეფიციენტი 2018 წელს 2-ის (ეს მონაცემი აღებულია ვებგვერდ at.ge-დან) ტოლი იყო.**

## შობადობის კოეფიციენტი სხვადასხვა ქვეყანაში




# გაბუნიას გამოსვლა, მისი გაუნათლებლობის, უკულტურობისა და უზრდელობის დემონსტრაცია იყო

## ომის ვეტერანების აღშფოთება

**დიდი სამამულო ომის ვეტერანები საშინლად აღგვაშფოთა ა.წ. 7 ივლისს „რუსთავი 2“-ის წამყვან გიორგი გაბუნიას უწმაწურმა, შეურაცხმყოფელმა მიმართვამ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისადმი. საშინელი მოსასმენი იყო ამ უზარმაზარი ქვეყნის პრეზიდენტის უცენზურო სიტყვებით ლანძღვა და, საერთოდ, როგორ შეიძლება ტელეეთერში ასეთი ლექსიკით საუბარი?!**

გაბუნიას თავხედური გამოსვლა არაფრით განსხვავდებოდა ქუჩის ბიჭის საქციელისაგან. მისი საუბარი არანაირ ეთიკურ ნორმებში არ ჯდებოდა. მან ფსიქიკურად არანორმალური ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. თავისი ბინძური გამოსვლით გაბუნიამ შეურაცხყო არა იმდენად რუსი ხალხი და მისი პრეზიდენტი, არამედ, უწინარესად, ჩირქი მოსცხო ქართველ ერს, ქართულ კულტურას. მართალია, დღეს რუსეთთან საომარ მდგომარეგობაში ვიმყოფებით, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს, ასე სამარცხვინოდ, ქართული კულტურისთვის მიუღებელ სტილში ვლანძღოთ იგი.

აი რას წერს რუსი დიპლომატი დიმიტრი პესკოვი გაბუნიას თავხედურ გამოსვლაზე: **„რაც შეეხება ჩვენი ქვეყნისა და პრეზიდენტის შეურაცხყოფას, რა თქმა უნდა, მიუღებლად მიგვაჩნია და ვგმობთ, მაგრამ ასეთი რამ არ არის ღირსეული საქციელი კულტურული ტრადიციებით მდიდარი ქართველი ხალხის მხრიდან და სამარცხვინო ქმედებაა“.** ძნელია, არ დაეთანხმო! სამწუხაროდ, არაფერი გვაქვს სათქმელი. გაბუნიას გამოსვლა მისი სიბეცის, გაუნათლებლობის, უკულტურობისა და უზრდელობის დემონსტრაცია იყო. ასეთ ადამიანებს რა ესაქმებათ ტელევიზიაში?! სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ქვეყანაში წესრიგი არ არის, თორემ, ასეთი რამ როგორ უნდა ხდებოდეს?! სიმართლე უნდა ითქვას: ხელისუფლებას თავის დროზე ნაციონალებისთვის თავისი ადგილი რომ მიეჩინა კანონის ფარგლებში, დღეს ქვეყანაში წესრიგი გვექნებოდა.

ომის ვეტერანები ვგმობთ გაბუნიას ყოვლად უმსგავსო, ამაზრზენ გამოხდომას და ძალიან გვტკივა გული, რომ მომავალ თაობას ასეთ მოუწესრიგებელ ქვეყანას ვუტოვებთ!

ჩვენ დიდ სამამულო ომში ამისთვის არ გვიბრძოლია.

**დიდი სამამულო ომის ვეტერანების სახელით:**
**შოთა ბუაძე,**
**იოსებ ტუხაშვილი,**
**ტარას იჩქიტიძე,**
**გიორგი ნონიკაშვილი**

ხმა ბერისა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„3 საათის განმავლობაში იცავდა პოლიცია თავს, პარლამენტის შენობას. ვხედავდით სახელმწიფო ორგანოს ხელში ჩაგდების მცდელობას. ბუნებრივია, აუცილებელი შეიქნა გავეშებული ხალხის შეტევის შეჩერება. აქციები გაგრძელდა რუსთაველზე და ნაციონალთა ბნელი ძალების მარათონად გადაიქცა. სამშობლოს სიყვარულის მცნებას ძალიან დაშორდნენ. ჭეშმარიტი ხალხი მალევე შემოეცალათ, სამაგიეროდ, ნარკომანები და მამათმავლები მიემატათ“.**

# მამა ბასილ მკალავიშვილი: სააკაშვილი გეგმავს, ერთ-ერთი თავისიანი მოაკვლევინოს, დანაშაული დაბრალდება «ოცნებას», კონკრეტულად კი — გიორგი გახარიას, რომელმაც საქართველო იხსნა სახელმწიფო გადატრიალებისგან

## «ვეკითხები სააკაშვილის დატოვებულ ლეკვებს, უწყინარ ბატკნებად რომ წარმოაჩენენ თავს: რატომ დახვრიტეს გურამ შარაძე?»

**გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილ მკალავიშვილი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აფასებს და იხსენებს „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდს, როცა ამ რეჟიმთან დაპირისპირების გამო სააკაშვილის გარემოცვის წევრებმა: გიგა ბოკერიამ და სხვებმა მასზე შური იძიეს და ციხეში 5 წლით გამოამწყვდიეს.**

**— მამაო, როგორ შეაფასებთ საქართველოში მიმდინარე ბოლოდროინდელ მოვლენებს?**

— მე, როგორც სასულიერო პირი, რეგულარულად ვაფრთხილებდი მთავრობის წარმომადგენლებს სავალალო შედეგების შესახებ, რომლის მოწმენიც ვართ, მაგრამ ჩემი შეგონება რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და, ფაქტობრივად, საომარი მდგომარეობის ზღვარზე აღმოვჩნდით. ყოველივე ამის ავტორია პირსისხლიანი **სააკაშვილი,** რომელიც მისი მამობილის, **ჯორჯ სოროსის,** მითითებით მოქმედებს. უკრაინაში დასაჭერად აქვს საქმე და ცდილობს, რაც შეიძლება მალე ჩამოვიდეს საქართველოში, რადგან აქ ელოდებიან თავისი ლეკვები „ნაცმოძრაობისა“ და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლების სახით, რომლებიც ყველანაირ ხერხს მიმართავენ არეულობის გამოსაწვევად, რითაც ისარგებლებს სააკაშვილი ხელისუფლებაში დასაბრუნებლად. ჩემს ინტერვიუებში ვურჩევდი ბატონ ბიძინა ივანიშვილს, უარი ეთქვა ნაციონალებთან კოაბიტაციაზე, ჩამოეშორებინა რესპუბლიკელები. მან კი მათი ლიდერი **დავით უსუფაშვილი** პარლამენტის თავმჯდომარედ დაგვისვა, ხოლო მის მეუღლე **თინა ხიდაშელს** თავდაცვის მინისტრის პოსტი უბოძა. ახლა კი ორთავენი ივანიშვილის განქიქებით არიან დაკავებულნი. თინა ხიდაშელმა ურცხვად ისიც კი განაცხადა, მთავარი პროკურორი რომ ვყოფილიყავი, **გახარიას** აქამდე დავაპატიმრებდიო. გასაკვირი არაფერია, რადგან ისინი სარწმუნოებისგან შორს დგანან, მთელი არსებით მამათმავალთა დამცველნი არიან. სწორედ ამ გაუთვლელმა ნაბიჯებმა მიგვიყვანა არეულობამდე.

**— მამაო, საზოგადოებამ ვნახეთ, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის წინაშე ვიდექით. თქვენ, როგორც მრავალჭირვარამგამოვლილს, დღევანდელი მოვლენები წარსულს ხომ არ გაგონებთ?**

— ცოტა შორიდან დავიწყებ: ჩვენ ვიწვნიეთ 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალება, როცა არჩეული პრეზიდენტი მუხანათურად განდევნეს სამშობლოდან; ვნახეთ, როგორ უღალატა მას გარემოცვამ, შემდეგ როგორ მოკლეს. ამ პროცესებს მოსკოვიდან დირიჟორობდა **შევარდნაძე,** რომელსაც იქ დასაჭერად ჰქონდა საქმე და რომელიც შემდეგ მისმა ლეკვებმა ზარ-ზეიმით ჩამოიყვანეს საქართველოში და პრეზიდენტად დასვეს. იმ საცოდავებმა ვერ გათვალეს, რომ შევარდნაძე პირველად მათ მოიშორებდა. მართლაც, ჯერ **გია ჭანტურია** გაისტუმრა იმქვეყნად, შემდეგ — **გია გულუა, შოთა კვირაია** და **ჯაბა იოსელიანი.** ყველა მოიშორა, ვისაც მოაკვლევინა ზვიად გამსახურდია, რამეთუ არ გამჟღავნებულიყო პრეზიდენტის მკვლელი. **ამის შემდეგ დაიწყო ზვიადის მომხრეთა საშინელი ტერორი: ციხეებში გამომწყვდევა, სამსახურებიდან დათხოვნა, ეკლესიებიდან მორწმუნეთა გამოყრა. ერთადერთი მღვდელი ვიყავი, რომელმაც შევიფარე საქართველოსთვის თავდადებულნი, მაგრამ მეც არ დამინდეს — ჩემივე აშენებული ეკლესიიდან პოლიციის ძალით გამოგვდევნეს. ამისთვის მივიღეთ უფლისგან სასჯელი, რადგან ამის შემდეგ წყვდიადში მივაბიჯებთ. დღემდე ვერ გაგვიხარია.**

**— იქნებ 2003 წელიც გაგვიხსენებინა...**

— როგორც ვიცით, ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ძალისმიერი მეთოდით შევარდნაძემ გაუმზადა გზა. **სანამ ეს სატანის მსახურნი, სააკაშვილის ხელმძღვანელობით, პარლამენტში შეიჭრებოდნენ, მე ჩემი მრევლით გურამ შარაძესთან ერთად პარლამენტის წინ 5 დღის განმავლობაში ვიდექი, რათა ისინი არ შესულიყვნენ პარლამენტში, მაგრამ ნაძირალა სააკაშვილმა შეძლო ხალხის გარკვეული ნაწილის გადაბირება და ჩვენ უძლურნი აღმოვჩნდით. იმისთვის, რომ მათ წინააღმდეგობას ვუწევდით (მით უმეტეს კათომოძულე სააკაშვილი მწარედ ვამხილე) შურისძიებამაც არ დააყოვნა — 5 წლით გამომაწყვდიეს ციხეში, ბატონი გურამ შარაძე კი დღისით-მზისით შუაგულ ქალაქში დახვრიტეს. სააკაშვილის დატოვებულ ლეკვებს ვეკითხები, უწყინარ ბატკნებად რომ წარმოაჩენენ თავს: რატომ დახვრიტეს გურამ შარაძე?**

ამის შემდეგ გამოვიარეთ სააკაშვილის 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმი, რომელმაც რა ტანჯვა-წამება გამოატარა ჩვენს ერს, ყველამ ვიცით. ყოველივე ამის გახსენება მიწევს, რადგან 1990-იანი წლებიდან დღემდე ბევრჯერ დავდეთ ერის ბედი სასწორზე. აქედან გამომდინარე, სარწმუნოება და ყველა საბედისწერო მოვლენა ჯაჭვივით ერთმანეთზეა გადაბმული.

**— რადგან ასე ქრონოლოგიურად მივყვებით, მგონი, მოვედით დღევანდელ განსაცდელთანაც.**

— ამჯერადაც მსგავსი განსაცდელის წინაშე ვდგავართ. იყო პარლამენტში შეჭრისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. აქ შეიძლება რამდენიმე ეტაპი განვიხილოთ, რომლებიც თავიდანვე კარგად გათვლილი და დაპროგრამებული იყო, რადგან სააკაშვილი გაწვრთნილია ასეთ საქმეში. პირველ დღეს, როცა შეძლეს ხალხის მობილიზება,



**«უღირსი სამღვდელოება სააკაშვილს მისტირის. მაშინ, როცა «ნაცმოძრაობის» წარმომადგენლები პარლამენტში უნდა შეჭრილიყვნენ, მეუფეები — გრიგოლ ბერბიჭაშვილი და პეტრე ცაავა მზად იყვნენ, შეჰყოლოდნენ მათ, რადგან სააკაშვილი მათ პატრიარქობას ჰპირდებოდა»**

ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი რუსი დეპუტატის პარლამენტში ყოფნის გამო შეიძლება ყოფილიყო საპროტესტოდ მისული, მაგრამ შემდეგ განვითარებულ მოვლენებში საზოგადოებამ სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ახალგაზრდები კი არა, სააკაშვილის მიერ მართული პიროვნებები იხილა, რომლებმაც წააქეზეს მოტყუებული ახალგაზრდები და პირდაპირ იერიშზე გადავიდნენ. **3 საათის განმავლობაში იცავდა პოლიცია თავს, პარლამენტის შენობას. ვხედავდით სახელმწიფო ორგანოს ხელში ჩაგდების მცდელობას. ბუნებრივია, აუცილებელი შეიქნა გავეშებული ხალხის შეტევის შეჩერება. აქციები გაგრძელდა რუსთაველზე და ნაციონალთა ბნელი ძალების მარათონად გადაიქცა. სამშობლოს სიყვარულის მცნებას ძალიან დაშორდნენ. ჭეშმარიტი ხალხი მალევე შემოეცალათ, სამაგიეროდ, ნარკომანები და მამათმავლები მიემატათ.**

მივმართავ ახალგაზრდებს, რათა გააცნობიერონ, რომ სატანური სექტისა და მამათმავლების გვერდით დგანან. არ ეგონოთ, სააკაშვილის ხელისუფლებაში კვლავ მოსვლის შემთხვევაში თანამდებობებს დაურიგებენ. პირიქით, ისე მოიშორებენ, როგორც ეს შევარდნაძემ გააკეთა. დროზე მოეგეთ გონს, დაუბრუნდით თქვენს საქმეს!

**— მამაო, რას გვეტყვით „ნაცმოძრაობის“ აქტიური წევრების როლზე?**

— რომელ აქტიურ წევრებზეა ლაპარაკი, პოლიციას რომ შეატოვეს აქციის მონაწილეები და თვითონ უსაფრთხო ადგილას მიიმალნენ? „ნაცმოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“ (პრინციპში ერთნი არიან) იმ ცოლ-ქმარს ჰგვანან, რომლებიც წამდაუწუმ ჩხუბობენ და რიგდებიან. მათი ლიდერები ტურებივით დგანან აქციის გარშემო და ჟურნალისტებს ელოდებიან, ინტერვიუ რომ მისცენ და ტელევიზორში გამოჩნდნენ.

მინდა, ერთი საიდუმლო გაგანდოთ: **სააკაშვილი გეგმავს, ერთ-ერთი თავისიანი მოაკვლევინოს, დანაშაული დაბრალდება „ოცნებას“, კონკრეტულად კი — გიორგი გახარიას, რომელმაც საქართველო იხსნა კიდევ ერთი გადატრიალებისგან.**

**— რის საფუძველზე აკეთებთ ასეთ განცხადებას?**

— ეს სააკაშვილის ჩვეული წესია. 2012 წელს სააკაშვილმა არჩევნების წინ ბრძანება გასცა, მოეკლათ ძმები **ახალაიები,** მაგრამ მათ შეიტყვეს და განერიდნენ საქართველოს. შეგიძლიათ ჰკითხოთ მათ, დაგიდასტურებენ.

**— მამაო, 2006 წელს ციხის ბუნტის დროს პატიმარი იყავით, ბუნტის შესახებ ინტერვიუებში ხშირად ახსენებთ ბოკერიას...**

— ეს იყო წინასწარ გათვლილი ბუნტი, რომელიც დაიგეგმა ორი კვირით ადრე შავნაბადას რეზიდენციაში. დაგეგმვაში მონაწილეობდნენ **სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ძმები ახალაიები** და მთავარი მონსტრი, რომელსაც დაევალა ბუნტის ხელმძღვანელობა — გიგა ბოკერია. ციხეში ის ნიღბით იყო მოსული, ბრძანებებს იძლეოდა: ესროლეთ, ჩაცხრილეთ! მართლაც, 7 გარდაცვლილი მიიყვანეს „რესბალნიცაზე“. სხვა პატიმრებთან ერთად ყველა მიცვალებული მორგში შევასვენეთ. ერთმა პატიმარმა, გვარად **ღვინიაშვილმა,** ვერ აიტანა მიცვალებულთა ყურება, გული გაუსკდა და გარდაიცვალა. აი, ეს არის ბოკერიას ნამდვილი სახე, რვა კაცის მკვლელის, დღეს პარლამენტთან რომ დგას და ხელისუფლებაში დაბრუნებას შტურმითა და გადატრიალებით რომ ცდილობს. ამ ინფორმაციას **ელენე თევდორაძეც** დაგიდასტურებთ. საინტერესოა, რატომ არ იჭერენ ბოკერიას?!

▶

„მივმართავ ახალგაზრდებს, რომ გააცნობიერონ, სატანური სექტისა და მამათმავლების გვერდით რომ დგანან. არ ეგონოთ, სააკაშვილის ხელისუფლებაში კვლავ მოსვლის შემთხვევაში თანამდებობებს დაურიგებენ. პირიქით, ისე მოიშორებენ, როგორც ეს შევარდნაძემ გააკეთა. დროზე მოეგეთ გონს, დაუბრუნდით თქვენს საქმეს!“

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „სანამ ეს სატანის მსახურნი, სააკაშვილის ხელმძღვანელობით, პარლამენტში შეიჭრებოდნენ, მე ჩემი მრევლით გურამ შარაძესთან ერთად პარლამენტის წინ 5 დღის განმავლობაში ვიდექი, რათა ისინი არ შესულიყვნენ პარლამენტში, მაგრამ ნაძირალა სააკაშვილმა შეძლო ხალხის გარკვეული ნაწილის გადაბირება და ჩვენ უძლურნი აღმოვჩნდით. იმისთვის, რომ მათ წინააღმდეგობას ვუწევდით (მით უმეტეს, კაცთმოძულე სააკაშვილი მწარედ ვამხილე) შურისძიებამაც არ დააყოვნა — 5 წლით გამომაწყვდიეს ციხეში, ბატონი გურამ შარაძე კი დღისით-მზისით შუაგულ ქალაქში დახვრიტეს



გლდანის ეკლესიის დარბევა

## «ულირსი სასულიერო პირების მომრავლებამ, რომლებსაც წლების განმავლობაში მართავდნენ ბოკერია და ძმანი მისნი, მათმა მზაკვრულმა გეგმებმა კატასტროფამდე მიგვიყვანა»





გიგა ბოკერია



დავით პაიჭაძე და გიგა ბოკერია
გლდანის ეკლესიის მრევლის წინააღმდეგ

◀ ბოკერია ქვებით დაგვდევდა მართლმადიდებლებს, რომლებიც ებრძოდნენ იეღოველთა საზიზღარ სექტას, ადამიანობის მტრებს, ქართული გენის აღმოსაფხვრელად მოგზავნილთ. ბოკერიებმა გზა გაუხსნეს უზნეო, ამორალურ დაჯგუფებებს და ისინიც ისე გათავხედდნენ, აღვირახსნილობისა და გადაგვარებულობის პროპაგანდის უფლებას ითხოვენ. ამიტომ **ქართველი ხალხისა და მართლმადიდებელთა სახელით მოვითხოვთ პარლამენტარებისგან, სასწრაფოდ გააუქმონ ანტიდისკრიმინაციული კანონი, წინააღმდეგ შემთხვევაში ღვთის რისხვას ვერ ასცდებიან! მოგიწოდებთ, პარლამენტარებო, რომლებსაც გტკივათ ჩვენი ერის ტკივილი: ყოველივე ეროვნულის, სარწმუნოების დამღუპველი კანონების შემომტანი და სოროსის გრანტებით ნაკვები ბოკერია უნდა დაისაჯოს. მას ხშირად შეახსენეთ, რომ 8 კაცის მკვლელია. მოვითხოვთ, სასწრაფოდ დაიწყოს გამოძიება — დაწყებული ზვიად გამსახურდიას მკვლელობით, დამთავრებული ა.წ. 20-21 ივნისის მოვლენებით და ყველა დამნაშავე სათანადოდ დაისაჯოს.**

**— დღეს ძალიან გააქტიურდნენ ლგბტ წარმომადგენლები...**

— კვლავ გიმეორებთ: მათი გააქტიურების მიზეზი პარლამენტართა არაქრისტიანული საქციელია, რაც ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებაში გამოიხატა. ამით მათ გზა გაეხსნათ — გამოვიდნენ ქუჩებში და ცდილობენ, მოაწყონ საჩვენებელი მსვლელობები. ამ საბედისწერო კანონის ერთ-ერთი ნაწილია ე.წ. იუვენალური იუსტიცია, რომელიც მიმართულია ბავშვთა ზნეობრივი გადაგვარებისკენ. **ჩვენი ასაკის ხალხი ვაცნობიერებთ, მაგრამ ბავშვი, რომელიც ხშირად უყურებს ჰომოსექსუალების, პედოფილებისა და სხვების უზნეო საქციელს, გაუცნობიერებლად მათ ტყვეობაში ვარდება. აი, ამას გვიმზადებენ ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც ამბობენ, ანტიდისკრიმინაციული კანონი არ გადაიხედებაო.**

მივმართავ პარლამენტის თავმჯდომარეს: **ჩვენი მომავალი თაობის, ჩვენი ერის იდენტობის, ზნეობის საპირწონედ არ გვჭირდება თქვენი ევროპა! გაითვალისწინეთ ერის აზრი და არა ვიღაც 100-მდე გადაგვარებულის.** გრცხვენოდეთ, პარლამენტარებო, რადგან თქვენ მიერ მიღებული იუვენალური კანონები შავ ლაქად ჩაიწერება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. **გაიხსენეთ 2013 წლის 17 მაისი — რამდენი ათასი ადამიანი იყო გამოსული რუსთაველზე. ჩვენ შეგნებულად ვერიდებით ზედმეტ ხმაურს, დაძაბულობას, რათა მტრის წისქვილზე არ დავასხათ წყალი. გაითვალისწინეთ, თქვენ ხალხმა აგირჩიათ და ხალხივე გადაწყვეტს თქვენს ბედს მომავალ არჩევნებზე.** სწორედ ეს გააქტიურებული ლგბტ-ები დაიყენეს გვერდით დღესაც რუსთაველზე, ამიტომ არის ხალხი გამწარებული.

**— მამაო, რას იტყვით საპატრიარქოზე?**

— ეს მართლაც მწვავე და მტკივნეული საკითხია. **ულირსი სასულიერო პირების მომრავლებამ, რომლებსაც წლების განმავლობაში მართავდნენ ბოკერია და ძმანი მისნი, მათმა მზაკვრულმა გეგმებმა კატასტროფამდე მიგვიყვანა. „ნაცმოძრაობას“ ისე ღრმად აქვს ფესვები გადგმული, რომ მისი ამოძირკვა ძნელია. ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დაგვაყენა კოაბიტაციამ. ერი დაბნეულია, გამოსავალს ეძებს.**

ულირსი სამღვდელოება სააკაშვილს მისტირის. მაშინ, როცა „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები პარლამენტში უნდა შეჭრილიყვნენ, მეუფეები — გრიგოლ ბერბიჭაშვილი და პეტრე ცაავა მზად იყვნენ, შეჰყოლოდნენ, რადგან სააკაშვილი მათ პატრიარქობას ჰპირდებოდა.

იმის ნაცვლად, რომ მამათმავლებსა და სექტანტებს მიხედონ და ქვეყანა სულიერად გადაარჩინონ, ზოგი მათგანი ჩემი განკითხვით არის დაკავებული. ამას წინათ საპატრიარქოს ტელევიზიით გამოვიდა ეკუმენისტი მღვდელი (თემქის ბიჭვინთის სახ. ეკლესიის) ვინმე **დავით კონჯარია** და რა არ მიწოდა, თითქოს მე საბერძნეთის ვიღაც განკვეთილ ეპისკოპოსს ვემორჩილები. შევახსენებ სჯულის კანონის უცოდინარ მღვდელს, რომ მე დროებით (სანამ თქვენნაირებისგან არ განიწმინდება საპატრიარქო) ვემორჩილები საბერძნეთის ძველ მესტილეთა წმიდა სინოდს, მთავარეპისკოპოს **კალენიკეს** მეთაურობით და არა ახალ მესტილეთა ეკლესიას, რომლებიც ყველა დღესასწაულს კათოლიკებთან ერთად აღნიშნავენ და რომლებთანაც თქვენ გაქვთ ევქარისტული კავშირი. თქვე კაი დედმამიშვილებო, ქვეყანა თავზე გვენგრევა და ნაცვლად იმისა, რომ ერი და ბერი გააერთიანოთ და დაიცვათ წინაპართა მონაპოვარი, არაფერს აკეთებთ და განიკითხავთ მათ, ვინც მუხლჩაუხრელად შრომობს ერისა და სარწმუნოებისთვის.

**— მამაო, როგორ აფასებთ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის უარს ჩვენთვის სანქციების დაწესებაზე?**

— მე პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ, ჩემი აზრით, მან ამით თავი დაიზღვია მომავალი პროვოკაციისგან. რუსებმა მსოფლიოს გააგებინეს, ქართველი ჟურნალისტი როგორ აგინებდა რუსეთის პრეზიდენტს და მან ეს დაითმინა. მისი ეს დათმენა იყო გაფრთხილება, რომ, თუ მსგავსი რამ განმეორდება, მაშინ რუსეთი აუცილებლად იმოქმედებს და ამ შემთხვევაში მას ვერავინ გაამტყუნებს. აქ კვლავ სააკაშვილის მზაკვრული ჩანაფიქრია. თვითონ ხომ ლანძღავდა პუტინს: ხან ქონდრისკაცს უწოდებდა, ხან — ლილიპუტს. ამჯერად მისი დავალებით, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტს უნდა ეგინებინა რუსეთის პრეზიდენტი. მას რატომღაც გათვლილი ჰქონდა, რომ ამ პროვოკაციით რუსეთს წონასწორობას დააკარგვინებდა და მერე ამით თვითონ ისარგებლებდა. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი მალე კიდევ მოაწყობს ესკალაციას. ამის წინა პირობაა რუსთაველზე დღესაც მიმდინარე უსაფუძვლო, უმიზნო, უგუნური პრინციპებით შეპყრობილი პირების აქცია. მათ უფლება არ აქვთ, ერის ბედი გადაწყვიტონ, არ წარმოადგენენ იმ ძალას, ერის მისწრაფებებს რომ გამოხატავს. ეს უნდა გააცნობიერონ და დაიშალონ. ერი ბრკოლდება.

დასასრულ — ერთიც მინდა აღვნიშნო: 8 ივლისს სამშობლოს, სარწმუნოების ერთგულთა მიერ რუსთაველზე გამართულ აქციაზე გამოჩნდა, ვინ ვინ არის: ვინ გადადო გვერდით პირადული და უპირატესობა ქვეყნის, სარწმუნოების, ზნეობის, ქართული მენტალიტეტის დაცვას მიანიჭა. ჩემი მრევლიც იქ იდგა და ყოველთვის იქ იქნება, როდის და სადაც გაუჭირდება ჩვენს ქვეყანას, სარწმუნოებას.

იმ დღეს გამოჩნდა, ვის უნდა მისცეს ხალხმა ნდობის მანდატი 2020 წლის პროპორციულ არჩევნებზე.

ვევედროთ უფალს, ამდენი გასაჭირის შემდეგ გვეღირსოს ხელისუფლებაში მორწმუნე ხალხი, რომლებიც საერთაშორისო „უფლებადამცველთა“ ორგანიზაციების თითის ქნევით შემოგზავნილ დირექტივებს თავს არ დაუხრიან, მხოლოდ ღვთის იმედით იმოქმედებენ. დაგლოცოთ უფალმა!

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

აქტუალური ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სანამ სააკაშვილის კრიმინალური ბანდა რჩება ხელუხლებელი და სარგებლობს „ოცნების“ მიერ მინიჭებული პოლიტიკური პრივილეგიებით, სანამ მათ მიერ ცხრა წლის განმავლობაში ჩადენილი უმძიმესი დანაშაული სამართლებრივად არ შეფასდება, ეს კრიმინალური ხროვა ყოველთვის იქნება სახელმწიფოს თავზე დაკიდებული დამოკლეს მახვილი“.**



# ნანა კაკაბაძე: მეტი რა მტკიცებულება უნდათ, მაინცდამაინც ვინმე უნდა მოკლან და სახურავზე დააგდონ, როგორც 26 მაისს?!

**მიუხედავად იმისა, რომ 20-21 ივნისის ავბედითი მოვლენებიდან უკვე სამ კვირაზე მეტი გავიდა და დაახლოებით ამდენივე ხანია, რაც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მომხდარზე გამოძიება დაიწყო, „ნაცმოძრაობის“ კრიმინალური ხროვა, რომელიც იმ ღამით სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას ძალადობისკენ პირდაპირი მოწოდებებით ხელმძღვანელობდა, ისევ დაუსჯელია. ნიკანორ მელიას, გიგა ბოკერიას, გიგი უგულავას, დავით ბაქრაძეს და სხვებს არათუ შესაბამისი სიმკაცრის მუხლები ვერ მიუყენეს, ზოგიერთი მათგანის დაკითხვაზე მიყვანაც კი ძლივს მოხერხდა.**

დაუსჯელობის სინდრომით გათამამებულმა **ნიკანორ მელიამ**, რომელიც, წესით, სამართალდამცველებს იმავე ღამეს უნდა „გაესკვანჩათ“ და „ვირის აბანოში“ გაემწესებინათ, როგორც ძალადობის მთავარი მაპროვოცირებელი, გამოძიებას დაცინვაც დაუწყო და ერთ-ერთ ჩართვაში ირონიულად განაცხადა, რომ, თუ საჭიროდ არ ჩათვლის, დაკითხვაზე არ მივა. ამას მოჰყვა სხვა შედარებით წვრილფეხა „ნაცსექტანტების“ (როგორიცაა ხატია დეკანოიძე, ელენე ხოშტარია და სხვ.) ცინიკური კომენტარები, რომ „ივანიშვილის პროკურატურა ფეხებზე ჰკიდიათ“ და მიმდინარე გამოძიება არ აინტერესებთ, რომ მათთვის ეს ხელისუფლება აღარ არის ლეგიტიმური და ა.შ. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ამ პროცესებმა, ბრალდებებმა და პოლიტიკურმა გაწევ-გამოწევებმა ორი რამ ცხადყო (რაც, ალბათ, არც არავისთვის იყო საიდუმლო): ერთი ის, რომ საზღვარგარეთ გაქცეული „ნაცბელადის“ კრიმინალურ ხროვას გამჩენი არ ასვენებს და გაჩერებას მანამ არ აპირებს, სანამ ქვეყანას საბოლოოდ არ არევს; მეორე — „მეოცნებე“ ხელისუფლება დამნაშავეების დასჯისა და სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით ისევ სრულიად უუნაროა, თუმცა უუნარობასთან ერთად, როგორც ჩანს, ორ პარტიას შორის 2012 წელს გაფორმებული პოლიტიკური ქორწინება გრძელდება და, მიუხედავად წყენისა, რაც, ეტყობა, დიდწილად სააკაშვილის ივანიშვილისადმი პირადი ბოლმითაა განპირობებული, ოლიგარქი მათთან გაყრას არ აპირებს...

რატომ არ არის მართლმსაჯულება ადეკვატური ერთი კონკრეტული პარტიის — „ერთიანი ნაციონალური“ მოძრაობის დანაშაულებრივი ქმედებებისადმი და საბოლოოდ რა პროცესები შეიძლება გამოიწვიოს მან ქვეყანაში?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, „ნაცმოძრაობასა“ და მის განაყოფ პოლიტიკურ პარტიებს 20-21 ივნისის ღამის სისხლიანი პროვოკაცია, ისევე შერჩათ, როგორც მანამდე წლების მანძილზე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულები. ის ხალხი, რომელმაც ძალადობის პროვოცირება მოახდინა, დღემდე დაუსჯელია და, ალბათ, არც დაისჯებიან დანაშაულის შესაბამისად. როგორ ფიქრობთ, რა პრობლემებია დღეს გამოძიებაში, რა უშლის ხელს პროკურატურას, უფრო ქმედითი რომ იყოს?**

— დავიწყოთ იმით, რაც არის ყველაზე მნიშვნელოვანი. პირველ რიგში, რაც დავინახეთ და რაც ყველაზე მტკივნეულია ჩემთვის, არის ის, რომ ამ ქვეყანაში სახელმწიფოებრივი აზროვნება ძალიან დაბალ დონეზეა. განსაკუთრებით ეს ეხება სახელისუფლო გუნდს, უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღებ რგოლს, რომელიც უსუსური აღმოჩნდა ამ პროცესებში. ანუ, თვით იმ შეფასებებიდან გამომდინარე, რომლებიც გაკეთდა და კეთდება, ცხადია, რომ **ამ ადამიანებს წარმოდგენა არ აქვთ, რა არის სახელმწიფო და რას ლაპარაკობს კანონი.** რაც შეეხება შეკითხვას, თუ რა აბრკოლებს მართლმსაჯულებას, ეს ძალიან დიდი თემაა და, ბუნებრივია, მოკლე შეფასებებით ვერ ამოვწურავთ, მაგრამ, რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, აქაც ისევ სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტამდე მივალთ. როდესაც სახელმწიფო სისტემა მოშლილია და პოლიტიკური ველი არაჯანსაღ ძალებს აქვთ მონოპოლიზებული, იქ ეფექტიან მართლმსაჯულებაზე საუბარიც ზედმეტია. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ არაჯანსაღი ძალების არსებობა მუდმივად სტრესში ამყოფებს საზოგადოებას და ეს ცალკე დესტრუქციულ პროცესებს იწვევს ქვეყანაში...

**— დავაკონკრეტოთ, რომელ ძალებს გულისხმობთ და რა ბერკეტები აქვთ მათ დესტრუქციული პროცესების ინსპირირებისთვის...**

— **როდესაც გამოდის გიგა ბოკერია, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში ოპონენტების დევნისა და დარბევის გარდა არაფერს აკეთებდა, და გელაპარაკება გამოხატვის თავისუფლებაზე, ეს უკვე ერთგვარი დესტრუქციაა. დესტრუქციაა, როცა გიგი უგულავა, რომელიც, წესით, ციხეში უნდა იჯდეს, შეშფოთებული სახით გელაპარაკება დემოკრატიაზე. საერთოდ, როდესაც გამოხატვის თავისუფლება ფარად იქცევა რეაქციული ძალებისთვის, იქ პროცესები უმართავი ხდება.** ამიტომ არის აუცილებელი, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს მყარად ჩამოყალიბებული, ურყევი და მტკიცე სამართლებრივი პოლიტიკა, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთადერთი, რაც არსებულმა ხელისუფლებამ დღიდან სათავეში მოსვლისა დაამტკიცა, იყო ის, რომ ამის გამკეთებელი არ არის. არ არის იმიტომ, რომ არც ნება აქვთ და არც უნარი. მეორე მხარეს კი არის ძალიან მძლავრი და კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელიც გაჩერებას არ აპირებს. ცხადია, „ნაციონალურ მოძრაობას“ ვგულისხმობ...

რაც შეეხება შედეგს, ვიღაცას შეიძლება ჰგონია, მათ შორის ხელისუფლებაშიც, რომ, რადგან დაძაბულობამ გადაიარა, შეგვიძლია, დავწყნარდეთ, მაგრამ არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: **სანამ სააკაშვილის კრიმინალური ბანდა რჩება ხელუხლებელი და სარგებლობს „ოცნების“ მიერ მინიჭებული პოლიტიკური პრივილეგიებით; სანამ მათ მიერ ცხრა წლის განმავლობაში ჩადენილი უმძიმესი დანაშაულები სამართლებრივად არ შეფასდება, ეს კრიმინალური ხროვა ყოველთვის იქნება სახელმწიფოს თავზე დაკიდებული დამოკლეს მახვილი;** ეს ბოროტება არ დასრულდება და, თუ ვინმეს ჰგონია, ისინი დაიღლებიან, ძალიან ცდება. ჯერ ერთი, ბოროტი ბოროტმოქმედებით არ დაიღლება, იმიტომ, რომ ეს მისი ცხოვრების წესია; და მეორეც — **სააკაშვილმა იცის, რომ ნორმალურ, მშვიდობიან, ცივილიზებულ არჩევნებში მას გამარჯვების შანსი არ აქვს, ამიტომ ცდილობს თავის გარემოცვასთან ერთად მუდმივად დაძაბულობა შექმნას,** ასე რომ, ეს ყველაფერი მხოლოდ დროის საკითხია. არ გამოუვიდათ ამ ჯერზე? ხვალ-ზეგ ისევ ეცდებიან... ისეთ რამეზე წავლენ, რომ ზოგს შეიძლება წარმოდგენაც გაუჭირდეს...

**— საბოლოოდ რა პროცესები შეიძლება მოჰყვეს ამას, რით შეიძლება ეს დაძაბულობა დასრულდეს?**

— ეს პროცესები რასაც იწვევს, უკვე ვნახეთ. ეს პროცესები იწვევს სახელმწიფოს ჩამოშლას. ლარის კურსი დაეცა, ფულადი გზავნილები შემცირდა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ექსპორტის საკითხი... რომელი ერთი ჩამოვთვალო. **თითოეულმა მოქალაქემ, თითოეულმა ადამიანმა უკვე საკუთარ ჯიბეზე იწვნია ამ კრიმინალური ჯგუფების მიზანმიმართული ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების შედეგები. მიუხედავად ზიანისა, რომელსაც ჯერ კიდევ სრულად ვერ გრძნობს ქვეყანა, სამწუხაროდ, არ მომისმენია მსჯელობა გამოსავალზე. ყველა აკეთებს ზედაპირულ ანალიზს, მაგრამ არავინ ამბობს, რა ეშველებათ, მაგალითად, კახელ მევენახეებს, გლეხებს, რიგით მოქალაქეებს, რომლებიც სოფლის მეურნეობაზე არიან დამოკიდებულნი.** კიდევ ვიმეორებ: ქვეყანაში დაუსჯელად მოქმედმა კრიმინალურმა ჯგუფებმა — „ნაცმოძრაობამ“ და მისმა აქტივმა, რომლებსაც დღეს გულწრფელი პროტესტით გამოსულ საზოგადოებად ასაღებენ, მოსახლეობას სიცოცხლის უფლება დააკარგვინა. ვინ მიხედავს ამ ადამიანებს?! ვინ დაეხმარება იმ ადამიანებს, რომლებსაც კრედიტები აქვთ აღებული და, თუ რამე ჰქონდათ, ბანკებში აქვთ ჩადებული?!

ახლა აქვე მინდა გამოვეხმაურო უშუალოდ 20 ივნისს პარლამენტში გათამაშებულ ბინძურ პროვოკაციას, რომელიც თავიდან ბოლომდე დადგმული იყო. ბევრს სჯერა, რომ ეს იყო მოსახლეობის გულწრფელი აღშფოთება და ზოგი ამართლებს კიდეც... კი, ბატონო, **პროტესტი გასაგებია, მაგრამ გამოხატვის ფორმას ხომ აქვს დიდი მნიშვნელობა?! მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, დაწყებული საბჭოთა პერიოდიდან, დამთავრებული შემდგომი დროით, ოპოზიციაში ვიყავი და ხელისუფლების საწინააღმდეგო არც ერთი აქცია არ გამომიტოვებია, მაგრამ ქვეყნისთვის ასეთი დამანგრეველი ღონისძიებები ვის თავში მოიხარშებოდა?! ვის მოუვიდოდა აზრად და ვინ იტყოდა, რომ საკანონმდებლო ორგანოზე მიეტანათ შტურმი და სისხლის ტბა დაეყენებინათ?!**

— **თავის დროზე, როცა ხელისუფლებამ ხალხს იმედი გაუცრუა და სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად „ნაცმოძრაობასთან“ კოაბიტაცია გამოაცხადა, ბევრი ამბობდა, რომ პროკურატურას საკმარისი მტკიცებულებები არ ჰქონდა დამნაშავეების დასასჯელად. ითქვა ისიც, რომ სააკაშვილს დასავლეთი მფარველობდა და მართლმსაჯულებას ეს აბრკოლებდა... შეიძლება, დღესაც არსებობდეს მსგავსი ფაქტორები?**

— რა ძალებიც უნდა მფარველობდეს დამნაშავეებს შენს ქვეყანაში, თუ ხელისუფლებას პასუხისმგებლობა აქვს, არ შეიძლება, გარედან განხორციელებული წნეხი ხალხის დაკვეთაზე მნიშვნელოვანი იყოს. რაც შეეხება მტკიცებულებებს, სრულიად საქართველო უყურებდა პირდაპირ ეთერში, რაც მოაწყვეს. მეტი რა მტკიცებულება უნდათ?! მაინცდამაინც ვინმე უნდა მოკლან და სახურავზე დააგდონ, როგორც 26 მაისს?! როგორც ჩანს, ამასაც მოვესწრებით და უარესებსაც, იმიტომ, რომ ესენი არ გაჩერდებიან. სააკაშვილი აუცილებლად მოაწყობს კიდევ ერთ სასაკლაოს საქართველოში, თუ თავის დანაშაულებრივ გარემოცვასთან ერთად დროულად არ გაისტუმრებენ პოლიტიკურ მოუსავლეთში. ყოველ შემთხვევაში, ეცდება...

**— გამოსავალს ხედავთ? რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ „ნაცმოძრაობის“ სიხლიანი გეგმა არ შესრულდეს?**

— მოკლედ ვიტყვი: სანამ ქვეყანაში პოლიტიკურ დღის წესრიგს ადგენენ ადამიანები, რომლებიც ციხეში უნდა ისხდნენ; სანამ პარლამენტში სხედან **ბოკერია** — 7 ნოემბრისა და 26 მაისის ერთ-ერთი შემოქმედი, **უგულავა** — ზონდერი და სხვა დამნაშავეები, გამოსავალზე საუბარი შეუძლებელია. ესენი არასოდეს მისცემენ ჯანსაღ ძალებს იმის საშუალებას, რომ სათავეში მოვიდნენ. ასე რომ, ვერ ვარ ოპტიმისტურად განწყობილი. ერთადერთი, რისი იმედიც შეიძლებოდა გვქონოდა, საზოგადოების ერთიანობა იყო, მაგრამ ახლა უკვე ამაზეც მიდის შეტევები. „ანტისაოკუპაციო“ ძალები, „პუტინისტები...“ უკვე დაყვეს ადამიანები, ანუ ხელოვნურად შეიქმნა დაპირისპირებული ჯგუფები და ამ ჯგუფებზე მანიპულირებით მიდის ბინძური პოლიტიკური თამაში. კიდევ ვიმეორებ: **სანამ დემოკრატიაზე, გამოხატვის თავისუფლებაზე და სხვა მაღალ იდეალებზე გველაპარაკებიან ადამიანები, რომლებმაც შრომის წიგნაკი პარლამენტში გახსნეს და პარლამენტიდანვე გადიან პენსიაზე, ქვეყანა მუდმივად იქნება უკუსვლის რეჟიმში. ამ ადამიანების ხელში საქართველოს მომავალი არ აქვს...**

**«ერთადერთი, რისი იმედიც შეიძლებოდა გვქონოდა, საზოგადოების ერთიანობა იყო, მაგრამ ახლა უკვე ამაზეც მიდის შეტევები. «ანტისაოკუპაციო» ძალები, «პუტინისტები...» უკვე დაყვეს ადამიანები, ანუ ხელოვნურად შეიქმნა დაპირისპირებული ჯგუფები და ამ ჯგუფებზე მანიპულირებით მიდის ბინძური პოლიტიკური თამაში»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„ამერიკას მსოფლიოზე ბატონობა სურს, ამ გზაზე ხელს რუსეთი უშლის, ჩვენ კი, როგორც რუსეთის მეზობელი ქვეყანა, მათ მეტოქეობას ვეწირებით. ამერიკას მხოლოდ პლაცდარმად ვჭირდებით და სხვა ჩვენგან არაფერი აინტერესებს. ის პირდაპირ ვერ ებრძვის რუსეთს, რადგან დიდ ზარალს ნახავს, ამიტომ სხვადასხვა ხერხით ცდილობს მოქმედებას, ამ მოქმედებებისთვის ჩვენს ქვეყანაში (და არა მხოლოდ) ჰყავს თავისი გოშიები, ნირწამხდარი ნაძირალები, გახრწნილი ადამიანები, რომლებიც სულსა და სამშობლოს ფულზე ყიდიან“.

რას ფიქრობს ხალხი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მერაბ ზურაბაშვილი:

# ამერიკას საქართველოში ჰყავს თავისი აგენტურა, რომელმაც მოსპო და გაანადგურა ჩვენი სამშობლო

**მას შემდეგ, რაც „რუსთავი 2“-ის წამყვანმა გიორგი გაბუნიამ გადაცემა „პოსტკრიპტუმში“ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს აგინა, რუსეთის დუმამ საქართველოსთვის სანქციების დაწესება გადაწყვიტა, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტმა ამაზე უარი განაცხადა. ამის გამო გახარებულ, სანქციებარიდებულ ქართველ გლეხებს ამავე არხის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ გვარამიამ სატელევიზიო ეთერით მიმართა: „ღვინოში და ყველა პროდუქტში ჩაგ...ით ყველას, ვინც რუსეთის ბაზარზე თქვენი ხეირისთვის ქვეყნის ინტერესების გამყიდველ რეჟიმს დაუჭერთ მხარს და პუტინის სიკეთეებზე ამოგდით მზე და მთვარე! აი ასე, და კიდევ ათასგზის! პუტინისტი მეღვინეების არ გვწამს!“ რას ნიშნავს ქართველისთვის ღვინო? — საგანგებო ღვთისმსახურების, წირვის დროს პური და ღვინო სიმბოლურად ქრისტეს ხორცად და სისხლად იქცევა, რომელთა მიღებით მორწმუნე ქრისტეს სიწმინდეს ეზიარება და ცოდვებისგან იწმინდება, რათა საიქიოში ცხონდეს. ეს ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი საიდუმლოა...**

## «ღვინო ჩვენთვის ღვთაებაა, ქართველი უღვინოდ და უვენახოდ წარმოუდგენელია. ეს არის ჩვენი სიამაყე და ქვეყნის სიმდიდრე»



გლეხები, რომლებიც გვარამიამ ძალიან გააბრაზა, იხსენებენ ასეთ ფაქტს: „1993-1995 წლებში საქართველოში მრჩევლად მყოფმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორმა შადმან ვალავიმ ედუარდ შევარდნაძესა და ოთარ ფაცაციას უთხრა: „დაივიწყეთ, რომ მწარმოებლები იყავით, აწი მომხმარებლები უნდა გახდეთო“, რაც შევარდნაძემ ქართველ ერს ასე „გადაუთარგმნა“: „ჩვენ მზა პროდუქციას შემოვიტანთ და უფრო იაფი დაგვიჯდება“. ამას კი ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგის ნგრევა, განიავება და ჯართად გაყიდვა მოჰყვა, მილიონი უმუშევარი კი ქუჩაში დარჩა.

**რას ფიქრობენ კახელი გლეხები ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე, რას ნიშნავს მათთვის ვაზი და ღვინო? — გვესაუბრება ჩვენი გაზეთის აქტიური მკითხველი, გურჯაანელი მერაბ ზურაბაშვილი:**

— ნაცების საუბარი (ნაცებში გვარამია-გაბუნიას ვგულისხმობ) არ მომისმენია, მთელი დღეები მინდორში ვმუშაობ...

ამ ადამიანებისთვის, რომლებიც სულ და გვარგაყიდულები არიან, ზნეობა და ღირსება არ არსებობს, მთავარია, დოლარი გამოუგზავნონ დასავლეთიდან პატრონებმა და ყველაფრის მკადრებლები არიან. ღირსებააყრილ კაცს შეუძლია, ყველაფერს მოაწეროს ხელი.

ამერიკას მსოფლიოზე ბატონობა სურს, ამ გზაზე ხელს რუსეთი უშლის, ჩვენ კი, როგორც რუსეთის მეზობელი ქვეყანა, მათ მეტოქეობას ვეწირებით. ამერიკას მხოლოდ პლაცდარმად ვჭირდებით და სხვა ჩვენგან არაფერი აინტერესებს. ის პირდაპირ ვერ ებრძვის რუსეთს, რადგან დიდ ზარალს ნახავს, ამიტომ სხვადასხვა ხერხით ცდილობს მოქმედებას, ამ მოქმედებებისთვის ჩვენს ქვეყანაში (და არა მხოლოდ) ჰყავს თავისი გოშიები, ნირწამხდარი ნაძირალები, გახრწნილი ადამიანები, რომლებიც სულსა და სამშობლოს ფულზე ყიდიან.

**ამერიკა და საქართველოში მცხოვრები მათი მონა-გოშიები ყველაფერს აკეთებენ, რათა რუსეთთან ურთიერთობა დაგვეძაბოს, ამისთვის გლეხკაცსაც გაწირავენ და საკუთარ შვილებსაც. მათთვის წმინდა არაფერია.**

ახლა ღვინოს გადმოსწვდნენ. თუკი გლეხმა ყურძენი ვერ ჩააბარა, შრომასა და წვალებას რა აზრი აქვს?!

საბჭოთა კავშირის პერიოდში ჩვენ არც შრომა გვეზარებოდა და არც ფული გვაკლდა, ღირსებააყრილები არ ვიყავით. ახლა ყოველ დღე უკან-უკან მივდივართ, წინ ერთი ნაბიჯიც ვერ გადაგვიდგამს. ყველაფერი იკარგება და ინგრევა. გვესმის, რომ ეს პატარა ქვეყანა დიდი პოლიტიკის მსხვერპლია, იმ პოლიტიკოსების, რომლებიც გაიყიდნენ. **ამერიკას საქართველოში ჰყავს თავისი აგენტურა, რომელმაც მოსპო და გაანადგურა ჩვენი სამშობლო.**

სახალხო მეურნეობა მიზანმიმართულად დაგვინგრიეს, მრეწველობა გაანადგურეს, ქარხნები და ფაბრიკები ჯართად გაყიდეს, სოფელი მოსპეს, მეურნეობებისგან აღარაფერი დარჩა.

**— რას ნიშნავდა ქართველი გლეხისთვის რუსეთის ბაზარი? გვარამიამ გლეხებს, განსაკუთრებით — კახელებს, გითხრათ, რომ ბაზარი სხვაგან მოძებნეთ და რუსეთს არ ჩამოეკიდოთ თქვენი ყურძნითა და ღვინით...**

— გვარამია ნაძირალაა, უღირსებო და გამყიდველი. მისი ენა ყველაფერს იტყვის და იკადრებს. ღვინო ჩვენთვის ღვთაებაა, ქართველი უღვინოდ და უვენახოდ წარმოუდგენელია, ეს არის ჩვენი სიამაყე და ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, დიახ, სიმდიდრე და დოვლათი. **იოსებ ნონეშვილს** აქვს ასეთი ლექსი: **„სადაც ქართველი კაცია, ღვინოც თანა ჰყავს ძმობილად, ვინ იცის, ვაზიც, ქართველიც ამქვეყნად ერთად შობილან“.** თითქოს მართლაც ერთად იშვა ვაზი და ქართველი, რადგან ქართველი ვაზის გარეშე ვერ წარმომიდგენია.

> **საქართველოს ხელისუფლებას ვეტყვი, რომ რუსეთის ბაზარი ქართული სოფლისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და რუსეთის არა მხოლოდ ბაზარი. საერთოდ, ამ ქვეყანასთან ურთიერთობაა მნიშვნელოვანი, რუს ერთან ურთიერთობა. ჩვენ, ქართველებს, თუ გვინდა, რომ ბედნიერი, წარმატებული მომავალი გვქონდეს, რუს ხალხთან ურთიერთობა უნდა მოვაგვაროთ. ადამიანები, რომლებსაც სამშობლოს კეთილდღეობა სურთ, რუს ხალხთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას ვერსად გაექცევიან**

გვარამიამ ის სიტყვები იმიტომ გვითხრა, რომ, თვითონ სულში ჩაფურთხებულს, უნდა, ჩვენც სულში ჩაგვაფურთოს, გაურკვეველი სქესისა და წარმოშობის ადამიანისთვის ხომ სულერთია, რას შეურაცხყოფს?!

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, როდესაც რუსეთი ჩვენგან აღარაფერს იღებდა, განსაკუთრებით კი ღვინოს, ფასები ისე დაეცა, რომ კახელმა გლეხმა ვაზის გაჩეხვა დაიწყო, რაც იმის ტოლფასია, მამამ შვილი სასიკვდილოდ რომ გაიმეტოს. თან ტიროდნენ და თან ჩეხავდნენ, რადგან სხვა გამოსავალი არ იყო, ვაზი და ღვინო უსარგებლო გაგვიხადეს, შრომასა და წვალებას აზრი აღარ ჰქონდა...

**ბოლო სამი-ოთხი წელიწადია, რაც რუსეთმა საქართველოდან ღვინის მიღება დაიწყო, ყურძნის ფასმა აიწია. ამან დიდი და პატარა ვენახისკენ მიაბრუნა. შემოდგომაზე ვაზი ძილს რომ ეძლევა და ფოთოლცვენა იწყება, ხალხი ლერწის შეგროვებას იწყებს, ლერწი ვაზის საძირეა, ამით ნამყენი კეთდება, შემდეგ ვენახი შენდება. წინათ ლერწისთვის ვენახს აშენებდნენ, ახლა ის ვენახები აღარ არის, ახლა მინდორში ეძებენ ლერწს, ესეც შემოსავლის ერთგვარ წყაროდ იქცა. ზოგი რამდენიმე დღის განმავლობაში ასი-ორასი ლარის ლერწს ზრდის, ამან საქმე გაუჩინა მყნობელსაც, ლერწზე საჯიშე ვაზი ემყნობა. უნდა ითქვას ისიც, რომ ვაზი სარს ეყრდნობა, სარი ბამბუკის უკეთესია, რაც კახეთში დასავლეთიდან ჩამოგვქონდა, ანუ ეს კიდევ ერთი, ასე ვთქვათ, შემოსავლის წყარო იყო...** ერთი სიტყვით, ხალხი დასაქმდა, ამოძრავდა სოფელი და ნაბიჯების წინ გადადგმას ვცდილობთ. სწორედ ეს არ მოეწონათ ამერიკის მონებს, **დასავლელ „მეგობრებს“ ძლიერი ქართული სოფელი არ სჭირდებათ და დაგეშეს კიდეც გაბუნიები და გვარამიები, ძაღლებივით ააყეფეს და ყველაფერი გააჩერეს.** გააჩერეს რუსეთთან სულ ოდნავ, შეუმჩნევლად მოწესრიგებული ურთიერთობები.

**— რა არის საჭირო, ქართული სოფელი ფეხზე რომ წამოდგეს?**

**— საქართველოს ხელისუფლებას ვეტყვი, რომ რუსეთის ბაზარი ქართული სოფლისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და რუსეთის არა მხოლოდ ბაზარი. საერთოდ, ამ ქვეყანასთან ურთიერთობაა მნიშვნელოვანი, რუს ერთან ურთიერთობა.** ჩვენ, ქართველებს, თუ გვინდა, რომ ბედნიერი, წარმატებული მომავალი გვქონდეს, რუს ხალხთან ურთიერთობა უნდა მოვაგვაროთ. ადამიანები, რომლებსაც სამშობლოს კეთილდღეობა სურთ, რუს ხალხთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას ვერსად გაექცევიან, **მეზობელ ქვეყანასა და ხალხთან ურთიერთობის გაფუჭების მომხრე მხოლოდ დასავლეთისა და ამერიკის აგენტები არიან, 30 ვერცხლზე გაყიდული სულმდაბალი ადამიანები.**

რუსეთის მთავრობას ვთხოვ, ნუ აჰყვებიან საქართველოში ჩანერგილ აგენტებს, სამშობლოს გამყიდველებს, იფიქრონ ჩვენნაირ ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანებზე, რომლებიც თვლიან, რომ რუსეთთან კეთილმეზობლობა მხოლოდ წაადგება საქართველოს.

არ არსებობს ცხვრის ფარა, რომელშიც კოჭლი ცხვარი არ გამოერიოს, ასევე, ერსაც ჰყავს მოღალატეები. და იმ მოღალატეების გამო ქართველ ერს ისე ნუ მოგვექცევიან, როგორც მტრებს. საქართველო-რუსეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა ორივე მხარისთვის მომგებიანია. ამაზე უნდა იფიქროს ორივე ქვეყნის ხელისუფლებებმა.

**— რუსეთის პრეზიდენტმა, მიუხედავად იმისა, რომ ენით გამოუთქმელი სიბინძურით მოიხსენიეს, ქართველები დაგვინდო — სანქციები აგვარიდა...**

— რუსეთის პრეზიდენტს დიდი მადლობა იმისთვის, რომ ჩვენ, წესიერი ხალხი, დაგვინდო, ქართველი გლეხი და არა პოლიტიკოსები. ამით დაგვანახვა, რომ ჭკვიანი კაცია და სურს ქართველი ხალხის ჯანსაღ ნაწილთან კეთილი ურთიერთობა.

> **«გვარამიამ ის სიტყვები იმიტომ გვითხრა, რომ, თვითონ სულში ჩაფურთხებულს, უნდა, ჩვენც სულში ჩაგვაფურთხოს. გაურკვეველი სქესისა და წარმოშობის ადამიანისთვის ხომ სულერთია, რას შეურაცხყოფს?!»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ბაკურ სვანიძის
საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**შევთავაზოთ ამ ადამიანებს რიგითი ქართველის უბრალო, რიგითი ხელფასი, მაშინ იქნებიან კი ასეთი ძალიან „პატრიოტები"? ძალიან იოლია, ფეხებზე გეკიდოს კახელი გლეხის ან ზღვისპირეთში მცხოვრების გასაჭირი, როცა თვეში რამდენიმე ათეული ათასი გაქვს შემოსავალი. აქვე სრულიად ბუნებრივად ისმის კითხვა — სწორედ ამ მუქთა შემოსავლის დაკარგვის შიშით ხომ არ არის გამოწვეული გვარამიასა და სხვების ასეთი „პატრიოტული" ისტერიკები?**

# უძღები «სამოქალაქო აქტივისტები» და მაღალხელფასიანი «პატრიოტიზმი»

**საქართველოსა და უკრაინას პუტინის მისამართით ვიდეოგინებების ტალღამ გადაუარა. ნამდვილად ვერ გეტყვით, რას მიაღწიეს ამით ე.წ. პატრიოტებმა, გარდა რუსი ტურისტებისა თუ ხილის შემსყიდველების დაშინებისა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ისტერიკის მწარმოებლები აქეთ გვაყვედრიან, მადლობა რომ არ ვუთხარით და მოსახლეობამ „გაბედა" და მათ წინააღმდეგ მკაცრი პროტესტიც კი გამოთქვა.**

„რუსთავი 2"-ის გენერალურმა დირექტორმა **ნიკა გვარამიამ** ტელეეთერში მორიგი ისტერიკა მოაწყო და შესაძლო რუსული ემბარგოთი დაზაფრულ მეღვინეებსა და მინერალური წყლების ჩამომსხმელებს სულ სამშობლოს გამყიდველები უძახა: **„იმიტომ უნდა ვიძახოთ „პუტინი კაიაო", რომ ეგ თქვენი ბორჯომი და ღვინო რუსეთში გაყიდოთ? ჩა...ფსით ბორჯომშიც და ღვინოშიც"** — გენპროკურორის ყოფილი მოადგილის, იუსტიციისა და განათლების ყოფილი მინისტრის ეს ფრაზა „ოქროს ასოებით" შევა საქართველოს ისტორიაში. დიახ, ვაზის აჩეხვა კი, მაგრამ ღვინოს ამგვარად წაბილწვა ქართველისთვის **შაჰ-აბასსაც** არ გაუბედავს.

მართალია, მხოლოდ სიტყვიერად და ფანტაზიით, მაგრამ მაინც ისტორიაში პირველად, ქართველთა წინაპრების უდიდეს სიწმინდეში, ღვინოში, ნიკა გვარამიამ ჩა...ა. ეს აუცილებლად უნდა დავიმახსოვროთ, ქართველებო.

აღსანიშნავია გვარამიას დემაგოგიაც — როდის და ვინ მოსთხოვა მას, უნდა ვიძახოთ „პუტინი კაიაო"?! როგორც ჩანს, გვარამიასთვის ორი უკიდურესი არჩევანი არსებობს — ან „პუტინი კაია" უნდა ვიძახოთ, ან პირდაპირ ეთერში უშვერი სიტყვებით „დედის საფლავი" უნდა ვაგინოთ რუსეთის პრეზიდენტს. არც ერთი რომ არ გავაკეთოთ და არც მეორე და ღირსეულად, ადამიანურად მოვიქცეთ გინდ მოყვარესთან და გინდაც — მტერთან, ასეთ შესაძლებლობას გვარამიას ზნეობის ადამიანი, ალბათ, ვერც კი უშვებს.

ახლა სხვა თემაზე მინდა გავამახვილო ყურადღება, კერძოდ, შევამჩნიე **ტენდენცია, რომ მავანთა მყვირალა „პატრიოტიზმი" მათი შემოსავლის პირდაპირ პროპორციულია ანუ, რაც მეტი შემოსავალი აქვს მავანს, მით უფრო ხმამაღლა ყვირის, ბღავის და ჩხავის „პატრიოტულ" ლოზუნგებს, ფრაზებს და მით ხმამაღლა აგინებს ვლადიმერ პუტინს.**

პირიქითაც შეგვიძლია ვთქვათ — იმის მიხედვით, რა მონდომებით ყვირის ესა თუ ის ინდივიდი, რა ინტენსივობით აგინებს პუტინს და როგორ ტონალობაში კივის, შეგვიძლია გამოვიცნოთ მისი ყოველთვიური ხელფასის ოდენობა.

ინტერნეტით უკვე გავრცელდა დადასტურებული დოკუმენტები, რომ **გიორგი გაბუნია** თვეში, სულ ცოტა, 15 ათას ლარს იღებს ხელფასს, ხოლო დანამატებით, ზოგჯერ 20 ათასიც კი გამოსდის. ცოტა მეტია **მიშა მშვილდაძის** ხელფასი — წელიწადში ნახევარ მილიონამდე, ანუ თვეში დაახლოებით 30-35 ათასი ლარი. შედარებით დაჩაგრულები გამოდიან **ნანუკა ჟორჟოლიანი** და **თენგო გოგოტიშვილი** — 15-15 ათას ლარამდე თვეში; ყველაზე „დონე" კი, რა თქმა უნდა, ნაპროკურორალი გენდირექტორი **ნიკა გვარამიაა** — თვეში გაჭიმული 80 ათასი ლარი სტაბილურად და ზოგჯერ პრემიით — 100 ათასიც კი.

როცა ამხელა შემოსავალი გაქვს, ოკუპანტი ქვეყნის პრეზიდენტს კი არა, გალაქტიკის მპყრობელი რომ არსებობდეს, მას აგინებდა კაცი უცხოპლანეტელი დედის უკანალს. ღვინოში კი არა, მთვარის კრატერში ჩ...ფსამ, თუ გინდა და იმისთანა „პატრიოტი" იქნები დღეში სამჯერ, რომ ნუ იტყვი.

მაგრამ მოდი, **შევთავაზოთ ამ ადამიანებს რიგითი ქართველის უბრალო, რიგითი ხელფასი, მაშინ იქნებიან კი ასეთი ძალიან „პატრიოტები"? ზოგიერთისთვის ძალიან იოლია, ფეხებზე ეკიდოს კახელი გლეხის ან ზღვისპირეთში მცხოვრების გასაჭირი, როცა თვეში რამდენიმე ათეული ათასი აქვს შემოსავალი. აქვე სრულიად ბუნებრივად ისმის კითხვა — სწორედ ამ მუქთა შემოსავლის დაკარგვის შიშით ხომ არ არის გამოწვეული გვარამიასა და სხვების ასეთი „პატრიოტული" ისტერიკები?**

კიდევ ერთიც — აკი ისინი აქეთ ნამუსზე აგდებენ უბრალო მოსახლეობას — სამშობლო ბორჯომზე, ღვინოზე და, საზოგადოდ, ფულზე არ უნდა გაყიდოთო. ჰოდა, თუ მაგარი ბიჭები არიან, შევთავაზოთ










წინადადება, რომ დაგვიმტკიცონ თავიანთი უანგარო პატრიოტიზმი.

ფული უმნიშვნელოა სამშობლოს სიყვარულთან შედარებით, ხო? ჰოდა, ამ **თავიანთი ათიათასიანი ხელფასებიდან ყოველთვიურად გაიმეტონ 50 პროცენტი: ზოგმა — 5 ათასი, ზოგმა — 3, ზოგმა — 2 და შექმნან ფონდი, რომელიც დაეხმარება მათ მიერ რუსეთის მიმართ გაკეთებული ტუტუცური განცხადებების შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას.** აი, ამ შემთხვევაში ვიწამებ მათ პატრიოტობას და ბოდიშსაც მოვუხდი, თუკი ოდესმე შეურაცხმიყვია ისინი.

სხვა შემთხვევაში, ეს თქვენი „მაღალანაზღაურებიანი პატრიოტიზმი" გაიკეთეთ იქ, სადაც ყველაზე მეტად გესიამოვნებათ, ჩემო „პრაიდ-პატრიოტებო" და „ნაცაქტივისტებო"!

ჰო, მართლა, ტერმინ „აქტივისტზე" გამახსენდა, მაგ ფენომენზეც მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა: ყოველთვის მაინტერესებდა, ვინ იყო ის უსაქმური ხალხი, რომელიც ყველა მიტინგსა თუ აქციაზე, ყველა „შვიშტოკის" ჩაპრუწუნებაზე ქუჩაში ეგდო 24 საათის განმავლობაში, ხან აქცია მიჰყავდა, ხან მეგაფონით დარბოდა ხალხის შესაგროვებლად და ასე შემდეგ. მე, ინტრიგანს, ყოველთვის მიჩნდებოდა ლოგიკური კითხვა: რას ჭამს და რას სვამს ეს ხალხი? ჰაერით იკვებება? **როცა უნდა ჩართო ტელევიზორი, ეს ადამიანები სულ ქუჩაში არიან და ნუთუ შეიძლება ზრდასრულ ადამიანს, რომელსაც აქვს სამსახური და პასუხისმგებლობები, იმისთვის ეცალოს, რომ 24 საათი ქუჩაში რაღაც დებილური მოწოდებები იძახოს მეგაფონში?!**

ჩემი ინტერესი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, როცა ტელევიზიებიდან ორგანიზებულად და ხმაშეწყობილად შემომესმა ტერმინი **„სამოქალაქო აქტივისტი"**. თურმე ნუ იტყვით და, ყველა ეს უსაქმური ადამიანი „სამოქალაქო აქტივისტები" ყოფილან! გავიგე მათი სტატუსი და ნაწილობრივ დავკმაყოფილდი, მაგრამ, აი ეს „სამოქალაქო აქტივისტები" რით არსებობენ, მაინც ვერავინ მითხრა.

ერთი ეგაა, იმდენს და ისეთებს ყვირიან, რომ მიშა მშვილდაძეზე ნაკლები შემოსავალი არ უნდათ ჰქონდეთ თვეში.

მოკლედ, ქვეყანაში დესტაბილიზაციისა და სერიოზული არეულობის მსურველთა ფანტაზია უშრეტია. ხომ უნდა ჰქონოდა მართლაც რაიმე სტატუსი ამ უსაქმურთა „კამანდას"? თუნდაც სათანადო თანხის გადახდის შემდეგ სატელევიზო „თოქშოუებში" რომ მიიწვევდნენ ამ ხალხს, ტიტრად ხომ უნდა დაწეროდათ რამე მათ გამოსახულებებს? ჰოდა, მოიგონეს „სამოქალაქო აქტივისტი". თურმე ტიპი სამოქალაქო აქტივისტია და „უსწორდება" დილიდან საღამომდე ქუჩაში ყოფნა, მეგაფონით სირბილი, მიტინგის ორგანიზება და ასე შემდეგ. მიდი და დაადგინე, თუ მაგარი ბიჭი ხარ, რატომ აცვია და ახურავს საკმაოდ ძვირფასად ამ „სამოქალაქო აქტივისტს", რატომ არის სულ გამაძღარი და რატომ შეუძლია უყოყმანოდ, ერთ დღის გადაცილების გარეშე, ზუსტად თავის დროზე დაფაროს არც ისე მცირე ოდენობის საბანკო ვალების პროცენტი ყოველთვიურად?

ძალიან რთული ამოცანაა და ნუ შეეჭიდებით.

**ერთი უცნაურობა სჭირთ კიდევ ამ „სამოქალაქო აქტივისტებს" — ყველაფერს და ყოველთვის აპროტესტებენ, გარდა ნიკა გვარამიასა და ნაცების ყველაზე მიუღებელი განცხადებებისა და მოქმედებებისა. მაგალითად, მათ აზრადაც არ მოსვლიათ, რომ გაეპროტესტებინათ იმავე ნიკა გვარამიას ზემოხსენებული განცხადება ბორჯომის წყალსა და კახურ ღვინოში ჩ...მაზე. მათ არც 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალზე მათივე „კოლეგა" გოგონას უკანალის ქნევა გაუპროტესტებიათ, არც ნაციონალების პირდაპირი მოწოდებები ქვეყანაში ძალისმიერი გადატრიალების დაწყების თაობაზე...**

სამაგიეროდ, აქტიურად გააპროტესტეს კახელი მეღვინეების მიერ ნიკა გვარამიასთვის მიძღვნილი ირონიული ლექსი: **„ნიკა, შენ ღვინოს მოეშვი, შარვლის მონახე მკერავი, ორივე ერთად მო...ფსამს, გურჯაანი და თელავი"**. ეს ლექსი კახელებს საპროტესტო აქციაზე პლაკატზე ჰქონდათ დაწერილი და „სამოქალაქო აქტივისტებმა" ის გვარამიას პირად შეურაცხყოფად და „ბულინგად" მონათლეს.

გვარამაის ფრაზა „თქვენ ჩა...ფსით ღვინოში" კი თურმე არც შეურაცხყოფა ყოფილა ვინმესი, არც „ბულინგი" და, საერთოდაც, კახელმა მეღვინეებმა ნიკა გვარამიას მადლობა უნდა გადაუხადონ, რადგან ის მათ სწორ გზაზე აყენებს — აღარ გაიტანოთ ღვინო რუსეთში და „აგერ, უკრაინაში გა...ვით და იქ გაყიდეთ ეგ თქვენი ღვინო" (ცოტატა გვარამიას ერთ-ერთი ტელეისტერიკიდან).

საბოლოოდ, კახელი მეღვინეები ან აჭარელი, ზღვისპირეთში სასტუმროებისა თუ საოჯახო დასასვენებელი ადგილების მფლობელები სად „გა...ვამენ" და გვარამია კიდე სად „გა...ვამს", მაგას დრო, მომავალი და სტრასბურგის სასამართლო გვანახებს!

ნიკა გვარამია უკვე აანონსებს 18 ივლისს „რუსთავი 2"-ის ეზოში, როგორც თვითონ უწოდებს, „საყოველთაო სახალხო შეკრებას". მოგეხსენებათ, სწორედ **18 ივლისს გამოაცხადებს სტრასბურგის სასამართლო საბოლოო განაჩენს „რუსთავი 2"-ის საქმეზე და, როგორც ამ დარგის ექსპერტები ერთხმად ამბობენ, საქმე ვერ დასრულდება გვარამიასთვის სასურველი შედეგით. შესაბამისად, ხვალიდან ახალი ავანტიურები, არეულობის მცდელობები და პროვოკაციები იგეგმება. ფაქტია: წლევანდელი ზაფხული თბილისმა სულ შფოთში, აქციებში, არასტაბილურ ვითარებაში გაატარა და ნაცების მხრიდან შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას მოშორების მცდელობას შეეწირა რიგითი ქართველის შვებულება და დასვენების სეზონი...**

ამასობაში, გახარია ჯერაც თავის ადგილზეა და, შევა თუ არა ის ისტორიაში ნაცებისათვის სასურველი თიკუნით „პირსისხლიანი და თვალების დამთხრელი", მოვლენების განვითარება ნათლად დაგვანახვებს. აი, რაც შეეხება ნიკა გვარამიას, ზევით ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ის უკვე შესულია საქართველოს ისტორიაში, როგორც შაჰ-აბასის უშუალო კონკურენტი და ერთადერთი ადამიანი, რომელმაც ქართველებს ღვინოში...

**ფული უმნიშვნელოა სამშობლოს სიყვარულთან შედრებით, ხო? ჰოდა, ამ თავიანთი ათიათასიანი ხელფასებიდან ყოველთვიურად გაიმეტონ 50 პროცენტი: ზოგმა 5 — ათასი, ზოგმა — 3, ზოგმა — 2 და შექმნან ფონდი, რომელიც დაეხმარება მათ მიერ რუსეთის მიმართ გაკეთებული ტუტუცური განცხადებების შედეგად დაზარებულ მოსახლეობას. აი, ამ შემთხვევაში ვიწამებ მათ პატრიოტობას და ბოდიშსაც მოვუხდი, თუკი ოდესმე შეურაცხმიყვია ისინი**

## რუსული ფულით პარლამენტში „შეთრეული დეპუტატები“ (გვარამიას ტერმინია) „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს თურმე ნერვებს უშლიან და იმავე რუსული ფულით დაფინანსებული ტელევიზია ნერვებს არ მოუშლის, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში საქმე პირადად მას და მის ჯამაგირს ეხება.

აქტუალური თემა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გააფთრებული ანტირუსული ისტერიკის ფონზე, როდესაც ქვეყანა კინაღამ სამოქალაქო დაპირისპირებაში ჩაითრიეს დესტრუქციულმა ძალებმა და ეკონომიკა მილიონობით ლარით დააზარალეს, აუცილებელია, ნიღაბი ჩამოვხსნათ იმ პროვოკატორებს, რომლებიც „რუსეთი ოკუპანტიას“ გაჰყვირიან, თუმცა თვითონ რუსული ფულით იკვებებიან და უზარმაზარი ხელფასები აქვთ. მაგალითად, „რუსთავი 2“-ის დამფუძნებელი და 51%-იანი წილის მფლობელია რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი ნიკოლოზ ნაყოფია, ნაციონალი პარლამენტარის — კობა ნაყოფიას შვილი. აი „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის — ნიკა გვარამიას ხელფასმა კი 2018 წელს 956 000 ლარი შეადგინა, გიორგი გაბუნიას ხელფასი 301 900 ლარი იყო, ნანუკა ჟორჟოლიანის — 300 ათას ლარზე მეტი.

გთავაზობთ ჩვენს გაზეთში 2018 წლის სექტემბერში დაბეჭდილ მასალას „გვარამიას ორმაგი თამაში“, რომელიც ახლაც (განსაკუთრებით) აქტუალურია.

# გვარამიას ორმაგი თამაში

**„რუსეთის მეგობარი ჩემი მტერია, პირადი მტერი“, — არაერთხელ უთქვამს „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას და ჩრდილოელი მეზობლის მიმართ არც სალანძღავი ეპითეტები დაუშურებია. რუსეთის დაცვას ნამდვილად არ ვაპირებთ, არ სჭირდება და იმიტომ, მაგრამ გვარამიას ორმაგ თამაშზე დაწვრილებით მოგახსენებთ.**



ნიკოლოზ ნაყოფია და ნიკოლოზ გვარამია

როცა ქართულ პოლიტიკაში **ბიძინა ივანიშვილი** გამოჩნდა, ერთ-ერთი ბრალდება, რომელიც მაშინ გვარამიამ წაუყენა მას, რუსეთის მოქალაქეობა იყო. მართალია, ექსპრემიერი იმხანად საფრანგეთის მოქალაქე გახლდათ, მაგრამ გვარამიასთვის ეს არაფერს წყვეტდა, — ფული ხომ რუსეთში იშოვა და ვალშია რუსეთთანო. არც ივანიშვილის დაცვას ვაპირებთ, მასაც არ სჭირდება და იმიტომ.

ადრეც და ახლაც, **„რუსთავი 2“-ის შეფი წითელ ხაზს ავლებს იმ ადამიანებთან, რომლებსაც რუსეთთან რაიმე შეხება მაინც აქვთ. მისთვის მიუღებელია პიროვნება, რომელიც რუსეთში ბიზნესს აკეთებს; მოღალატეა რუსეთის მოქალაქე; ხოლო, თუ ჩრდილოელ მეზობელზე კარგი წამოგცდა, მაშინ გვარამიასთვის პირადი მტერი ხარ. თანაც, ბატონი ნიკა მუდმივად იმეორებს, რომ ის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტელევიზიის შეფია, იმ ტელევიზიის, რომელიც ქვეყანაში თურმე ამინდს ქმნის.**

დაახლოებით ერთი თვის წინათ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრისა და პარტიული სიით პარლამენტის დეპუტატის, **კობა ნაყოფიას,** შვილი — **ნიკოლოზ ნაყოფია** „რუსთავი 2“-ის წილის მფლობელი გახდა. მხარეებს შორის ხელშეკრულება ოფიციალურად 9 აგვისტოს გაფორმდა, საჯარო რეესტრში კი 10 აგვისტოს დარეგისტრირდა. უფრო კონკრეტულად კი, ნაყოფია გახდა შპს ტელეკომპანია „საქართველოს“ 50%-იანი წილის მფლობელი. შპს ტელეკომპანია „საქართველო“, თავის მხრივ, ფლობს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 51%-იან წილს.

უმცროსმა ნაყოფიამ ძმები ყარამანიშვილებისგან, რომლებიც ერთად ტელეკომპანია „საქართველოს“ 100-პროცენტიან წილს ფლობდნენ, კომპანიის წილები 4 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიციის განხორციელების ვალდებულებით მიიღო. ნახევარი მილიონი ნაყოფიას 2018 წლის 10 აგვისტოს, ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის, უნდა გადაეხადა, დარჩენილი 3.5 მილიონი დოლარი კი — მომდევნო სამ წელიწადში. თუ ნაყოფია ფინანსურ ვალდებულებას დათქმულ ვადაში არ შეასრულებს, ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, შეთანხმება გაუქმდება. შედეგად, დღევანდელი მდგომარეობით, „რუსთავი 2“-ის მფლობელები არიან: **ლევან ყარამანიშვილი** — 22%, **გიორგი ყარამანიშვილი** — 18%, **ნინო ნიჟარაძე** — 9% და **ტელეკომპანია „საქართველო“** — 51%.

აი, ტელეკომპანია „საქართველოს“ მფლობელები კი არიან: ლევან ყარამანიშვილი — 25%, გიორგი ყარამანიშვილი — 25% და ნიკოლოზ ნაყოფია — 50%. აი, ასე უცნაურად დაეპატრონა საკონტროლო პაკეტს ნიკოლოზ ნაყოფია და...

**ჰოი, საოცრებავ! ბატონი ნაყოფია რუსეთის მოქალაქეა, რუსეთში ცხოვრობს, რუსეთში აქვს ბიზნესი და, სავარაუდოდ, რუსეთშივე ნაშოვნი ფულით აპირებს, დააფინანსოს „რუსთავი 2“, ანუ ტელეკომპანია, რომლისთვისაც „ევროპა უკეთესია“. რა გამოდის?** გვარამიას არ სურს იმ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებსაც რაიმე შეხება აქვთ რუსეთთან, მაგრამ ძალიან უნდა ნაყოფია, იმიტომ, რომ გაკოტრებისთვის განწირულ ტელეკომპანიას ნახევარი მილიონი მაშველ რგოლად უკვე გადაუგდო და მეორე ნახევარი კიდევ გამზადებული აქვს. შესაბამისად, გვარამიას ათი ათას ლარზე მეტი ხელფასი საფრთხის ქვეშ აღარ არის და ყოველი თვის ბოლოს ის ხუთნიშნა ჯამაგირს ისევე ჩაიჯიბავს, როგორც აქამდე აკეთებდა. მისცემს თუ არა ნამუსი იმის შესაძლებლობას, რომ რუსეთში ნაშოვნი ფულით დაფინანსებული ტელევიზიის ხელმძღვანელი იყოს, ვერ გეტყვით, მაგრამ სერიოზულად ვეჭვობთ, რომ მას ისევე არ შეაწუხებს სინდის-ნამუსი, როგორც აქამდე არ აწუხებდა.

საზოგადოდ, ორმაგი სტანდარტი ქართულ მედიასა თუ პოლიტიკაში ძალიან მოდურია. უფრო კონკრეტულად, მთავარია, შემოსავალი იყოს და ერთი ხელის თითებზე ჩამოსათვლელია ის მედიასაშუალებები, რომლებსაც ერთი კონკრეტული პლატფორმა უჭირავთ, ხოლო პოლიტიკური პარტიები თითზე ჩამოსათვლელიც არ არის, რადგან თითქმის ასი პროცენტი იმის მიხედვით იცვლის თვალსაზრისს, საიდანაც შემოსავალს ელის. **რუსული ფულით პარლამენტში „შეთრეული დეპუტატები“ (გვარამიას ტერმინია) „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს თურმე ნერვებს უშლიან და იმავე რუსული ფულით დაფინანსებული ტელევიზია ნერვებს არ მოუშლის, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში საქმე პირადად მას და მის ჯამაგირს ეხება.**

ნამდვილად ვერ გეტყვით, როდის, მაგრამ **შორს არ არის დრო, როცა გვარამიასაც და სხვებსაც მოუწევთ იმის აღიარება, რომ ევროპა და ამერიკა საქართველოს მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ; რომ მათთვის ჩვენი ქვეყანა მხოლოდ მომგებიანი ტერიტორია და კარგი სავაჭრო თემაა რუსეთთან; რომ რუსეთში ნაშოვნი ფულით მარტო გვარამია კი არ იღებს ხელფასს, არამედ საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს, სწორედ ამით უდგას სული; რომ მილიონამდე ქართველი სწორედ რუსეთში შოულობს სარჩოს და ამ სარჩოს მათ არავინ აყვედრის.** გვეეჭვება, რუსეთის მასშტაბით ქართველები იმაზე ნაკლებ კრიმინალს სჩადიოდნენ, ვიდრე ევროპაში, მაგრამ რაღაც არ გვახსენდება, რომელიმე რუს მინისტრს ეთქვას, ქართველებისთვის სპეციალური რეგულაციები უნდა მივიღოთო. აი, გერმანია, იტალია და ევროპის სხვა ქვეყნები მუდმივად მაგით გვაშანტაჟებენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს თავიანთი ქვეყნებიდან, უბრალოდ, გამოყრიან ქართველებს, თუმცა იქვე მეგობრობასაც გვეფიცებიან.

**ბატონი ნაყოფია რუსეთის მოქალაქეა, რუსეთში ცხოვრობს, რუსეთში აქვს ბიზნესი და, სავარაუდოდ, რუსეთშივე ნაშოვნი ფულით აპირებს, დააფინანსოს «რუსთავი 2», ანუ ტელეკომპანია, რომლისთვისაც «ევროპა უკეთესია»**

**P.S. რუსული ფულით ნაყიდი პური ყელზე არ გადგება, ნიკალაი?..**

**P. P.S. „რუსთავი 2“-ის 9%-იანი წილის მფლობელმა ნინო ნიჟარაძემ პროკურატურას ნიკა გვარამიას წინააღმდეგ საჩივრით მიმართა. ის ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით გამოძიების დაწყებას ითხოვს.**

მოამზადა
ბესო ბარბაქაძემ

# როდის დაიწყება პოროშენკოს გარემოცვის წევრების დაპატიმრება

**უკრაინის ყოფილ პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის მრჩეველმა, იურისტმა ანდრეი პორტნოვმა ტელეარხ NewsOne-ის ეთერში განაცხადა, რომ დაიწყება პეტრე პოროშენკოს გარემოცვის მასობრივი დაპატიმრება და თვით ექსპრეზიდენტსაც არ დაინდობს თემიდა.**



მან თქვა, რომ ამჟამად პოროშენკოს დაპატიმრების ხელისშემშლელი ფაქტორია მისი ნათლიმამის, გენერალურ პროკურორ **იური ლუცენკოს** ხელისუფლებაში ყოფნა.

პოროშენკო ამხილეს 34 მილიონი დოლარის ნაღდი ფულის მითვისებაში.

**„გარკვეულ დროს, როგორც კი გაქრება ხელშეუხებლობის გარანტია, რომელიც მას გენერალურმა პროკურორმა მისცა, მთელი ეს ზვავი გეომეტრიული პროგრესიით გაიზრდება. დაიწყება ყველას დაჭერა სხვადასხვა ადგილას. ჩვენი ამოცანაა, მოვამზადოთ შუამდგომლობები, განცხადებები, რათა ერთდროულად დაიწყოს მასობრივი დაპატიმრებები“,** — განაცხადა პორტნოვმა.

მან ხალხს შეახსენა, რომ უკრაინის სამართალდამცველები ამჟამად იძიებენ სისხლის სამართლის 8 საქმეს, რომლებიც პოროშენკოს წინააღმდეგ არის აღძრული. ამასთანავე, ერთი საქმის დასრულებაც კი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ უკვე წლეულს, აგვისტოში ექსპრეზიდენტი ციხეში ჩასვან. პორტნოვმა აღნიშნა, რომ მალე აღიძვრება საქმეები კიევის მერის — **ვიტალი კლიჩკოს** წინააღმდეგ, რომელმაც ბევრჯერ გადაამეტა თავის უფლებებს. **„კლიჩკოს ელოდება სიურპრიზები. პოროშენკოს საქმიანობის ჩვენ მიერ განხორციელებული არაფორმალური გამოძიების შედეგად გამოვლინდა, რომ დანაშაულის რამდენიმე ეპიზოდი კლიჩკოსაც შეეხება. იგი ხელს აწერდა შეთანხმებებს კიევის მიწების იჯარით გაცემის შესახებ სესიის გადაწყვეტილების გარეშე. სულ მალე პირველი განცხადებები კლიჩკოს დანაშაულის შესახებ გაიგზავნება ანტიკორუფციულ ბიუროსა და გამოძიების სახელმწიფო ბიუროში. იქ რამდენიმე ასეთი ეპიზოდია“,** — ამბობს იურისტი.

უფრო ადრე პორტნოვის განცხადების საფუძველზე გამოძიების სახელმწიფო ბიურომ აღძრა სისხლის სამართლის საქმე პოროშენკოს მიერ სახელმწიფო ღალატის ფაქტზე. იურისტი მიიჩნევს, სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობაზე ყოფნის დროს პოროშენკომ უღალატა სახელმწიფოს, როცა ქერჩის სრუტეში უკრაინელი მეზღვაურები გაგზავნა.

მისივე განცხადებით, **აღძრულია საქმე პოროშენკოს მიერ ტელეარხ „პრიამოის“ უკანონოდ მითვისების თაობაზე და, აგრეთვე, იმ ფაქტის გამო, რომ მან ქარხნის გაყიდვის შედეგად თითქოს ლეგალიზაცია მოახდინა 300 მილიონი დოლარის არაკანონიერი შემოსავლის.**

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სანამ ხელისუფლება სირაქლემის პოზაში იქნება, სანამ მკაცრად არ უპასუხებს იმ გამოხდომებსა და პროვოკაციებზე, რომლებიც ძალიან გახშირდა ბოლო პერიოდში, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს ყველა მიმართულებით, მანამდე ამ დღეში ვიქნებით. ერთი მხრივ, ნათლად ჩანს, რომ რუსული ბაზრის გარდა სხვა ალტერნატივა არ გვაქვს; მეორე მხრივ კი, ამ ბაზრის დაკარგვას ხელისუფლება წინააღმდეგობას ვერ უწევს. არადა, სწორედ ეს არის ოპოზიციისა და დასავლეთის მიზანი, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ აღწევენ კიდეც.**

**ღვინის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ინფორმაციით, მიმდინარე წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით საქართველოდან მსოფლიოს 39 ქვეყანაში 33.6 მილიონი ბოთლი ღვინო გაიტანეს, მიღებულმა შემოსავალმა 87 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ახლა 39-ვე ქვეყნის ჩამოთვლას არ დავიწყებ და მხოლოდ იმ ხუთეულს შემოგთავაზებთ, რომლებშიც ქართულ ღვინოს ყველაზე მეტად ყიდულობენ.**
**მაშ ასე:**
**რუსეთი — 21 372 581**
**უკრაინა — 3 080 562**
**ჩინეთი — 2 972 733**
**პოლონეთი — 1 540 182**
**ყაზახეთი — 1 223 256**

# ქვეყანაში სოციალური აფეთქების გამოწვევა — «ნაციონალური მოძრაობის» მთავარი მიზანი



გვინდა თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ მსოფლიოს 39 ქვეყანაში გაყიდული ღვინოების უმრავლესობა, ანუ 63%-ზე მეტი, რუსულ ბაზარზე მოდის, დანარჩენი 37% კი 38 ქვეყანაზე ნაწილდება, ანუ, უხეში პროპორციით რომ დავთვალოთ, თითო ქვეყანაზე ერთი პროცენტი მოდის. ვისაც ჰგონია, რომ ასე მხოლოდ წლეულს მოხდა და რუსეთი დომინანტი მხოლოდ ახლა არის, შარშანდელ ოფიციალურ სტატისტიკასაც გაგაცნობთ: ღვინის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ინფორმაციით, 2018 წელს საქართველოდან 86.2 მილიონი ბოთლი ღვინო 53 ქვეყანაში გაიყიდა. მათგან თითქმის 54 მილიონი, უფრო ზუსტად 53 682 627 ბოთლი, რუსეთში გავიდა; მეორე ადგილზე ისევ უკრაინაა 10 687 835 ბოთლით. შესაბამისად, ძალიან მარტივი არითმეტიკაა — **ქართული ღვინის 60%-ზე მეტი რუსულ ბაზარზე იყიდება. ზუსტად იგივე პროპორციაა მინერალური წყლების მიმართაც, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტები (ხილი და ბოსტნეული), პრაქტიკულად, მთლიანად რუსეთში გაგვაქვს (ხვედრითი წილი 80%-ზე მეტია).**

ახლა საქართველოს გადავხედოთ: წლეულს სეტყვამ შიდა ქართლსა და კახეთში მოსავალი მნიშვნელოვნად დააზიანა. შიდა ქართლში ვაშლის ბაღები განადგურდა, კახეთში სეტყვამ ატმისა და ყურძნის მოსავალი გაანახევრა. ისმის ლოგიკური კითხვა: **რატომ არ გამოიყენა, წინა წლის მსგავსად, ხელისუფლებამ სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები?** გაგიკვირდებათ და, როგორც გვეუბნებიან, ეს შეგნებულად გააკეთა, ანუ მოსავალი შეგნებულად განადგურდა. მიზეზი ძალიან საინტერესოა — შარშანდელი, შარშანწინდელი და იმისწინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, ჭარბი მოსავლის პირობებში, გლეხები ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ მოსავლის რეალიზაციაში. **ხელისუფლებამ, უფრო კონკრეტულად კი, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, გლეხებს ყველანაირი სუბსიდია შეუწყვიტა და ბედის ანაბარა დატოვა. გლეხებს აქვთ მოსავალი, მზად არიან ნატურალური პროდუქტის ხელსაყრელ ფასად რეალიზებისთვის, მაგრამ არ არის გასაღების ბაზარი. აღარც ის დროა, სააკაშვილის მთავრობა მეღვინეებს რომ აიძულებდა ყურძნის შეძენას და შემდეგ ჭარბი ღვინისგან მწარმოებლები სპირტს რომ ამზადებდნენ და მის რეალიზაციას ცდილობდნენ. დღეს დიდ კომპანიებს თავიანთი ვენახები აქვთ და, ყურძნის შესყიდვა კი არა, საკუთარი მოსავლით დამზადებული ღვინისა და სპირტის რეალიზაცია უჭირთ.**

„ეს არის მთავარი მიზეზი, რომლის გამოც ხელისუფლებამ სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები არ გამოიყენა. გაფუჭებული მოსავალი ნიშნავს იმას, რომ ბაზარზე ყველაფრის დეფიციტი იქნება და გლეხები ადვილად მოახერხებენ პროდუქტის რეალიზაციას. მართალია, ეს პროდუქტი გაცილებით ძვირი იქნება და მოსახლეობის უმრავლესობა ვერ შეიძენს, მაგრამ, ბაზრის არარსებობის პირობებში, ის მაინც გაიყიდება“, — გვეუბნება ადამიანი, რომელიც აღნიშნული მიმართულებით მუშაობს.

რუსეთის ბაზარზე უარის თქმის შემდეგ გლეხობა, პრაქტიკულად, გამოუვალ მდგომარეობაშია. თავად განსაჯეთ: გასაყიდი ღვინის 60%-ზე მეტი რუსეთში გადიოდა და ახლა ეს ბაზარი აღარ არსებობს. **საზიარებელი სითხე, საქართველოსთან ასოცირებული სასმელი — ღვინო, რომელიც ჩვენს ეროვნულ სულსა და თვითმყოფადობას ასახავს, ნიკა გვარამიამ პირდაპირ ეთერშიც გვიგინა, აგინა ქრისტეს სისხლს და, ამის მიუხედავად, მის წინააღმდეგ მხოლოდ იმ გლეხებმა აღიმაღლეს ხმა, რომლებმაც აქციაზე ვაზი შვილს შეადარეს.** ფაქტია, რომ ოპოზიცია მაქსიმალურად ცდილობს, საქართველო რუსულ ბაზარს ჩამოაშოროს, რაც იმის მანიშნებელია, რომ საქართველოში მეზობელი ქვეყნიდან დაგეგმილი თანხები აღარ შემოვა. **ტურისტული სეზონის რუსული მიმართულება მოვკალით, ღვინისა და ხილის მიმართულებაც მოვკალით, ფრენები ავკრძალეთ, რაც ავიაგადაზიდვების შეჩერებასა და ხორბლის სახმელეთო გზით შემოტანას გულისხმობს. ეს პურს გააძვირებს და სოციალური აფეთქებაც ნელ-ნელა მწიფდება. სწორედ ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი მიზანი — საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად მაქსიმალურად ცდილობენ, ქვეყანაში სიტუაცია ბოლომდე არიონ, ერი დაამშიონ და ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობას ქვა აღმართში დააწიონ.**

ამ ყველაფრის ფონზე ძალიან უცნაურია ხელისუფლების დუმილი. მმართველი გუნდის წარმომადგენლები ვერ ბედავენ, თქვან, რომ რუსული ბაზრის გაუქმება საქართველოსთვის დამღუპველია; ვერც იმის თქმას ბედავენ, რომ, ბევრი მცდელობის მიუხედავად, ალტერნატიული ბაზარი, უბრალოდ, არ არსებობს, რადგან სწორედ ასეთი ბაზარი ეძება ჯერ **სააკაშვილმა**, შემდეგ — ამჟამინდელმა ხელისუფლებამ, მაგრამ ვერ იპოვეს. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ სააკაშვილის მმართველობის პირობებში, ნაციონალებმა მილიონები დახარჯეს და ქართული ღვინო მსოფლიოს 122 ქვეყანას შეტენეს (შეტენეს იმიტომ, რომ არავის სურდა შეტანა და იძულებულნი გახდნენ, სარეკლამო კამპანიის ფარგლებში შეეტანათ), მაგრამ, როგორც კი ღვინის შეტანის სანაცვლოდ ფულის გადახდა შევწყვიტეთ, ქართული ღვინისთვის ბაზარზე ადგილი არ მოინახა.



**ქართული ღვინის 60%-ზე მეტი რუსულ ბაზარზე იყიდება. ზუსტად იგივე პროპორციაა მინერალური წყლების მიმართაც, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტები (ხილი და ბოსტნეული), პრაქტიკულად, მთლიანად რუსეთში გაგვაქვს (ხვედრითი წილი 80%-ზე მეტია)**

**როგორ გგონიათ, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია და ლათინური ამერიკის ქვეყნები, რომლებიც ღვინის ყველაზე დიდი იმპორტიორები არიან, ქართულ პროდუქციას ფართო ასპარეზს მისცემდნენ და დახლზე საკუთარი ნაწარმის ადგილს დაუთმობდნენ?** რა თქმა უნდა, არა...

სამი წლის წინათ, როცა მსოფლიომ რუსეთს უმკაცრესი სანქციები დააკისრა, მსოფლიოში თევზის ერთ-ერთმა დიდმა მიმწოდებელი ქვეყნის — ნორვეგიის მთავრობამ განაცხადა, რომ სანქციებს უერთდებოდა და რუსეთში თევზის შეტანა შეწყვიტა. შეგახსენებთ, რომ **ნორვეგია, კეთილდღეობის ინდექსის მიხედვით, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ხუთეულში მუდმივად არის და იქ ცხოვრება ბევრისთვის საოცნებოა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ იმავე მთავრობამ განაცხადა, რომ ნორვეგიული თევზის უდიდესი ნაწილი სწორედ რუსეთში იყიდებოდა და რომ, ბევრი მცდელობის მიუხედავად, ნორვეგიელებმა ალტერნატიული ბაზარი ვერ ნახეს და რუსეთში თევზის შეტანაზე უარის თქმის გამო მათმა ეკონომიკამ უზარმაზარი ზარალი მიიღო. სწორედ ამ მიზეზით ნორვეგიამ სანქციები ფეხებზე დაიკიდა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) და რუსეთში ზღვის პროდუქტების შეტანა განაახლა, ანუ ქვეყნის ხელისუფლებამ იფიქრა საკუთარ ხალხზე, საკუთარ ეკონომიკაზე და არა იმაზე, რომ ამერიკისთვის ესიამოვნებინა.** რა გამოდის? ნორვეგიელები პატრიოტები არ არიან, რადგან რუსეთთან მეგობრობასა და რუსულ ბაზარზე უარი არ თქვეს, ხოლო ჩვენ პატრიოტები ვართ? თუ მშიერი პატრიოტები, რომლებსაც „ამაყად“ გვაქვს თავი აწეული და მსოფლიოს ვანახვებთ, რომ რუსეთს ხმალშემართული ვებრძვით, ამ დროს კი შიმშილით კუჭი გვიხმება? იმ მსოფლიოს, რომელსაც სულაც არ აინტერესებს, სად წავიღებთ ჩვენს ისედაც მწირ პროდუქციას და რამდენი ასეული მილიონით იზარალებს ქართული ეკონომიკა?

სამწუხაროა, რომ **ამ ყველაფერს რამდენიმე ოპოზიციური პარტია და ლამის მთელი არასამთავრობო სპექტრი აქტიურად უწყობს ხელს. ორივე მხარე დასავლეთიდან ფინანსდება, რათა ქვეყანა შიმშილის ზღვრამდე მიიყვანოს, შემდეგ კი ეს ყველაფერი რუსულ ბაზარზე არშეშვებასა და რუსულ სანქციებს დაბრალდეს. ეს ყველაფერი კი იმ პირობებში, როცა რუსული ბაზარი გახსნილიც იყო და, ასპროცენტიანი სიზუსტით გეუბნებით, აბაშიძე-კარასინის შეხვედრაზე რამდენიმეჯერ დადგა სავიზო რეჟიმის გაუქმების საკითხი.** როგორც ჩანს, ამ ინფორმაციამ გაჟონა და ევროპა-ამერიკაში მიხვდნენ, სავიზო რეჟიმის მოხსნის შემთხვევაში, რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა სხვა ფაზაში გადავიდოდა; მხარეები ნელ-ნელა მივიდოდნენ იქამდე, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან უკვე, აბაშიძე და კარასინი კი არა, ქვეყნის პირველი პირები დასხდებოდნენ. სავარაუდოდ, სწორედ ასეთ შეხვედრაზე გაირკვეოდა რეალობა — დაინახავდა ხალხი, რომ რუსეთთან საუბარი შეიძლება, რომ კონფლიქტების მოგვარებაზე საუბარი შეიძლება, რომ ყინულის ის დიდი მასა, რომელიც სწორედ ევროპამ და ამერიკამ შემოახვიეს საქართველოს, შესაძლებელია, ნელ-ნელა გალღვეს.

ჰოდა, **სანამ ხელისუფლება სირაქლემის პოზაში იქნება, სანამ მკაცრად არ უპასუხებს იმ გამოხდომებსა და პროვოკაციებზე, რომლებიც ძალიან გახშირდა ბოლო პერიოდში, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს ყველა მიმართულებით, მანამდე ამ დღეში ვიქნებით. ერთი მხრივ, ნათლად ჩანს, რომ რუსული ბაზრის გარდა სხვა ალტერნატივა არ გვაქვს; მეორე მხრივ კი, ამ ბაზრის დაკარგვას ხელისუფლება წინააღმდეგობას ვერ უწევს. არადა, სწორედ ეს არის ოპოზიციისა და დასავლეთის მიზანი, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ აღწევენ კიდეც.**

**ბესო ბარბაქაძე**

**რაც შეეხება ვლადიმერ პუტინსა და საქართველოს ისტორიას, სხვებთან ერთად მეც აღმაშფოთა რუსეთის პრეზიდენტის ნათქვამმა, მაგრამ მერე გამახსენდა მისი ფრაზა: აგვისტოს ომის შემდეგ ახალი რეალობა შეიქმნაო, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ოსებსა და აფხაზებს კატეგორიულად აღარ უნდათ საქართველოს შემადგენლობაში ცხოვრება და ამ თემაზე აფხაზებსა და ოსებს ელაპარაკეთ თვითონ ქართველები, რუსეთი ხელს არ შეგიშლითო. სწორედ ეს მესიჯი ამოვიკითხე პუტინის საქართველოს ისტორიის ცოდნაში და ვფიქრობ, ეს არის მთავარი და არა ის, როდის შეუერთდნენ აფხაზები და ოსები რუსეთს.**



ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ისტორია რუსულად და ვირო მადლი ქართულად

**იმის ატანა, რაც ბოლო ხანს რუსთაველის გამზირზე ხდება, შეუძლებელია — დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე ძაღლი პატრონს ვერ ცნობს. ლიბერასტულად მოაზროვნე ქართველი ახალგაზრდების ნაწილი, გურიაში რომ იტყვიან, შიშველი გადარეულებიო, ლამის ერთი თვეა, ისტერიკულად გაჰკივიან: რუსეთი ოკუპანტიაო, რასაც, ძნელია, არ დაეთანხმო. გავიგეთ, ვიცით, ბატონო, მაგრამ მერე რა? აღვირახსნილი რუსოფობიური შინაარსის ლოზუნგებისა და გიჟპოეტა კოტე ყუბანეიშვილის „პოეზიის“ გარდა, დეოკუპაციისთვის სხვას რას გვთავაზობენ ზემოხსენებული ახალგაზრდები თუ მათ ზურგს ამოფარებული და საპროტესტო აქციების მაკონტროლებელ-დამფინანსებელი ნეოლიბერასტული იდეოლოგიის მიშ-ნაცები და „ევროპული საქართველოს“ გიგ-ნაცები?**

ვფიქრობ, მსგავსი კითხვები უსარგებლო რიტორიკაა და გვიჯობს, ბოლო ხანს საქართველოში და მის გარეთ მომხდარის და, რაც მთავარია, მოსალოდნელი მოვლენების ანალიზი ვცადოთ, ამისთვის ცოტა შორიდან მოგვიწევს დაწყება.

2014 წლის იანვარ-თებერვალში სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ლამის პარალელურად, მსოფლიოს ნეოლიბერასტულმა ძალებმა (წაიკითხე აშშ) ე.წ. მაიდნის დემოკრატიული რევოლუციის კომუფლაჟით, სინამდვილეში კი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად უკრაინაში დამყარდა ფაშისტური შეფერილობის რეჟიმი, რომელმაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდა ერთმანეთს ისტორიულ-კულტურულად პრაქტიკულად ერთი ერი, მოძმე უკრაინელი და რუსი ხალხები, რომელთა შორის სისხლიანი კონფლიქტი დღემდე გრძელდება.

ამ სისხლიანი მოვლენების პარალელურად რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** უილაჯო დასავლეთის თვალწინ უკრაინას ყირიმის ნახევარკუნძული სრულიად უსისხლოდ „აახია“ და ისტორიული სამართლიანობა აღადგინა; რადგან ისტორიამ იცის მხოლოდ რუსეთის იმპერიის „ოკრაინა“, ანუ განაპირა ნაწილი, ან უკეთეს შემთხვევაში — „მალოროსია“, ანუ მცირე რუსეთი და არაფერი სმენია უკრაინის, როგორც სახელმწიფოს, შესახებ, რომელსაც სსრკ-ში გასაერთიანებლად ფიქტიური სახელმწიფოებრივი სტატუსი **ვლადიმერ ლენინმა** უბოძა, ხოლო **ნიკიტა ხრუშჩოვმა** ვოლუნტარისტული ბრძანებით რუსული სამხედრო დიდების მოწმე და კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო კერა — ყირიმი, ლენინის მიერ „გამომცხვარ“ საბჭოთა უკრაინას აჩუქა.

მიუხედავად იმისა, რომ „დემოკრატიული“ დასავლეთი ერთხმად აღნავლდა და „ჩაგრულ უკრაინასთან“ სოლიდარობის მიზნით რუსეთი ევროსაბჭოდან გარიცხა და მრავალი პოლიტიკურ-ეკონომიკური სანქცია დაუწესა „აგრესორს“, გაეროს 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სესიაზე, 2015 წლის 28 სექტემბერს, ვლადიმერ პუტინმა ისტორიული გამოსვლის დასასრულს ლიბერასტულ დასავლეთს (წაიკითხე აშშ) მიმართა: ახლა მაინც თუ ხვდებით „ჩტო ნატვარილი“-ო, ანუ რაც მიქარეთო? ამ სიტყვებით, რომ იტყვიან, კარი გაიჯახუნა და მეორე დღესვე რუსეთის ავიაკოსმოსურმა ძალებმა სირიაში ისლამისტი ტერორისტების პოზიციების დაბომბვა დაიწყეს. და რა ხდება დღეს სირიაში?

**სადამ ჰუსეინის** ბედის გაზიარებას არათუ გადაურჩნენ **ბაშარ ასადი** და მისი ოჯახი, არამედ ტერორისტულმა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“, როგორც კულტურული საზოგადოების უბოროტესმა მტერმა, მიუხედავად პენტაგონის აშკარა თუ ფარული მხარდაჭერისა, პრაქტიკულად, არსებობა შეწყვიტა.

ახლა მავანი იტყვის და ერთი შეხედვით სამართლიანადაც — სად ჩვენ და სად სირია, რაში გვაინტერესებს იქ მიმდინარე მოვლენებიო?! მაგრამ ეს — მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან... (რედაქციისგან: სირიის ამბები უნდა გვაინტერესებდეს თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთს სირიის კამპანია რომ არ წამოეწყო, ბაშარ ასადის დღეები დათვლილი იყო და ტერორისტთა შემდეგი სამიზნე სამხრეთ კავკასია, პირველ რიგში კი საქართველო იქნებოდა. ამიტომ ნიშნავდნენ პანკისიდან წინა დღეს ჩასულ ყველასთვის უცნობ ხალხს არმიის მეთაურებად და სხვადასხვა სამხედრო ხელმძღვანელად. ტერორისტების კავკასიაზე შემოტევის შემთხვევაში რა ბედი გველოდა ქართველებს, ამაზე ყველაზე კარგად მეტყველებს სირიის მართლმადიდებლური ქალაქის — მაალულას ისტორია: იქ ტერორისტებმა ერთ (!) დღეში ოცდაათ ათასამდე მართლმადიდებელი ქრისტიანი ქუჩებში ცხვრებივით დაკლეს, მათი სისხლი დალიეს და, რაც ვერ ჩახეთქეს, ბოთლებში ჩაასხეს და ბაზრებში გაყიდეს).

**რუსეთის მიერ სირიის დაბომბვა იმის ნიშანი იყო, რომ რუსეთის პრეზიდენტმა შეასრულა 2007 წლის მიუნხენის მსოფლიო უსაფრთხოების კონფერენციაზე მისივე დანაპირები და რუსეთის იმპერია მსოფლიო გეოპოლიტიკაში ტრიუმფით დაბრუნდა.** მსოფლიო ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, შესაბამისი დასკვნები თითქმის ყველა სახელმწიფომ გააკეთა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ „თითქმისში“ არ აღმოჩნდა საქართველო, რომელიც უკრაინასთან ტანდემში კვლავ ნატო-ევროპის ქიმერის დევნაშია და, რა „სიკეთეებიც“ მოუტანა ამ დევნამ ორივეს, კარგად ვხედავთ...

ახლახან კი ევროსაბჭოდან დიდი რიხით გარიცხული რუსეთი დიდი პატივით დააბრუნეს უკან. რუსეთის პოლიტიკური ტრიუმფი უკრაინის დელეგაციის ისტერიკის ფონზე მიმდინარეობდა — ევროსაბჭოს სხდომა დემარშით დატოვა კიევის დეპუტაციამ, რომელსაც არამკითხე მოამბესავით დაუჭირა მხარი საქართველოს დეპუტაციამ.



**მსოფლიო ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, შესაბამისი დასკვნები თითქმის ყველა სახელმწიფომ გააკეთა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ «თითქმისში» არ აღმოჩნდა საქართველო, რომელიც უკრაინასთან ტანდემში კვლავ ნატო-ევროპის ქიმერის დევნაშია და, რა «სიკეთეებიც» მოუტანა ამ დევნამ ორივეს, კარგად ვხედავთ**

ევროსაბჭოში რუსეთის ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დაბრუნება იმას ნიშნავს, რომ ევროპა მიხვდა რუსეთისთვის პოლიტიკურ-ეკონომიკური სანქციების დაწესების უაზრობას. იქიდან გამომდინარე, რაც რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ყირიმის თემა დახურულია და რუსეთი ამაზე მსჯელობას არავისთან აპირებს, ევროსაბჭომაც პრაგმატული გადაწყვეტილება მიიღო და ყირიმის თემა გაურკვეველი ვადით თაროზე შემოდო...

ამ ყველაფრიდან საქართველოს ის მარტივი დასკვნა მაინც უნდა გაეკეთებინა, რომ, თუ დასავლეთმა დიდ უკრაინას „დაადო“ თავის ყირიმიანად, არც პატარა საქართველოსთვის (თავის სოხუმ-ცხინვალიანად) გამოიდებს თავს.

მაგრამ რა?

პარადოქსია — **ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს „აგრესორი“ რუსეთის ყველა დონეზე პოლიტიკურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის პროცესი და სწორედ მის პირდაპირპროპორციულად მატულობს საქართველოში აღვირახსნილი რუსოფობია.**

სწორედ ამ პარადოქსულმა ფაქტმა განაპირობა ის, რაც დღეს რუსთაველის პროსპექტზე ხდება. გავრილოვი, გეიაღლუმი და „რუსთავი 2“ საქართველოს წინააღმდეგ საერთაშორისო შეთქმულების გრძელი ჯაჭვის ცალკეული რგოლებია მხოლოდ და, რას მოგვიტანს ეს ყველაფერი უახლოეს მომავალში, უკრაინის მაგალითიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია — როგორც კიევს „აახიეს“ სამუდამოდ ყირიმი და ხვალ-ზეგ იგივე ბედი ელის ლუგანსკსა და დონბასს, ასევე სამუდამოდ „აგვეხევა“ (თუ უკვე „ახეული“ არ გვაქვს) სოხუმ-ცხინვალი და რიგში აჭარა-მესხეთ-ჯავახეთი ჩადგება.

აი, ეს არის ის სამწუხარო რეალობა, რომელიც მხოლოდ ურაპატრიოტული ვარდისფერი სათვალიდან არ ჩანს, სათვალიდან, რომელიც პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე ერთობ იოლი საშოვნელია, თუმცა მხოლოდ გულწრფელ ურაპატრიოტიზმთან რომ გვქონდეს საქმე, რაღა გვიჭირს.

პარლამენტის წინ აქცია შინაარსობრივად, დიდი ხანია, გასცდა ე.წ. ოკუპაციის საწინააღმდეგო პროტესტის ჩარჩოებს და ნარკომანების, ლგბტ პირების, სატანისტი ხლისტების, რევანშისტი მიშნაცების მიერ მართულ დაფინანსებულ აქციად იქცა.

ცალკე თემაა აქციის უვადობა და აქედან გამომდინარე ერთი კითხვა მაქვს ქოცების ფარჩაკ ხელისუფლებასთან: **რუსთაველის გამზირი ამდენი ხნის განმავლობაში რომ არის პარალიზებული, ამით ჩემი, როგორც მოქალაქის, უფლებები არ ირღვევა?** ან მიმდებარე სახლებში მცხოვრებმა მოქალაქეებმა რა დააშავეს, მთელი თვეა, ყურისწამღებ ხმაურსა და ბილწსიტყვაობას რომ ისმენენ?

დასასრულ, როგორც წინა წერილში ვწერდი, „რუსთავი 2“-ის პროვოკაციამ პირველი შედეგი გამოიღო — რუსეთ-საქართველოს შორის ავიამიმოსვლა შეწყდა და ტურისტული სეზონი, პრაქტიკულად, ჩავარდა, რის გამოც მილიარდობით ლარით აზარალა რიგითი ქართველები. ვლადიმერ პუტინმა უარი თქვა საქართველოსთვის შემდგომი სანქციების დაწესებაზე და ამით რუსოფობი პოლიტიკოსების აღშფოთება გამოიწვია, — პუტინს ქართველი ხალხი ფეხებზე ჰკიდია, უბრალოდ, პოლიტიკური ქულები ჩაიწერაო.

ასეც რომ იყოს (ეჭვი მეპარება), მერე რა — სანქციების არდაწესება ხომ ყველა ვარიანტში კარგია საქართველოსთვის?! აქედან გამომდინარე, თუ მადლობას არ იტყვი, გაჩუმდი მაინც, მაგრამ არა, ვლადიმერ პუტინის მიერ, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩადენილ სიკეთეს ღვინოში ჩაფსმის მუქარით უნდა უპასუხო და სწორედ ამას ჰქვია, ვირო მადლიო, თუმცა სად მადლი და სად ბინძური „რუსთავი 2“?!

რაც შეეხება ვლადიმერ პუტინსა და საქართველოს ისტორიას, სხვებთან ერთად მეც აღმაშფოთა რუსეთის პრეზიდენტის ნათქვამმა, მაგრამ მერე გამახსენდა მისი ფრაზა: აგვისტოს ომის შემდეგ ახალი რეალობა შეიქმნაო, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ოსებსა და აფხაზებს კატეგორიულად აღარ უნდათ საქართველოს შემადგენლობაში ცხოვრება და ამ თემაზე აფხაზებსა და ოსებს ელაპარაკეთ თვითონ ქართველები, რუსეთი ხელს არ შეგიშლითო. სწორედ ეს მესიჯი ამოვიკითხე პუტინის საქართველოს ისტორიის ცოდნაში და ვფიქრობ, ეს არის მთავარი და არა ის, როდის შეუერთდნენ აფხაზები და ოსები რუსეთს.

მაგრამ **რა უნდა ველაპარაკოთ კავკასიური ტომის და, აქედან გამომდინარე, გენეტიკურად ვაჟკაც ოსებსა და აფხაზებს, რით უნდა მოვხიბლოთ, რომ ჩვენთან ერთად იცხოვრონ — ყოველ 17 მაისს სოხუმ-ცხინვალ-თბილისში ერთდროული გეი-აღლუმის ჩატარებით? ღმერთის უარყოფით? პატრიარქის შეურაცხყოფით? წინაპართა საფლავებში ჩაფურთხებით? სტუმარმასპინძლობის წმინდა ადათის უარყოფით თუ რით?**

სამწუხაროდ, მართალია რუსეთის პრეზიდენტი. მისი მხრიდან საქართველოს ისტორიის ცოდნა-არ ცოდნის მიუხედავად, დღეს ახალი რეალობაა და არა მხოლოდ საქართველოში. ყველაფრიდან ჩანს, რომ მსოფლიოს გადანაწილების პროცესი დასასრულს უახლოვდება და ამ პროცესის დასრულების შედეგად დამყარებულ სტაბილურობას არც დიდი უკრაინის და, მით უმეტეს, პატარა საქართველოს გამო, არავინ დაარღვს.

მაშ, სად არის გამოსავალი, რა უნდა გავაკეთოთ ფიზიკური გადარჩენისა და მენტალური გადაგვარების საფრთხეების ასაცილებლად?

ათასგზის ნათქვამს გავიმეორებ: ზემოხსენებული გლობალური პროცესების შედეგად, საქართველო ერთმორწმუნე რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო ქოლგის ქვეშ უნდა აღმოჩნდეს; ისე, როგორც ეს 220 წლის წინათ სულკურთხეული მეფე ერეკლეს მეცადინეობით მოხდა. ერეკლეს გზით სიარულისკენ რუსეთში მცხოვრები მილიონზე მეტი ქართველის ფაქტორიც გვიბიძგებს.

**დავით მხეიძე**

## გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დონბასში ჩასულ ნოდარ მეძმარიაშვილს იქ დახვდა კავშირის მასშტაბით ცნობილი სამთო საქმის სპეციალისტი, საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის მოადგილე ელიზბარ მინდელი, რომელიც სტალინის უშუალო მითითებით დანგრეული მაღაროების უსწრაფესად აღსადგენად იყო მივლინებული. ბატონი ელიზბარი ე. წ. მინისტრის სახლში ცხოვრობდა, სადაც ხშირად იბარებდა ახალგაზრდა ინჟინერს, რომლის სკრუპულოზურად შესრულებული სამე მეტად მოსწონდა. ახალგაზრდებისადმი არანაკლებ ყურადღებას იჩენდა ბატონ ელიზბარის მეუღლე თამარ ახვლედიანი. ნოდარ მეძმარიაშვილი თავის პირველ მასწავლებლად და გზის გამკვლევად სწორედ სტალინური წრთობის კადრს, ელიზბარ მინდელს, მიიჩნევს.**

# სტალინური წრთობის კადრები

## ნოდარ მეძმარიაშვილი — კაცი, რომელმაც დონეცკი ააშენა



ნოდარ მეძმარიაშვილი

**მე და ბატონი ანზორ ბურჯანაძე მანქანით მივდიოდით მეგობრის საფლავის მოსანახულებლად, როცა ჩემი მობილური ტელეფონის ზარის ხმა გაისმა:**
**— მაპატიეთ, ბატონო გრიშა, თუ შეგიძლიათ, მინდა, ორი წუთი მომისმინოთ.**

— გისმენთ ყურადღებით, ბატონო, — მივმართე უცნობს და ცალი თვალი ანზორისკენ გავაპარე, ვიცი რომ ძალიან არ მოსწონს, როდესაც მასთან ხარ და მობილურით სხვას ესაუბრები.

— ბატონო გრიშა, თქვენ შეიძლება მიცნობთ, **ნოდარ მეძმარიაშვილი** გესაუბრებით, მინდა, გითხრათ, რომ აღფრთოვანებული ვერ თქვენი შრომისმოყვარებითა და სტაბილურობით. თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. მიკვირს, როგორ ასწრებთ ან სად აგნებთ ამდენ დოკუმენტურ მასალას, რომლებიც თქვენ მკითხველის წინაშე გამოგაქვთ. „საქართველო და მსოფლიოს" ასეულობით ეგზემპლარი აკინძული მაქვს და სამუშაო მაგიდაზე წიგნად მიდევს. მინდა, შესრულებული უზარმაზარი სამუშაოსთვის უდიდესი მადლიერება და პატივისცემა გამოვხატო თქვენ მიმართ.

— ულრმესი მადლობა, ბატონო ნოდარ, ასეთი შეფასებისთვის! ვეცდები, კვლავ დავიმსახურო თქვენი ყურადღება, — ვუპასუხე ბატონ ნოდარს და, როცა ანზორ ბურჯანაძეს გადავხედე, მისი გამომეტყველებით მივხვდი, რომ გაბრაზების ზღვარზე იყო მისული. ბატონ ნოდარს დავემშვიდობე და ანზორს მივმართე:

— შენი შიშით ქებაც ვერ მომისმენია, ესაა მეგობრობა? — ვუთხარი ანზორს. მაგრამ ვიცი, რომ ის ჩემზე ამაყი იყო, როდესაც მეგობარზე ასეთ სახოტბო სიტყვებს ისმენდა და თანაც ვისგან.

— ნოდარ მეძმარიაშვილზე მსმენია, მაგრამ მასთან ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში შეხება არ მქონია, იცნობ ამ პიროვნებას?

— არ მიკვირს, ნოდარ მეძმარიაშვილს რომ არ იცნობ, ის მეცხვარე არასოდეს ყოფილა, არც გურიაში უმუშავია თოხით, დიდხანს ცხოვრობდა და მუშაობდა მოსკოვში, საქართველოში კი მშენებლობის მინისტრად მოღვაწეობდა. აბა, საიდან უნდა შეხვედროდი?! — აი, ასეთი „დამამცირებელი" პასუხი მივიღე მეგობრისგან. მოგვიანებით ერთი-ორი თბილი სიტყვაც გაიმეტა:

— სტალინური წრთობის კადრებზე წერილებს რომ აქვეყნებ, შენი წერილებისთვის უფრო კარგ ობიექტს ვერ შეარჩევ, მასალას კი მე მოგაწვდი. საღამოს გამოგიგზავნი მის მიერ ახლახან გამოცემულ შესანიშნავ წიგნს და, რომ წაიკითხავ, მიხვდები, ვინ არის ნოდარ მეძმარიაშვილი.

საღამოს ბატონი ანზორის მძღოლმა, ჩემმა მეგობარმა მიშამ, წიგნი გადმომცა. ჩანთიდან ამოვიღე აკურატულად ჩადებული საკმაოდ მოზრდილი ფორმატის გამოცემა, ისეთი, დანახვისთანავე თვალს რომ მოგტაცებს. გემოვნებით გაფორმებულ გარეკანზე ოსტატობით შესრულებულ სურათს ერთვოდა დამაინტრიგებელი სათაური **„ოქროს აკვანი მოწამეთაში"**, ავტორი ნოდარ მეძმარიაშვილი. წიგნის ფურცელ-ფურცელ თვალიერება დავიწყე. აღმოჩნდა, რომ 400-გვერდიანი წიგნის მესამედი სტალინს ეძღვნება. ერთ ეპიზოდს ინტრიგისთვის ახლავე შემოგთავაზებთ. სხვა უამრავ მეგობარს შორის ბატონ ნოდარ მეძმარიაშვილს სტალინის თანამედროვე და სტალინთან შეხვედრილი დიდი თუ პატარა თანამდებობის პირები მეგობრებად უქცევია, მათ შორის პოპულარული მსახიობი **ლეონიდ უტიოსოვი**, რომლის მონაყოლიც ბატონ ნოდარს უცვლელად შეუტანია თავის მემუარებში:

### სტალინი და ლეონიდ უტიოსოვი

ომის წინა წლებში მოსოვში, კრემლში, სტალინის წინადადებით „პოლიარნიკებისთვის" შეხვდრა მოაწყვეს. საზეიმო ნაწილის შემდეგ, „ჩელუსკინელების" ექსპედიციის მონაწილეებისთვის, მათი გადამრჩენი მფრინავებისთვის, ჩრდილოეთ პოლუსზე მოდრეიფე **პაპანინის** ჯგუფისა და სხვა გმირებისთვის, კრემლის წახნაგოვან პალატაში სტალინისა და პოლიტბიუროს სხვა წევრების მონაწილეობით საზეიმო ბანკეტი გაიმართა. საკონცერტო ნაწილში საბჭოთა ხელოვნების კორიფეები გამოდიოდნენ. უკრავდა ლეონიდ უტიოსოვის ჯაზ-ბენდიც. უტიოსოვი თავის წიგნში „სიმღერით ცხოვრების გზაზე" წერს: „რამდენიმე პოპულარული ნომერი შევასრულეთ, ამ დროს ჩემთან მოვიდა მამაკაცი და ჩუმად მითხრა:

— დაუკარით და იმღერეთ სიმღერა „ს ოდესკოგო კიჩმანა ბეჟალი დვა ურკანა".

— თვალები შუბლზე ამივიდა, თმა ყალყზე დამიდგა, ეს „შავი სამყაროს" ერთ-ერთი „ბლატნოი" სიმღერა იყო. ამ ადამიანს ყველაფერი ავუხსენი და სიმღერის შესრულებაზე უარი განვუცხადე. ის გაბრუნდა. თვალი გავაყოლე, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ ვილაც მამაკაცთან მივიდა და ყურში რაღაც უჩურჩულა. მანაც მოისმინა, გულმოსულმა თავი გაიქნია და ჩემკენ გამოემართა.

— მე უშიშროების პოლკოვნიკი ვარ, სიმღერის შესრულება თვითონ სტალინმა მოითხოვა, ახლავე შეასრულეთ ეს ნომერი! — ყურში მითხრა უცნობმა.

— რაღას ვიზამდი?! ბიჭებს გადავულაპარაკე, მათაც გაუკვირდათ, მაგრამ სიმღერა მაინც სიამოვნებით შევასრულეთ. ტექსტს მთელი სერიოზულობით ვმღეროდი, იყო ტაში. არ მეშლება, სტალინს თვალზე ცრემლი შევნიშნე!"

მკითხველს გაუჩნდება კითხვა: რა კავშირი აქვს მოწამეთაში დადგმულ ოქროს აკვანს ჩვენს იუბილართან (წიგნი ბატონ ნოდარ მეძმარიაშვილის მრგვალ თარიღს ეძღვნება. ავტორი წლოვანებას არ მიუთითებს და მე რა უფლება მაქვს გავთქვა?!)?

საქმე კი შემდეგშია: აზნაურ **ნესტორ მეძმარიაშვილსა** და მის მეუღლე **ვასასი გელაზონიას** ოთხი ულამაზესი გოგონა გაუჩნდათ და გაზარდეს კიდეც სახელოვან ადამიანებად, მაგრამ „აზნოური, რისი აზნოურია, თუ გვარის გამგრძელებელს არ დატოვებს?" ეს ძალიან აწუხებდა ახოვანებით გამორჩეულ ნესტორს. სხვისი რჩევით თუ ღმერთის შეგონებით, დაგროვებულ ოქროს კიდევ მიუმატეს და ოქრომჭედელს მიადგენენ, რათა ამ ოქროს სამკაულებიდან მოხატული ოქროს აკვანი გაეკეთებია. ამ აკვნით ხელდამშვენებული ცოლ-ქმარი მოწამეთის ეკლესიის ეზოში შევიდა და ძვირფასი შესაწირი დიდი რიტუალით ეკლესიაში შეაბრძანა, შემდეგ ლოცვა აღავლინა, მემკვიდრის გაჩენის თხოვნით და დიდი ძღვენი უფალს შესწირა. ერთი წლის თავზე, 1900 წლის 20 ოქტომბერს, ღვთის მადლითა და ოქროს აკვნის ძალით ქვეყნიერებას მოევლინა **აკაკი ნესტორის ძე მეძმარიაშვილი** — ბატონი ნოდარის მამა. ნესტორ მეძმარიაშვილი და ქალბატონი ვასასი ოჯახისა და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი აღესრულნენ, მათ მიერ მოწამეთაში დადგმული ოქროს აკვანი კი დღესაც არ კარგავს თავის ბრწყინვალებას და საქართველოს უმრავლებს მეძმარიაშვილების გვარს...




შახტმშენებელი სამმართველოს უფროსი ნოდარ მეძმარიაშვილი ულოცავს მეშახტეთა ბრიგადას პირველი ქვანახშირის მოპოვებას. ფოტო გაზეთ „პრავდიდან" 25 აგვისტო, 1957 წ.

> **«პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაუყოვნებლივ ვაცნობე ეს სასიხარულო ამბავი, თან ვთხოვე, ოჩალოვს ღირსეულად დახვედროდნენ. მეორე დღეს რუსულმა ასეულმა მართლაც დატოვა სოხუმი»**

1949 წელს ნოდარ მეძმარიაშვილი, როგორც წარჩინებული სტუდენტი და მომავლის იმედი, საწარმოო პრაქტიკის გასავლელად მოსკოვში მიავლინეს. ხარბი ქალაქის მიერ გამოჭმული სტუდენტური მწირი ბიუჯეტი არ იძლეოდა საშუალებას, პრაქტიკის წარმატებით გავლის შემდეგ სამშობლოში დროულად დაბრუნებულიყო, რადგან მატარებლის იაფასიანი ბილეთები გაყიდული იყო. ძვირად ღირებული ბილეთის შესაძენად თანხა არ ჰქონდა. მოსკოვში, ტვერის ბულვარზე, მეგობართან ერთად მიმავალი ნოდარი ხმამაღლა მსჯელობდა, როგორ ჩასულიყვნენ სამშობლოში დროულად. მათ უკან მომავალი დაბალი, ჭარმაგი კაცი ყურს უგდებდა ორი ახალგაზრდის საუბარს. ახალგაზრდების შეჩერებისას კაციც ჩერდებოდა, ასე გაგრძელდა, სანამ ერთ დიდ შენობას არ გაუსწორდნენ. აქ კი ჭარმაგი კაცი დაწინაურდა, სადარბაზოსთან შეჩერდა და ახალგაზრდებს უთხრა, გაჰყოლოდნენ. მესამე სართულზე წითელი ხალიჩით გაწყობილ დერეფანში მიდიოდნენ, როცა ისინი ერთ კართან შეაჩერა კაცმა და ოთახში შეუძღვა. ოთახის კართან პატარა აბრაზე ეწერა: „სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე **ბესარიონ ჩოდრიშვილი**". ბიჭები მიხვდნენ, სადაც მოხვდნენ. „ბესარიონ ჩოდრიშვილი რომელიღაც თანამშრომელს ტელეფონით მოეთათბირა და ცოტა ხნის შემდეგ კონვერტში ჩადებული ორი ძვირად ღირებული ბილეთი გადმოგვცეს მატარებლისა, რომელიც მეორე დღის 12 საათზე გადიოდა. მდაბლად დავუკარი თავი მასპინძელს და გარეთ გამოვედით", — იგონებს ბატონი ნოდარი.

მოსკოვიდან მომავალი სტუდენტი მეგობრები ცნობილი რევოლუციონერის, სტალინის მეგობრის — სერგო ქავთარაძის კუპის გვერდით მოხვდნენ. სერგო მალე მიხვდა, რომ სტუდენტი ახალგაზრდები საკმარისად ვერ ნაყრდებოდნენ. იმ სადგურებში, რომლებშიც იყიდებოდა კვების პროდუქტები, სერგო ქავთარაძე ახალგაზრდებს ავალებდა, ჩასულიყვნენ, პროდუქტები შეეძინათ და ვაგონში ამოეტანათ იმდენი რაოდენობის, რამდენსაც სერგო უკვეთავდა. შემდეგ სანოვაგე ორად იყოფოდა. ასე კომფორტულად ამგზავრეს ორი ხელმოკლე სტუდენტი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოსკოვიდან თბილისამდე. დღეს კი ხელისუფლების წარმომადგენლები არათუ მხარში უდგანან სტუდენტობას და საზოგადოებას, ჩვეულებრივი მოკვდავისთვის მათი სახის დანახვაც კი შეუძლებელია ტელეეკრანის მიღმა.

ომში დანგრეული საბჭოთა კავშირი ევროპასთან ერთად ფეხზე დგებოდა, ფეხზე დგებოდა ნოდარ მეძმარიაშვილიც, როგორც თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი, რომელიც ბოლო სასწავლო პრაქტიკის გასავლელად მოსკოვში სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ქართული პავილიონის სარეკონსტრუქციის სამუშაოებს ასრულებდა. ასე ყალიბდებოდა ნესტორ და ვასასი მეძმარიაშვილების შვილიშვილი — ნოდარ მეძმარიაშვილი. ის შემდეგ იმ ოქროს აკვნიდან ამოყვანილი ყრმა იქნება, რომელიც მსოფლიოში ცნობილ სამრეწველო ცენტრ დონეცკს ააშენებს და მისი საპატიო მოქალაქეც გახდება.

შეიძლება აღწერო მოვლენა, შემთხვევა, ტრაგედია, კომედია, მაგრამ აღწერა იმ შრომისმოყვარეობის, გამძლეობისა და საქმისადმი სიყვარულის, რომელიც ნოდარ მეძმარიაშვილმა დონბასში გამოავლინა, ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. **რამ შეაძლებინა შეუძლებელი ბატონ ნოდარს?** — დონბასში ჩასულ ნოდარ მეძმარიაშვილს იქ დახვდა კავშირის მასშტაბით ცნობილი სამთო საქმის სპეციალისტი, საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის მოადგილე **ელიზბარ მინდელი**, რომელიც სტალინის უშუალო მითითებით, დანგრეული მაღაროების უსწრაფესად აღსადგენად იყო მივლინებული. ბატონი ელიზბარი ე. წ. მინისტრის სახლში ცხოვრობდა, სადაც ხშირად იბარებდა ახალგაზრდა ინჟინერს, რომლის სკრუპულოზურად შესრულებული სამე მეტად მოსწონდა. ახალგაზრდებისადმი არანაკლებ ყურადღებას იჩენდა ბატონ ელიზბარის მეუღლე — **თამარ ახვლედიანი.** ნოდარ მეძმარიაშვილი თავის პირველ მასწავლებლად და გზის გამკვლევად სწორედ სტალინური წრთობის კადრს — ელიზბარ მინდელს მიიჩნევს.

მკითხველი უკეთ რომ გაერკვეს, რას და რატომ ედავებიან უკრაინელები და რუსები ერთმანეთს დონეცკის ოლქში, დონეცკის ამშენებელს ნოდარ მეძმარიაშვილს მოუსმინოთ:

### დონეცკი (სტალინო)

„ქალაქი სტალინო ახალგაზრდა ქალაქია, მისი დაარსების თარიღი 1869 ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მოსკოვიდან მომავალი სტუდენტი მეგობრები ცნობილი რევოლუციონერის, სტალინის მეგობრის — სერგო ქავთარაძის კუპის გვერდით მოხვდნენ. სერგო მალე მიხვდა, რომ სტუდენტი ახალგაზრდები საკმარისად ვერ ნაყრდებოდნენ. იმ სადგურებში, რომლებშიც იყიდებოდა კვების პროდუქტები, სერგო ქავთარაძე ახალგაზრდებს ავალებდა, ჩასულიყვნენ, პროდუქტები შეეძინათ და ვაგონში ამოეტანათ, იმდენი რაოდენობის, რამდენსაც სერგო უკვეთავდა. შემდეგ სანოვაგე ორად იყოფოდა. ასე კომფორტულად ამგზავრეს ორი ხელმოკლე სტუდენტი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოსკოვიდან თბილისამდე. დღეს კი ხელისუფლების წარმომადგენლები არათუ მხარში უდგანან სტუდენტობასა და საზოგადოებას, ჩვეულებრივი მოკვდავისთვის მათი სახის დანახვაც კი შეუძლებელია ტელეეკრანის მიღმა.

# ომში დანგრეული საბჭოთა კავშირი ევროპასთან ერთად ფეხზე დგებოდა. ფეხზე დგებოდა ნოდარ მეძმარიაშვილიც, როგორც თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი, რომელიც ბოლო სასწავლო პრაქტიკის გასავლელად მოსკოვში სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ქართული პავილიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ასრულებდა. ასე ყალიბდებოდა ნესტორ და ვასასი მეძმარიაშვილების შვილიშვილი — ნოდარ მეძმარიაშვილი. ის შემდეგ იმ ოქროს აკვნიდან ამოყვანილი ყრმა იქნება, რომელიც მსოფლიოში ცნობილ სამრეწველო ცენტრ დონეცკს ააშენებს და მისი საპატიო მოქალაქე გახდება


Пролетарии всех стран, соединяйтесь!
СОЦИАЛИСТИЧЕСКИЙ ДОНБАСС
Суббота, 13 февраля 1971 года

УКАЗ ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР

О НАГРАЖДЕНИИ КОМБИНАТА «ДОНЕЦКЖИЛСТРОЙ» ОРДЕНОМ ОКТЯБРЬСКОЙ РЕВОЛЮЦИИ

За досрочное выполнение коллективом комбината заданий пятилетнего плана, достигнутые высокие технико-экономические показатели в жилищном строительстве наградить комбинат «Донецкжилстрой» орденом Октябрьской Революции.

Председатель Президиума Верховного Совета СССР
Н. ПОДГОРНЫЙ.
Секретарь Президиума Верховного Совета СССР
М. ГЕОРГАДЗЕ.
Москва, Кремль.

◀ წელია, როდესაც ინგლისელმა ბიზნესმენმა, ჯონ ჰიუზმა, ამ ადგილას მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა დაიწყო, ქარხნის ირგვლივ მუშათა და მოსამსახურეთა დასახლება გაჩნდა. ამ დასახლებას დამფუძნებლის პატივსაცემად მისი სახელი უწოდეს — იუზოვკა.

* ქალაქის სტატუსი დასახლებამ 1917 წელს მიიღო, ამ დროისათვის მცხოვრებთა რაოდენობამ 10 000-ს მიაღწია.

* 1924 წელს ქალაქ იუზოვკას სახელი გადაარქვეს და სტალინო უწოდეს.

* 1932 წელს ამ ადგილას დაარსდა ოლქი, რომლის დედაქალაქიც სტალინო გახდა, იმავე წელს შემუშავდა ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმა.

* 1941 წლის 26 ოქტომბრიდან 1943 წლის 8 სექტემბრამდე გერმანელმა ფაშისტებმა სტალინო ოკუპაციაში მოაქციეს და თითქმის მთლიანად გაანადგურეს.

* 1947 წელს ქალაქის ომისშემდგომი რეკონსტრუქცია დაიგეგმა, შედგა მისი განვითარების გენერალური გეგმაც.

* მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ქალაქის ცენტრალური და მთავარი ქუჩები გაშენდა.

* 1958 წელს დასრულდა ქალაქ სტალინოსა და მთლიანად ოლქის სასმელი და სარწყავი წყლით მომარაგების გრანდიოზული გეგმა „სევერსკი დონეცკ-დონბასის ხელოვნური მდინარის მშენებლობა“, ამ მხრივ სიტუაცია შეიცვალა. ქალაქი ბაღებითა და სკვერებით დამშვენდა, განვითარდა სოფლის მეურნეობა. ეს ყველაფერი სტალინის პირადი მითითებითა და სტალინური კადრების მონდომებით, მათი გმირული შრომით შესრულდა.

* 1961 წელს ნ. ხრუშოვმა გადაარქვა ქალაქს სახელი და დაარქვა დონეცკი.

* 1961 წელს დონეცკში მემილიონე მოქალაქე დაიბადა. ამ ფაქტის აღსანიშნავად ქალაქში მილიონი ვარდი დარგეს. ამავე წელს დონეცკს „მილიონი ვარდის ქალაქი“ უწოდეს. 1970 წელს ქალაქი დონეცკი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

სწორედ ამ ქალაქში ჩავიდა 1951 წლის ივნისის ერთ მზიან დღეს სტალინური წრთობის გასავლელად კიდევ ერთი ქართველი ყმაწვილი. აი, როგორი დახვდა მას ქალაქი.

1957 წელს 25 აგვისტოს აღინიშნა მაღაროელთა დღე. ქვეყნის პოპულარულ გაზეთ „პრავდის“ იმ დღის ნომრის პირველ გვერდზე ერთადერთი ფოტო გამოქვეყნდა მინაწერით: „ჩარხმშენებელი სამმართველოს უფროსი ნოდარ მეძმარიაშვილი ულოცავს მაღაროელთა ბრიგადას პირველი ქვანახშირის მოპოვებას.

დონბასელთა შრომის შედეგებზე აჭრელებული იყო საკავშირო თუ ადგილობრივი პრესის ფურცლები, გაზეთების პირველ გვერდებზე იბეჭდებოდა ნოდარ მეძმარიაშვილისა და გმირი მეშახტეების პორტრეტები. **„ზეიმი ზეიმს მისდევდა, წარმატება — წარმატებას. შრომითმა მიღწევებმა მიბიძგა სტუმართმოყვარეობისაკენ,** — იგონებს ბატონი ნოდარი, — **და მეც გადავწყვიტე, ჩვენი სამმართველოს უდიდესი მოგების ხარჯზე მოწინავე მეშახტეებისათვის პიკნიკი მომეწყო. მოვაწყვე კიდეც. ამ პიკნიკის ამბავი ზემდგომ ორგანოებში შეიტყვე და ზედმეტ ხელგაშლილობად ჩათვალეს. დაავალეს რაიონულ კომიტეტს, საკითხი ბიუროზე განეხილათ, ჩემს დასაცავად აღდგა დიდი თუ პატარა. სასჯელმა საყვედურზე გადაიარა, როცა შეეძლოთ პარტიიდანაც კი გავერიცხე“.**

დღეს, პიკნიკს მართავს კი არა, მილიონებს ისე მოისვრის მშიერი ქვეყნის ხელისუფლება, უკანაც არ მოიხედავს. ეს მაშინ, როდესაც მიწისქვეშეთიდან შავი ოქრო გამოდიოდა, დღეს კი კაპიკის ღირებულების არაფერი კეთდება.

ბატონ ნოდარს „გრძელი როქის“ გაკეთება მოუწია. ოღონდ არა თავისი ნებით, არამედ ხელისუფლების მოფიქრებითა და დაინტერესებით. მიწისქვეშეთის რაინდი მიწის ზედაპირზე ამოიყვანეს და ოლქის ბინათმშენებლობა ჩააბარეს. **თუ „მოკლე როქი“ ის იყო, რომ პრესტიჟული სამშენებლო ფაკულტეტის „უპატრონო“ ფრიადოსანი სტუდენტების ერთი ნაწილი (15 სტუდენტი) სამთო ფაკულტეტზე გადაიყვანეს (სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე), დადგა დრო, რომ მას „გრძელი როქის“ გაკეთებაც მოუწია და საგუბარში წყალი ისევ ჩადგა და ნახიდარზე ხიდი ისევ გაიდო. ბატონმა ნოდარმა არც აქ შეირცხვინა თავი და დონბასის აღმშენებელთა პირველი თაობის მეთაური გახდა. უდიდესი წარმატება, რომელიც ბატონ ნოდარს დაუღალავმა შრომამ მოუტანა, იყო ის, რომ იუნესკოს მსოფლიო კონკურსზე ახალგაზრდა განვითარებად ინდუსტრიულ ქალაქებს შორის დონეცკი გამარჯვებული გამოვიდა. მეშახტეთა დასახლებამ მყისვე გაითქვა სახელი მსოფლიოში, როგორც ულამაზესმა ქალაქმა. ყველაფერი კი იმ ვარდის ნერგებით დაიწყო, რომლებიც ქართველმა ყმაწვილმა სიყვარულითა და მზრუნველობით საქართველოდან დონეცკში ჩაიტანა.**

1991 წელს, საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ელჩი რუსეთის ფედერაციაში, ტელეფონით დაუკავშირდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ბოლო მინისტრს, მარშალ **იაზოვს** და სთხოვა საქართველოს დელეგაციის მიღება სხვადასხვა საკითხზე სასაუბროდ, დელეგაციის მიღებამდე კი სთხოვა, პირადად მიეღო. იაზოვმა ნოდარ მეძმარიაშვილი იმავე დღეს, საღამოს 22 საათზე, მიიღო თავის კაბინეტში.

„დანიშნულ დროს მარშალთან გამოვცხადდი. გულითადად მიმიღო. მისი სამუშაო მაგიდის კუთხეში ვიჯექი. იქვე ახლოს ორი სქელი წიგნი დავინახე, უბრალო მწვანე ყდით — „სამამულო ომის ისტორია“. კარგად ვიცნობდი ამ სერიის ყველა გამოცემას, თუმცა ასეთი ეგზემპლარი ნანახი არ მქონდა, დავინტერესდი ამ ჩემთვის უცნობი გამოცემით.

**— ის ჯერ არ გამცემულა, ახლა ვუკეთებ რედაქტირებას, ჩემი აზრით, მასში სტალინის როლი დაკნინებულია და ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება. სამამულო ომის წლებში ლეიტენანტი ვიყავი, სტალინისა და სამშობლოსთვის თავს ვწირავდი, ახლა ამ გამოცემის მთავარი რედაქტორი ვარ და ამიტომ, სანამ კორექტირებას არ შევიტან, წიგნი არ დაიბეჭდება!** — განმიმარტა მარშალმა.

სტალინი და სამამულო ომი ჩემი საყვარელი თემა იყო. საუბარს შუა ღამემდე შევყევით.

საქართველოს დელეგაცია მოკოვში მეორე დღეს ჩამოფრინდა. დელეგაციის წევრები წინასწარ გავაფრთხილე: იაზოვი სტალინის თაყვანისმცემელია და შეეცადეთ, ცუდი არაფერი თქვათ მის შესახებ-მეთქი. შეხვედრა უსიამოვნო ექსცესით დაიწყო. დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა ჩემი რჩევა არ გაითვალისწინა და დაიწყო სტალინის აუგად მოხსენიება; ვანიშნებდი, გაჩუმებულიყო, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ვხედავ, საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი სახეზე წამოჭარხლდა, ბოლოს ველარ მოითმინა, მაგიდას ხელი დაარტყა და ბრძანების კილოთი განუცხადა ქართულ დელეგაციას:

— ვის უყვებით ამ ზღაპრებს, მე სტალინის ხელმძღვანელობით ვიცავდი სამშობლოს, მის ბრძანებებს ვასრულებდი, მზად ვიყავი, ტანკს დაუფიქრებლად შევვარდნოდი, სამშობლოსა და სტალინისათვის გამეწირა თავი!

სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. ბოლოს ისევ იაზოვმა გამოგვიყვანა მდგომარეობიდან და მომმართა:

— ნოდარ აკაკის ძევ, თქვენ მთხოვეთ, სადესანტო ასეულის სოხუმიდან გაყვანა, ახლავე გადავწყვეტ ამ საკითხს! — თქვა მინისტრმა, ღილაკს თითი დააჭირა და გენერალი **ოჩალოვი** გამოიძახა. ორიოდე წუთში მის კაბინეტში შემოვიდა მაღალი, მშვენიერი გარეგნობის ახალგაზრდა გენერალი და მინისტრს უპატაკა:

— ამხანაგო საბჭოთა კავშირის მარშალო, გენერალი ოჩალოვი თქვენი ბრძანებით გამოცხადდა!

— თქვენი სადესანტო ასეული აფხაზეთშია გადასროლილი, ახლავე გაფრინდით სოხუმში და ხვალ, 12 საათზე სოხუმიდან ტელეფონით პირადად მომახსენეთ, რომ დესანტი აფხაზეთიდან გაყვანილია. გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო საბჭოთა კავშირის მარშალო.

პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** დაუყოვნებლივ ვაცნობე ეს სასიხარულო ამბავი, თან ვთხოვე, ოჩალოვს ღირსეულად დახვედროდნენ.

მეორე დღეს რუსულმა ასეულმა მართლაც დატოვა სოხუმი“.


ომის შედეგად დანგრეული შენობები ქ. სტალინოს ცენტრში



ასე გამოიყურება დონეცკი დღეს

გაზეთის ფორმატი საშუალებას არ მაძლევს, სრულად მოგიყვეთ ლეგენდარული ქართველის, სახელმოხვეჭილი მშენებლისა და საზოგადო მოღვაწის შესახებ, რომლის შესახებაც აღწერილია შესანიშნავ წიგნში „ოქროს აკვანი მოწამეთაში“. წერილის წერის დაწყებამდე ბატონ **ჯუმბერ პატიაშვილს** დავურეკე და ვკითხე: ბატონო ჯუმბერ, ჩანახატს ვაკეთებ ნოდარ მეძმარიაშვილზე, მე დიდ ქართველად მესახება მისი პიროვნება, გადაჭარბებული ხომ არ არის ჩემი წარმოდგენა მასზე-მეთქი.

— რაც უნდა მოინდომო, ნოდარ მეძმარიაშვილის გაკეთებულ საქმეებზე გადაჭარბებულ შეფასებას ვერ გააკეთებ. ის უაღრესად ნიჭიერი, შრომისმოყვარე, პატრიოტი და ნამდვილად დიდი ქართველია. ნოდარ მეძმარიაშვილმა ააშენა დონეცკი, რომელზეც ისევე წუხს, როგორც თავის ქალაქზე, — მიპასუხა ბატონმა ჯუმბერმა.

დასასრულ, ბოდიშს ვუხდი ბატონ ნოდარს, რომ ამ წერილში ჯეროვანი პატივი ვერ მივაგე მის უბრწყინვალეს მეუღლეს — გალინას, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ბატონი ნოდარისა და მისი დიდებული ოჯახის შექმნა-ბედნიერებაში. ნათელში იყოს მისი სული!

**ოქროს აკვნით ხელდამშვენებული ცოლ-ქმარი მოწამეთის ეკლესიის ეზოში შევიდა და ძვირფასი შესაწირი დიდი რიტუალით ეკლესიაში შეაბრძანა, შემდეგ ლოცვა აღავლინა მემკვიდრის გაჩენის თხოვნით და ძღვენი უფალს შესწირა. ერთი წლის თავზე, 1900 წლის 20 ოქტომბერს, ღვთის მადლითა და ოქროს აკვნის ძალით, ქვეყნიერებას მოევლინა აკაკი ნესტორის ძე მეძმარიაშვილი — ბატონი ნოდარის მამა. ნესტორ მეძმარიაშვილი და ქალბატონი ვასასი ოჯახისა და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილნი აღესრულნენ, მათ მიერ მოწამეთაში დადგმული ოქროს აკვანი კი დღესაც არ კარგავს თავის ბრწყინვალებას და საქართველოს უმრავლებს მეძმარიაშვილების გვარს...**

**P.S. ძვირფასო მკითხველო! სტალინის მოღვაწეობისა და ჩვენი უახლესი ისტორიის შესახებ ახალი საარქივო მასალების მოსაპოვებლად მივემგზავრები როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, აგრეთვე, ევროპაში. ახალი და საინტერესო მასალებით სექტემბრიდან დავუბრუნდები ჩვენს საყვარელ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“.**

**გაწეული თანაგრძნობისა ყურადღებისთვის კი, მადლიერების ნიშნად, თავს გიხრით!**

ინტერვიუ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არ შეიძლება, სასულიერო პირებად იწოდებოდნენ ადამიანები, რომლებიც საჯაროდ უპირისპირდებიან თავიანთი საპატრიარქოს ოფიციალურ პოზიციას, შეურაცხყოფენ იერარქებს სოდომიის პროპაგანდის გაპროტესტების გამო, ცილს სწამებენ მღვდლებს, ლანძღავენ მრევლს. სხვათა შორის, თქვენ მიერ ჩამოთვლილი მღვდლები არაერთხელ დასჯილან. ამის გამო ხან ერთ ეპარქიაში გადაბარგდნენ, ხან — მეორეში. მღვდელი ილია ჭიღლაძე კი საქართველოში ვერსად გაჩერდა და ევროპაში წავიდა. ეტყობა, „სადაც იყო საუნჯე მისი, იქაც იყო გული მისი“**

# ლიბერალი «მამაოები» ლგბტ-უფლებადამცველებს შეუერთდნენ

## ლევან ჩაჩუა: დაე, ბოლომდე ჩამოიხსნან ნიღბები, ბოლომდე გაშიშვლდნენ და გამოაჩინონ ნამდვილი სახე



**ქვეყანაში მიმდინარე მკვეთრი ანტილგბტ და ანტილიბერალური პროცესების კვალდაკვალ (რაც, როგორც ჩანს, სულ მალე კიდევ უფრო ფართომასშტაბიან წინააღმდეგობაში გადაიზრდება) სოროსის გრანტნაჭამი ლიბერასტების მიერ ატეხილ მოთქმა-გოდებას რამდენიმე სასულიერო პირიც შეუერთდა. „მამაოებმა“, რომლებიც აქამდე თავიანთ დასავლურ-ნეოლიბერალურ თვალსაზრისს ირიბად გამოხატავდნენ, ამჯერად ნიღაბი ჩამოიხსნეს და ყოველგვარი ანტილიბერალური გამოვლინების მოწინააღმდეგეებად წარმოგვიდგნენ.**

იმ დღეებში, როცა სააღლუმოდ აცუნდრუკებული ლგბტ-ები რუსთაველზე კოლჰოტიანი კაცების კუნტრუშს აანონსებდნენ, ხოლო მრევლი და ჭეშმარიტი ქრისტიანული სწავლების დამცველი სამღვდელოება, დედაქალაქის მასშტაბით, ანტისოდომისტურ დემონსტრაციებს მართავდა, ანაფორას ამოფარებულმა ერთ-ერთმა მედასავლეთე აფერისტმა, სულგაყიდულმა ფსევდომამაო **ლეონ გელოვანმა** სოციალურ ქსელში დაწერა: შეპყრობილია ყოველი მღვდელი თუ საერო პირი, რომელიც ძალადობას ზურგს უმაგრებსო და ა.შ. მისი აზრით, მამათმავლობისა და სხვა მსგავსი უზნეობის გაპროტესტება (მით უფრო, რომ აქ საუბარია ამ უზნეობის პროპაგანდის გაპროტესტებაზე) ძალადობაა. კიდევ უფრო შეუვალი და კატეგორიული იყო შეფასებებში ტელეშოუებისა და „ტაბულას“ ვარსკვლავი, დეკანოზი **პეტრე კვარაცხელია,** რომელმაც ქვეყნის მტერი უწოდა ყველას, ვინც ამა თუ იმ ჯგუფზე (ცხადია, მხედველობაში ჰყავდა მამათმავლობის პროპაგანდისტი ე.წ. სექსუალური უმცირესობები) თითქოს ძალადობს. ამას მოჰყვა „ლიბერალი“ დეკანოზის, **ილია ჭიღლაძის,** შეფასება სოციალურ ქსელში. მან „ბნელი გრუზინების“ მიმართ კიდევ უფრო მძიმე სიტყვების კორიანტელი დააყენა და ქუჩაში მამათმავლობის პროპაგანდის წინააღმდეგ გამოსულ სამღვდელოებას „ახალი სინედრიონი“ უწოდა.

მოკლედ, ლიბერალურმა ისტერიკამ ეკლესიაშიც შეაღწია და იდეოლოგიური აღსასრულის მოახლოებით თავზარდაცემული ანაფორიანი იუდების პირით თუ ხელით განგაშის ზარები დაარისხა.

ვინ არიან დღეს რეალურად ეკლესიის წიაღში მყოფი „ლიბერალები“, რომლებიც სასულიერო პირებად მოიხსენიებიან? ვის ინტერესებს ემსახურებიან ისინი?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, ამ დღეებში, როცა საზოგადოება, სამღვდელოებასთან ერთად, უზნეობის პროპაგანდას აპროტესტებდა და დაძაბულობამ პიკს მიაღწია, რამდენიმე სასულიერო პირი წერდა, რომ ეს არის ძალადობა ქრისტეს სახელით, რომელიც ანგრევს და ღუპავს ქვეყანას. მაგალითად, ასეთ შეფასებებს აკეთებდნენ დეკანოზი პეტრე (კვარაცხელია), დეკანოზი ილია (ჭიღლაძე), მამა ლეონი (გელოვანი). განვუმარტოთ საზოგადოებას: ვინ არიან ეს ადამიანები, რა იდეოლოგიას ემსახურებიან და ვინ დგას მათ უკან, მრევლი რომ არ დგას, გასაგებია...**

— ეკლესია არის ცოცხალი ორგანიზმი და მასში მუდმივად მიმდინარეობს პროცესები. აქ მნიშვნელოვანია, ერთმანეთში არ ავურიოთ ეკლესია, როგორც ორგანიზაცია, და ეკლესია, როგორც ორგანიზმი — ქრისტეს მისტიკური სხეული. ეს სხვადასხვა რამეა, ანუ ეკლესიის ორგანიზმი არის წმინდა, უცვლელი და მოციქულებრივ უცდომელ სწავლებაზე დაფუძნებული.

რაც შეეხება ეკლესიის საორგანიზაციო მხარეს, იქ შეიძლება იყოს პრობლემები. შესაძლოა, გამოჩნდეს ვინმე ეპისკოპოსი ან მღვდელი, რომელიც თავისი აზროვნებითა და მსოფლმხედველობით გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ამ ყველაფერს, მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევებია, რომლებიც რეაგირებას მოითხოვს. **როცა ეს კატეგორია არ შეისმენს შეგონებას, ზღვარს გადავა და საფრთხედ იქცევა ეკლესიისთვის, მათ მიმართ ზომები უნდა გატარდეს. ჩვენ გვახსოვს სასულიერო პირები, მათ შორის მაღალი იერარქებიც, რომლებიც სისხლიან „ნაციონალურ მოძრაობას“ უჭერდნენ მხარს და „მიშა, მიშას“ გაიძახოდნენ. ახლა ზოგიერთი მათგანი ლგბტ-უფლებადამცველივით ამეტყველდა, თუმცა ამით მხოლოდ საკუთარ რეპუტაციას აზიანებს.** ეკლესიას მაცხოვარმა აღუთქვა, რომ „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან“!

**— ეკლესიას, შესაძლოა, ვერაფერი დააკლონ, მაგრამ „ლიბერალური“ პროპაგანდის იარაღად ნამდვილად იქცნენ.**

— ეს უკვე მათი არჩევანია, თვითონვე გადაწყვიტეს, ემსახურონ ამ პროპაგანდას. რა გაეწყობა, ყოველთვის იყვნენ ეკლესიაში სალი და არაჯანსალი ძალები. რაც შეეხება შეფასებებს, რომ თურმე მოძალადეა ყველა, ვინც 8 ივლისს რუსთაველზე იდგა და მამათმავლობის პროპაგანდას აპროტესტებდა, ჯერ ერთი, სად დაინახეს ძალადობა? აბსოლუტურად მშვიდობიანი შეკრება იყო; და მეორე — სოდომიის პროპაგანდის მიუღებლობაა ძალადობა?! იქნებ პირიქითაა და ისინი ძალადობენ ჩვენს შვილებზე, როდესაც ქუჩებში გამოდიან ტრანსპარანტებით: „გაფერადდი, გახდი ჩემნაირი!“ **კი მაგრამ, იქნებ არ მინდა ჩემი შვილი მათნაირი იყოს, არ მაქვს ამის უფლება?! რატომ გვაძალებენ ეს უცხოური მისიები, საელჩოები, გრანტებს დახარბებული არასამთავრობოები და მათი თანამოაზრე „პრადვინუტი მღვდლები“, მივიღოთ მამათმავლური ბილწი ცხოვრების წესი?! ვინმემ მათ შვილს აიძულა, მონათლულიყო ან ძალით დაეწერა ჯვარი მეუღლესთან?!** ან რომ დაუჩემებიათ, ქრისტე სიყვარულს ქადაგებს და არა სიძულვილსო, სად წაიკითხეს, მამათმავლობის ქადაგება ნორმალური და მისაღებიაო?! „სიყვარული სიყვარულია“ — ეს ხომ ლიბერასტების ცნობილი ლოზუნგია და მღვდელმა როგორ უნდა გაიმეოროს ეს სიცრუე?! ბუნებრივია, არანაირი განსხვავება მათ გამონათქვამებსა და იმ ლგბტ აქტივისტების „ქადაგებას“ შორის ამ კონკრეტულ საკითხში არ არსებობს. ისინიც და ესენიც ცდილობენ, სოდომური ცხოვრების წესის მიმართ საზოგადოებაში მეტი შემწყნარებლობა-შემგუებლობა დაამკვიდრონ. **რა მნიშვნელობა აქვს, ცისარტყელას ფერებში გამოწყობილი გააკეთებ ასეთ განცხადებებს თუ ანაფორაში გადაცმული?!**

ისე, სიმართლე გითხრათ, მე ეს ხალხი არ მიმაჩნია დიდ საფრთხედ, იმიტომ, რომ უკვე გაშიფრულნი არიან და მათ მრევლი არ ჰყავთ. ყველა ხედავს და ხვდება, რა ძალებსაც ემსახურებიან. ასე რომ, **რაც მეტს ილაპარაკებენ, მით უფრო ჩამოიხსნიან ნიღაბს და გამოაჩენენ ცხვრის ქურქში გახვეული მგლის სახეს...**

**— და მაინც, როგორ ფიქრობთ, ვერ ხვდებიან ეს ადამიანები, რომ მსგავსი განცხადებებით ავტორიტეტს კარგავენ?**

— ეს არის ხალხი, რომელსაც არასდროს ჰქონია ავტორიტეტი და ვერც ექნებათ, ამიტომ ამ ადამიანებს ეს არ აწუხებთ.

**— ისე, საინტერესოა, როგორ მოხვდნენ ეკლესიაში ასეთი პირები?**

— უმთავრესი თვისება, რომლითაც ისინი გამოირჩევიან, არის ფარისევლობა. მათ შეუძლიათ შენიღბვა, თუმცა, როგორც წესი, მალევე იშიფრებიან, რადგან „არა არს დაფარული, რომელი არა გაცხადდეს“. საერთოდ, ვფიქრობ, უღირსი სასულიერო პირების საქმეები და განცხადებები მათი უპირველესი მამხილებელია.

ზომებს რაც შეეხება, ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ეკლესია უნდა იყოს პრინციპული. აუცილებლად უნდა დადგეს ასეთი ფარისევლების პასუხისმგებლობის საკითხი.

**— როგორ წარმოგიდგენიათ ეს პასუხისმგებლობა?**

— როგორ და როგორც სჯულის კანონი ადგენს. პირველ შემთხვევაში შეიძლება გააფრთხილო. მათ უკვე ჰქონდათ არაერთი გაფრთხილება, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი, უბრალოდ, უნდა მოიკვეთონ. **არ შეიძლება, სასულიერო პირებად იწოდებოდნენ ადამიანები, რომლებიც საჯაროდ უპირისპირდებიან თავიანთი საპატრიარქოს ოფიციალურ პოზიციას, შეურაცხყოფენ იერარქებს სოდომიის პროპაგანდის გაპროტესტების გამო, ცილს სწამებენ მღვდლებს, ლანძღავენ მრევლს. სხვათა შორის, თქვენ მიერ ჩამოთვლილი მღვდლები არაერთხელ დასჯილან. ამის გამო ხან ერთ ეპარქიაში გადაბარგდნენ, ხან — მეორეში. მღვდელი ილია ჭიღლაძე კი საქართველოში ვერსად გაჩერდა და ევროპაში წავიდა. ეტყობა, „სადაც იყო საუნჯე მისი, იქაც იყო გული მისი“** და ბოლოს ფიზიკურადაც იქ აღმოჩნდა... ბარემ გაიხადონ ანაფორა და დახეული, დაძონძილი ჯინსებით შეუერთდნენ იმ მოძრაობას; უფრო თავისუფლებიც იქნებიან და სხვებსაც აღარ დააბრკოლებენ.

**— რატომ ვერ ხერხდება დღემდე ამ ადამიანების მოშორება ეკლესიის წიაღიდან? რა უშლის ხელს წმინდა სინოდს? ხომ არ ფიქრობთ, რომ ამის მიზეზი გარკვეული პოლიტიკური გავლენებია?**

— არა, ეს პოლიტიკურ დონეზე გადასაწყვეტი საკითხი არ არის, ეს ეკლესიის საშინაო საკითხებია და შიგნითვე უნდა მოგვარდეს, მაგრამ ჩვენი უწმინდესი ძალიან ლმობიერი, მიმტევებელი და მოსიყვარულე ადამიანია, რითაც მავანი ბოროტად სარგებლობს. ეს „მოსარგებლეები“ არიან ჩვეულებრივი კომფორმისტები, მათი სული და გული არის ევროპაში, ამიტომ, რაც მალე იქნება რეაგირება, მით უკეთესი, პირველ რიგში, მათი სულებისთვისაც. საგულისხმოა ისიც, რომ **ეს მღვდლები აშკარად ცდილობენ, დაისაჯონ, რათა „პროგრესისთვის მებრძოლი წამებულების“ მანტია მოისხან და ისე გაემგზავრონ დასავლეთში. იმავეს ცდილობდა დეკანოზყოფილი ბასილ კობახიძეც, თუმცა ბოლოს თვითონვე გაიხადა ანაფორა და, როგორც თავად ამბობდა, „პიერ კარდენის შარვალ-კოსტუმით“ გაემგზავრა ევროპაში.**

აქვე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო ჩვენს ქრისტესმიერ ძმებსა და დებს: **როდესაც ჩვენი ეკლესიის ეპისკოპოსები, ასეულობით სასულიერო პირი ქუჩაშია გამოსული და უზნეობას აპროტესტებს, ყველას გვეკისრება ჩვენი წილი პასუხისმგებლობა. არ შეიძლება, შინ დავრჩეთ და შორიდან ვუყუროთ ამ ყველაფერს. ეს არ არის ერთი და ორი კაცის საქმე, ეს სრულიად საქართველოს ღირსების საკითხია. თითოეული ჩვენგანი მოვალეა, დაიცვას სამშობლო, ზნეობა და მომავალი, ვინაიდან, ერთიანობის გარეშე, ერთსულოვნებისა და ერთმანეთისადმი სოლიდარობის გარეშე ვერც ერთ ამ ფასეულობას ვერ შევინარჩუნებთ.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«კი მაგრამ, იქნებ არ მინდა, ჩემი შვილი მათნაირი იყოს, არ მაქვს ამის უფლება?! რატომ გვაძალებენ ეს უცხოური მისიები, საელჩოები, გრანტებს დახარბებული არასამთავრობოები და მათი თანამოაზრე «პრადვინუტი მღვდლები», მივიღოთ მამათმავლური ბილწი ცხოვრების წესი?! ვინმემ მათ შვილს აიძულა, მონათლულიყო ან ძალით დაეწერა ჯვარი მეუღლესთან?! ან რომ დაუჩემებიათ, ქრისტე სიყვარულს ქადაგებს და არა სიძულვილსო, სად წაიკითხეს, მამათმავლობის ქადაგება ნორმალური და მისაღებიაო?! «სიყვარული სიყვარულია» — ეს ხომ ლიბერასტების ცნობილი ლოზუნგია და მღვდელმა როგორ უნდა გაიმეოროს ეს სიცრუე?!»**

რაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დეპუტატები, მინისტრები აუცილებლად დაისვენებენ ძვირად ღირებულ სასტუმროებში — „შერატონში“, „ჰილტონში“ და უამრავ ფულსაც დახარჯავენ. შემდეგ, საქართველოში რომ მოიხდიან პატრიოტულ ვალს, აუცილებლად წავლენ მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებულ კურორტებზე. ჰო, ის კი არავის ემახსოვრება, რომ აღნიშნული სასტუმროების ქსელი, რომლებიც საქართველოში ოპერირებენ, უცხოელებისაა და იქ დახარჯული ფული ისევ უცხოელთა ჯიბეში და მათი ქვეყნების ბიუჯეტში მიდის. საოჯახო ტიპის სასტუმროებს არ იკადრებენ პარლამენტარები და იქ ისევ ჩვენ, რიგითი მოკვდავები, უნდა წავიდეთ, თუმცა იაფი არც ის არის.**

# პატრიოტიზმი ქართულად ძალიან ძვირი ჯდება და მხოლოდ ერთ მხარეს ნუ სთხოვთ პატრიოტობას

**„გაატარე ზაფხული საქართველოში“ — ამ სახელწოდების პიარაქცია საქართველოში ერმა თუ ბერმა მას შემდეგ დაიწყო, რაც ანტისაოკუპაციო აქციად მონათლულმა, შემდეგ კი პოლიტიკურ აქციაში გადაზრდილმა გამოსვლამ საქართველოდან რუსი ტურისტები გააქცია. გაქცევას ვინ ჩივის, რუსებმა ჯავშნებიც გააუქმეს და განაცხადეს, რომ საქართველოში ჩამოსვლას უსაფრთხოების არარსებობის გამო აღარ აპირებენ. რუსი ტურისტების მიმართ რამდენიმე ადამიანის აგრესიული დამოკიდებულება შეიქნა ამ გადაწყვეტილების მოტივატორი და, იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობის უმრავლესობა რუს ტურისტებს არ ერჩის, ერთი და ორი არაკაცის აგრესიულმა გამოხდომამ ისინი შეაფიქრიანა და, სამწუხაროდ, ვერც გაამტყუნებ.**




ჰოდა, დაიწყო კამპანია „გაატარე ზაფხული საქართველოში“ და სოციალურ ქსელებში, რიგითი ადამიანების გარდა, მოწოდებას ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლებიც აქტიურად გამოეხმაურნენ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კარგად შეიფუთა პატრიოტული სულისკვეთებით — თუ პატრიოტი ხარ, სწორედ საქართველოში უნდა დაისვენო და არა სხვაგან. აბა, რა ძნელი მისახვედრია ის, რომ, როცა ქვეყანას უჭირს, როცა ჩვენივე უთავბოლობით მხოლოდ რუსი ტურისტებისგან ქართულ ეკონომიკაში შემოსასვლელ 500 მილიონ დოლარზე მეტ თანხას გზა გადავუკეტეთ, სამშობლოს მხარში ხომ უნდა ამოვუდგეთ, მაგრამ...

მოწოდებას „სიხარულით“ გამოეხმაურნენ საქართველოს კურორტებიც და ფასდაკლებაც კი დააწესეს ქართველებისთვის. ერთ კონკრეტულ მაგალითს გეტყვით: ბათუმში ერთ-ერთ სასტუმროში დასვენება დღე-ღამეში 250 დოლარი ღირს. ათი დღე რომ დაისვენოთ მეუღლესა და შვილთან ერთად, 2500 დოლარის გადახდა მოგიწევთ, ანუ 7125 ლარის. აი, რამდენიმე ტურისტული კომპანია კი საინტერესო კრუიზებს გვთავაზობს: ბარსელონაში 10-დღიანი კრუიზი — 3 ათასი ლარი, ეგვიპტეში — 2500 ლარი, ანკარაში — 2500 ლარი. **სერვისი ზუსტად იგივეა, რაც ბათუმში, მაგრამ ფასი — განახევრებული. ახლა ვინმემ უნდა აგვიხსნას, რატომ უნდა დავისვენოთ საქართველოში და არა ესპანეთში, თურქეთში, ეგვიპტეში... ჩვენ თუ გვთხოვთ პატრიოტიზმს, იმ სასტუმროს მეპატრონეები არ არიან პატრიოტები თუ ჩემს პატრიოტიზმზე უნდა გააკეთონ ფული და მერე მე და ჩემნაირებმა მთელი წელი ვიშიმშილოთ?! მშიერ კუჭზე პატრიოტიზმი ცოტა რთული ასაქმელია და ამასაც აგიხსნით, რატომ.**

ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ანუ **დეპუტატები, მინისტრები აუცილებლად დაისვენებენ ძვირად ღირებულ სასტუმროებში — „შერატონში“, „ჰილტონში“ და უამრავ ფულსაც დახარჯავენ. შემდეგ, საქართველოში რომ მოიხდიან პატრიოტულ ვალს, აუცილებლად წავლენ მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებულ კურორტებზე. ჰო, ის კი არავის ემახსოვრება, რომ აღნიშნული სასტუმროების ქსელი, რომლებიც საქართველოში ოპერირებენ, უცხოელებისაა და იქ დახარჯული ფული ისევ უცხოელთა ჯიბეში და მათი ქვეყნების ბიუჯეტში მიდის. საოჯახო ტიპის სასტუმროებს არ იკადრებენ პარლამენტარები და იქ ისევ ჩვენ, რიგითი მოკვდავები, უნდა წავიდეთ, თუმცა იაფი არც ის არის.**

ცოდვა გამხელილი სჯობს და ტურისტული სეზონი საქართველოში საშინელ ფასებთან ასოცირდება. ოთხსულიან ოჯახს დღეში, გარეთ რომ იკვებოს, ანუ მართლა რომ დაისვენოს, 100 ლარი არ ეყოფა. ეს ის მწარე რეალობაა, რომელიც ტურისტულ სეზონზე გვხვდება და, თუ საოჯახო სასტუმროში კვებაც შემოგთავაზეს, ნუ იჩქარებთ, ჯერ მენიუში ჩაიხედეთ, რადგან შარშან დილის საუზმეში 20 ლარი რომ მოითხოვეს, 3 ნაჭერი გახუხული პური, სამი ცალი მოხარშული კვერცხი და ჩაი შედიოდა, ანუ ორი ლარიც კი არ დახარჯეს. სამაგიეროდ, ამ ყველაფერს ხმამაღალი სახელი ერქვა — „სასტუმრო დილის კვებით“.

მომსახურება ჩვენი აქილევსის ქუსლია, სასტუმროს მენეჯმენტსა თუ ოფიციანტებს გაღიმება უჭირთ და ეს მაშინ, როცა უცხოურ კურორტებზე მომსახურე პერსონალი ისე გიღიმის, მსოფლიოში მათზე ბედნიერი არავინ გეგონება. აქ კიდევ გამადლიან, რომ გემსახურებიან და მერე რა, თუ ამ მომსახურებაში იმაზე მეტს იხდი, ვიდრე ევროპისა თუ აზიის ნებისმიერ ქვეყანაში. ვინმეს არ უჩნდება კითხვა — **რატომ ღირს ესპანეთში, თურქეთში, ეგვიპტეში, ბულგარეთში, გერმანიაში დასვენება იმაზე იაფი, ვიდრე საქართველოში?** შვეიცარიის ალპები არ არის სვანეთსა და რაჭაზე ნაკლები, მაგრამ იქ სასტუმროს ნომრის ფასები 30 ევროდან იწყება. აი, სვანეთში და რაჭაში მაჩვენეთ სასტუმრო, რომლის ნომრის ფასი 30 ლარიდან დაიწყება. ვერ მაჩვენებთ, არ არის. იმიტომ, რომ, ქართული ხასიათიდან გამომდინარე, ერთ თვეში უნდა გავმდიდრდეთ, ერთ თვეში უნდა ვიშოვოთ იმდენი, რომ მთელი წლის განმავლობაში არაფერი ვაკეთოთ და მერე რა, თუ ფასებით დამფრთხალი ქართველი შემდეგ ჯერზე აღარ გაგვეკარება, გოიმი უცხოელები ხომ აქ არიან... მაგრამ რუსეთთან არეული ურთიერთობის შემდეგ ისინიც აღარ არიან, ფასები კი ჯიუტად არ მცირდება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, საქართველოში **საშუალო ხელფასი 1125 ლარია.** რა თქმა უნდა, ამას ბევრი არ დაეთანხმება, რადგან ეს რიცხვი არარეალურია და ოთხნიშნა ანაზღაურება ჩვენთან ძალიან ცოტას აქვს, მაგრამ საშუალო მაჩვენებელი იმათ ხარჯზეა გაზრდილი, ვისაც მართლა ოთხნიშნა და ხუთნიშნა ჯამაგირი აქვს. და მაინც, **დავუშვათ, რომ საქართველოში საშუალო ხელფასი 1125 ლარია. ოჯახიდან ორი დასაქმებული ძალიან დიდი იშვიათობაა და ამიტომ ვიანგარიშოთ, რა მოხდება, თუ სწორედ ამ ხელფასით დავაპირებთ დასვენებას საქართველოში. სასტუმროს ფასები 70 ლარიდან იწყება. ორი კვირით რომ წავიდეს ოჯახი დასასვენებლად, 980 ლარია საჭირო. ამას დაუმატეთ კვება, რომელიც დღეში 100 ლარამდე დაგიჯდებათ, ეგ თქვენი 1400 ლარი; დაუმატეთ მგზავრობის 200-300 ლარი, იქ მომზადება სეზონისთვის — ტანსაცმლის ყიდვა, ბავშვების გართობა ატრაქციონებზე და გამოვა, რომ დაახლოებით 4 ათასი ლარი ჯდება ორი კვირით დასვენება. 4 ათასი ლარი კი 20 თვის პენსიაა, ანუ პენსიონერების დასვენება გამორიცხულია. საშუალო სტატისტიკურად, 4 ათასი ლარი 4 თვის ხელფასია, ანუ წლიური ნამუშევრის ერთი მესამედი კონკრეტულმა ოჯახმა ორკვირიან დასვენებაში უნდა გაისროლოს და მერე მთელი წელი საკვები მოიკლოს, გადასახადების ქვითარს შიშით ელოდოს, რასაც ნახევარზე მეტი არ და ვერ გააკეთებს.**

აგერ, ინტერნეტში მარტივად იძებნება — დასვენება ერთი კვირით თურქეთში 950 ლარად. ღირებულებაში შედის: ავიაგადაფრენა, სასტუმროში განთავსება, კვება, ჯგუფური ტრანსფერი, სამედიცინო დაზღვევა... გესმით, სასტუმროების მფლობელებო? **ეს ყველაფერი შედის 950 ლარში და თქვენ ეს არ გაქვთ** — არ აფინანსებთ მგზავრობას, არ აფინანსებთ კვებას, არ გაქვთ სამედიცინო დაზღვევა... არაფერი არ გაქვთ, გაბერილი ფასების გარდა. ისე, რომ იცოდეთ, რუსეთის პრეზიდენტის მოწოდების შემდეგ, საქართველო დატოვეთო, რუსი ტურისტების უდიდესმა ნაწილმა სწორედ თურქეთს მიაშურა და სოციალურ ქსელებში ბევრგან იწერება, რომ საქართველოსთან შედარებით კომფორტი მეტია და ფასები — დაბალი. **დაბალ ფასებში, იცით, რა იგულისხმება? აჭარულ ხაჭაპურს, რომლის გამოსაცხობ ინგრედიენტებს 3 ლარზე მეტი არ სჭირდება, 15 ლარად, ანუ 5-ჯერ ძვირად რომ ყიდით, ეგ არის „სიიაფე“? იმავეს გეტყვით კუბდარზე, გურულ ღვეზელსა და კიდევ ბევრ რამეზე.** არ შეიძლება, ტურისტულ სეზონზე სასტუმროების მეპატრონეები საბუთიან ყაჩაღებად იქცეთ და არც ის შეიძლება, რიგითი ადამიანები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში წელზე ფეხს იდგამენ, რათა შემდეგ ორი კვირა მაინც დაისვენონ, დაადანაშაულოთ და მოღალატეები უძახოთ. **პატრიოტიზმი ქართულად ძალიან ძვირი ჯდება და მხოლოდ ერთ მხარეს ნუ სთხოვთ პატრიოტობას.**

ისე, კონკურენციის სააგენტო რომ შეუქმნეს **ნოდარ ხადურს** და 5 ათასი ლარიც დაუნიშნეს ხელფასი, არ შეიძლება ამ სააგენტომ მოახერხოს და კონკრეტული ფასი დააწესოს სასტუმროებზე, რომ ამის ზემოთ ან ქვემოთ არ შეიძლება? სხვაგვარად არაფერი გამოვა, არაფერი გვეშველება და ეს ტურისტული სეზონიც, რომელიც ძალით ჩავაგდეთ, ნებითაც ჩავარდება, რადგან **არავინ მოინდომებს, დაგოიმდეს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) და სამ კვერცხსა და გახუხულ პურში 20 ლარი გადაიხადოს.**

დამანახვეთ, რამდენი ადამიანი აპირებს ასეთ პირობებში საქართველოში მხოლოდ პატრიოტიზმის მოტივით დასვენებას და ჩემი წილი კენჭი მერე მესროლეთ. სასტუმროს მეპატრონეები ჯიუტად არ აპირებენ ფასების დაწევას და შეღავათი მხოლოდ საჯარო საპირფარეშოებზეა, სადაც ქართველის შესვლა 50 თეთრი ღირს, უცხოელის — ერთი ლარი. არადა, ფულს სუნი არ აქვსო... საქართველოში აქვს, ბატონებო, აქვს!

**ბესო ბარბაქაძე**

**ბათუმში ერთ-ერთ სასტუმროში დასვენება დღე-ღამეში 250 დოლარი ღირს. ათი დღე რომ დაისვენოთ მეუღლესა და შვილთან ერთად, 2500 დოლარის გადახდა მოგიწევთ, ანუ 7125 ლარის. აი, რამდენიმე ტურისტული კომპანია კი საინტერესო კრუიზებს გვთავაზობს: ბარსელონაში 10-დღიანი კრუიზი — 3 ათასი ლარი, ეგვიპტეში — 2500 ლარი, ანკარაში — 2500 ლარი. სერვისი ზუსტად იგივეა, რაც ბათუმში, მაგრამ ფასი — განახევრებული. ახლა ვინმემ უნდა აგვიხსნას, რატომ უნდა დავისვენოთ საქართველოში და არა ესპანეთში, თურქეთში, ეგვიპტეში... ჩვენ თუ გვთხოვთ პატრიოტიზმს, იმ სასტუმროს მეპატრონეები არ არიან პატრიოტები თუ ჩემს პატრიოტიზმზე უნდა გააკეთონ ფული და მერე მე და ჩემნაირებმა მთელი წელი ვიშიმშილოთ?! მშიერ კუჭზე პატრიოტიზმი ცოტა რთული ასაქმელია**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2 ივლისს სიანგანში მომხდარის კომენტირებისას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა გენ შუანმა ყურადღება გაამახვილა მოვლენის საგარეო ფაქტორზე და დაგმო რეგიონისა და ჩინეთის საქმეებში უცხო ძალის ჩარევის მცდელობა. კიდევ ორი დღის შემდეგ, 4 ივლისს, დასახელდა ამ ჩარევის წყარო, როცა ლონდონში ჩინეთის ელჩმა კატეგორიული პროტესტი გამოხატა ბრიტანეთის მიმართ და მოითხოვა მცდარი გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების“ გადაფასება.**

# სად მივყავართ თბილისური არეულობების კვალს

**ეტყობა, „დიდი ოცეულის“ სამიტის კულუარებში მოხდა რაღაც სერიოზული და ძალიან მნიშვნელოვანი რამ, რაც ბოლომდე ცნობილი არ არის, რადგან მას შემდეგ დაიწყო ისეთი რაღაცები, რაც გათვლილია არათუ ძირის გამოთხრაზე, არამედ პოლიტიკური სტაბილურობის აფეთქებაზე „გლობალური სამკუთხედის“ ქვეყნებში — რუსეთში, აშშ-სა და ჩინეთში — ყველგან ერთდროულად. საერთო ლოგიკა მოვლენებისა და პროცესი, რომელსაც ისინი უწყობენ ხელს, ასე წარმოჩნდება.**


პუტინი, ნარენდრა მოდი და სი ძინპინი

დასრულდა „დიდი ოცეულის“ სამიტი და მისი მონაწილეები წავიდ-წამოვიდნენ. **ვლადიმერ პუტინი** და **სი ძინპინი** დაბრუნდნენ შინ გადაუდებელი საქმეების გამო, ზოგიერთმა კი, მაგალითად, დონალდ ტრამპმა კი „გამოაცხო“ კიდევ ერთი სენსაცია, რომელიც აშკარად შეთანხმებული იყო ოსაკაში: 38-ე პარალელზე შეხვედრა გამართა ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ლიდერებთან — **კიმ ჩენ ინსა** და **მუნ ჩჟე ინთან.** და ამ ყველაფრის შემდეგ ვიღაც ისე აღელდა, რომ ყველა წარმოუდგენელ თუ წარმოსადგენ ბერკეტს ხელი დაავლო და ყველა დესტრუქციული „რეზერვი“ აამუშავა, თანაც, როგორც საშინაო, ისე საგარეო.

თავდაპირველად გავიხსენოთ „ოცეულის“ სიუჟეტი, სახელდობრ, კულუარებისა, სადაც მიმდინარეობდა მთავარი მოვლენები: ორმხრივი მოლაპარაკებები ტრამპსა და პუტინს, აგრეთვე, ტრამპსა და სი ძინპინს შორის, აგრეთვე, სამმხრივი შეხვედრა რუსეთის, ჩინეთისა და ინდოეთის **(ნარენდარა მოდი)** ლიდერებს შორის. სამიტის შემდეგ კი ფხანმუნჯომში გაიმართა მოლაპარაკება ტრამპს, კიმ ჩენ ინსა და მუნ ჩჟე ინს შორის.

**1 ივლისის** საღამოს კი „ჰიბრიდულად“ დაარტყეს **ჩინეთს.** ჰონკონგის (სიანგანის) ცენტრში დემონსტრანტები, რომლებიც აპროტესტებდნენ დიდი ხნის წინათ შეჩერებულ კანონპროექტს, უცებ გააქტიურდნენ და დაიწყეს მეგაპოლისის საკანონმდებლო საბჭოს (პარლამენტის) შტურმი. შენობის აღებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლოების შებღალვის შემდეგ, პროვოკატორები შეეცადნენ, შენობაში გამაგრებულიყვნენ, მაგრამ ისინი პოლიციელების სპეცრაზმმა მალე გამოაძევა. აღსანიშნავია, რომ შენობაში შეჭრილებს რამდენიმე საათის განმავლობაში თავი არ შეუწუხებიათ ერთი გააზრებული მოქმედების განსახორციელებლად. ეს მიუთითებს იმაზე, რომ შენობის აღება იყო პროვოკაცია, რომელსაც უნდა გაეღვივებინა ქუჩური დაუმორჩილებლობისა და დესტაბილიზაციის კამპანია.

**მეორე დღეს, 2 ივლისს, სიანგანში მომხდარის კომენტირებისას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა გენ შუანმა ყურადღება გაამახვილა მოვლენის საგარეო ფაქტორზე და დაგმო რეგიონისა და ჩინეთის საქმეებში უცხო ძალის ჩარევის მცდელობა. კიდევ ორი დღის შემდეგ, 4 ივლისს, დასახელდა ამ ჩარევის წყარო, როცა ლონდონში ჩინეთის ელჩმა კატეგორიული პროტესტი გამოხატა ბრიტანეთის მიმართ და მოითხოვა მცდარი გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების“ გადაფასება.**

ამის შემდეგ დიპლომატმა გამართა წარმომადგენლობითი ბრიფინგი, რომელზეც ილაპარაკა ჰონკონგის პარლამენტის გარშემო შექმნილ ვითარებაზე და ყველას გააცნო ოფიციალური პეკინის პოზიცია. ამ ამბავს ბრიტანულმა მხარემ „მორიდებით წაუყრუა“.

შემდეგი შეტევა, თანაც კოორდინირებული, შიგნიდან და გარედანაც განხორციელდა რუსეთზე. 4 ივლისს სანქტ-პეტერბურგში გამართულ XXVIII საერთაშორისო საფინანსო ფორუმზე რუსეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი **ელვირა ნაბიულინა** გამოვიდა მანიფესტით, რომელიც, ფაქტობრივად, აგრესიული ლიბერალიზმის მანიფესტი იყო. რუსეთის ეკონომიკის განვითარების დამამუხრუჭებელ ფაქტორებზე ვლადიმერ პუტინთან პოლემიკაში დაუსწრებლად ჩართულმა ნაბიულინამ, რუსეთის ეკონომიკის უმაღლესი სკოლის ნაციონალური კვლევითი უნივერსიტეტის „ბუდეში დაფრთიანებულმა“ ქალბატონმა, ბევრი ილაპარაკა. შიგა ინვესტიციების ფაქტობრივ აკრძალვაზე, მოქალაქეებისთვის შეუტყობინებლად საპენსიო ფონდის გამოყენებაზე, „საჭირო საწარმოებისთვის“ საბიუჯეტო დაფინანსების შეწყვეტასა და მოქალაქეებისთვის კაციჭამიური „სოციალური რეიტინგების“ თავს მოხვევაზე.

**რუსეთის შიგნით ლიბერალების შეტევა გაამყარა საგარეო პროვოკაციამ თბილისში, სადაც სააკაშვილთან მჭიდროდ დაკავშირებული „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა პირდაპირ ეთერში უცენზურო, მკრეხელური „სპიჩი“ წარმოთქვა რუსეთის პრეზიდენტის მიმართ. ეს პროვოკაცია „ჩაჯდა“ თბილისში ცოტა ხნის წინათ მომხდარი არეულობების კონტექსტში და სააკაშვილმაც ხელიდან არ გაუშვა მომენტი, კომენტარი გაეკეთებინა ამ უმსგავს ეპიზოდზე და ასე შეეხსენებინა თავი საქართველოს მოსახლეობისთვის.**

**რუსეთის შიგნით ლიბერალების შეტევა გაამყარა საგარეო პროვოკაციამ თბილისში, სადაც სააკაშვილთან მჭიდროდ დაკავშირებული «რუსთავი 2»-ის ჟურნალისტმა პირდაპირ ეთერში უცენზურო, მკრეხელური «სპიჩი» წარმოთქვა რუსეთის პრეზიდენტის მიმართ. ეს პროვოკაცია «ჩაჯდა» თბილისში ცოტა ხნის წინათ მომხდარი არეულობების კონტექსტში და სააკაშვილმაც ხელიდან არ გაუშვა მომენტი, კომენტარი გაეკეთებინა ამ უმსგავს ეპიზოდზე და ასე შეეხსენებინა თავი საქართველოს მოსახლეობისთვის**

მეორე დღეს, 8 ივლისს, ანტირუსულმა ბაკქანალიამ უკრაინის პრეზიდენტ **ვლადიმერ ზელენსკის**, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურისა და თავდაცვის უწყების ხელმძღვანელების, აგრეთვე, პარლამენტარების მონაწილეობით, კიევი მოიცვა. საბაბი იყო უკრაინული ტელეარხის — NewsOne-ს მცდელობა, მოეწყო ტელეხიდი რუსეთის სახელმწიფო არხ „როსია-1“-თან (რუბრიკით „უნდა დავილაპარაკოთ“). ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევისთვის გაკეთებულ სპეციალურ განცხადებაში უკრაინის პრეზიდენტმა „მიისაკუთრა“ მოსკოვთან დიალოგის გამართვის იდეა.

**ამ მრავალგანზომილებიან უკრაინულ ეპოპეაში ბევრი რამ არის საინტერესო როგორც წინასაარჩევნო, ისე ორმხრივი ურთიერთობების მხრივ, თუმცა აქ ყველაზე მეტად საინტერესოა მოვლენების „დამთხვევის“ განხილვა მსოფლიოში მომხდარის კონტექსტში.**

პარალელურად დაიწყო უპრეცედენტო **შეტევა დონალდ ტრამპზე**, 7 ივლისს, როცა „რუსთავი 2“-მა შოკში ჩააგდო საქართველო, თავისი ბუნება, არსი კიდევ უფრო რეზონანსულად წარმოაჩინა ბრიტანეთის პოლიტიკურმა ელიტამ. გამოცემა Daily Mail-მა გამოაქვეყნა ვაშინგტონში ბრიტანეთის ელჩ **კიმ დეროკის** საიდუმლო მიმოწერა ფორინ ოფისთან (ასე უწოდებენ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს — გ.გ.).

**დიდი ბრიტანეთის ელჩმა „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტზე არანაკლები ვულგარულობა გამოიჩინა და აშშ-ის პრეზიდენტი ისეთი შეურაცხმყოფელი სიტყვებით შეამკო, რომლებიც არაფრით განსხვავდებოდა რუსეთის პრეზიდენტის მიმართ გამოთქმული შეურაცხყოფებისგან. ამ საკითხზე ნისლიანი ალბიონის ელიტის აზრი ორად გაიყო. გადასადგომად გამზადებულმა პრემიერმა ტერეზა მეიმ, საგარეო საქმეთა სამინისტროს კვალდაკვალ, მხარი დაუჭირა სკანდალურ დიპლომატს, ტერეზა მეის მთავრობის ბევრი წევრი კი აღშფოთდა და განაცხადა, რომ აშშ-ში ჩავიდოდნენ და ბოდიშს იქ მოიხდიდნენ.**

თვით ტრამპმა უარყოფითად შეაფასა ბრიტანელი ელჩი და ლონდონი გააფრთხილა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ელჩს შეცვლიდა, რადგან თეთრი სახლი მასთან აღარ იმუშავებდა; ამასთანავე, ოვალური კაბინეტის ბინადარმა ხელი დაუქნია ტერეზა მეის და ბრიტანელებს მიულოცა, რომ ახალი პრემიერი ეყოლებოდათ.

**თეთრმა სახლმა საინფორმაციო შეტევის „მეცხრე ტალღა“ მიიღო 8 ივლისს გამოქვეყნებული ორპარტიული პოლიტიკის ცენტრის მოხსენებით, რომელმაც მიმდინარე წლის შემოდგომაზე აშშ-ში დეფოლტი იწინასწარმეტყველა.**

ეს ასე უნდა გავიგოთ: არჩევნებში დონალდ ▶



**უკრაინის გამოძიების სახელმწიფო ბიუროს სპეციალისტებს პოროშენკოს მიმართ აღძრული აქვთ სისხლის სამართლის რამდენიმე საქმე. მას ადანაშაულებენ სახელმწიფოს ღალატში, დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციაში, გადასახადების დამალვაში, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში, სასამართლო ხელისუფლების უზურპაციაში, აგრეთვე, უკრაინის მინისტრთა კაბინეტის უკანონოდ დანიშვნაში.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ტრამპი, კიმ ჩენ ინი და მუნ ჩჟე ინი

ტრამპის მთავარი მოწინაალმდეგეების ორპარტიულმა, დემოკრატიულ-რესპუბლიკურმა ბმამ **ჯო ბაიდენ — მიტ რომნიმ** პირველი სვლა გააკეთა და თეთრი სახლის ამჟამინდელი უფროსი მისი პრეზიდენტობის ყველაზე წარმატებული ნაწილის — საშინაო ეკონომიკური პოლიტიკის — ჩაფლავებაში დაადანაშაულა და პასუხისმგებლობა დააკისრა „წარუმატებელი საგადასახადო რეფორმის“ გამო, რომელმაც ხაზინაში შემოსავლები შეამცირა.

ამრიგად, თუ შევაპირისპირებთ ოსაკის შემდგომ პირველ დეკადაში მომხდარს, დავინახავთ კულისებსმიღმა ბრძოლის გამწვავებას, როგორც საერთაშორისო არენაზე, ისე იმ წამყვან ქვეყნებში, რომლებიც ქმნიან გლობალურ „გეოპოლიტიკურ სამკუთხედს“.

საყურადღებოა, რომ ბევრ რამეში ჩართულია ლონდონი (სიანგანში ქუჩის არეულობებიდან ტრამპის საწინააღმდეგო პროვოკაციებამდე) და თვითონ ამერიკის პრეზიდენტმა მოითხოვა ახსნა-განმარტება ბუკინგემის სასახლისგან, მაგრამ ამაოდ.

**„ტრადიციული“ დასავლეთის ისტერიკად შეიძლება ჩაითვალოს აშშ-ში ბრიტანეთის ელჩის გამონათქვამები ტრამპის მიმართ, აგრეთვე, სამარისებური სიჩუმე სამეფო ოჯახისა, რომელიც, მომხდარის ექსტრაორდინარულობის მიუხედავად, კომენტარისგან თავს იკავებს.**

ამასთანავე, ასეთივე ისტერიკული დარტყმა ხორციელდება ვლადიმერ პუტინისა და სი ძინპინის მიმართ, მაგრამ, თუ რუსეთის წინააღმდეგ აამოქმედეს გავლენის აგენტურა, აგრეთვე, ყველაფრის მკადრებელი კიეველი და თბილისელი მარიონეტები, ჩინეთში ასეთ რაღაცას ჯერ კიდევ ვერ ბედავენ, ამიტომ „ამბრაზურაზე“ გზავნიან პერიფერიულ, ნახევრად „გაინგლისელებულ“ ჰონგკონგურ „საზარბაზნე ხორცს“. ორმხრივ ფორმირებად „ოცეული“ ვიზუალური გაყოფის გათვალისწინებით, ამ ქაოსიდან სავსებით შესაძლებელია მისი ახალი ბირთვის გამოფენა იმავე „გლობალურ სამკუთხედში“, რომელშიც გლობალისტები მიეჩვივნენ თავიანთი ინტერესების მიხედვით მანიპულირებას ძველი ბრიტანული პრინციპით „დაყავი და იბატონე“.

**ვლადიმერ პავლენკო**

Regnum.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**«ტრადიციული» დასავლეთის ისტერიკად შეიძლება ჩაითვალოს აშშ-ში ბრიტანეთის ელჩის გამონათქვამები ტრამპის მიმართ, აგრეთვე, სამარისებური სიჩუმე სამეფო ოჯახისა, რომელიც, მომხდარის ექსტრაორდინარულობის მიუხედავად, კომენტარისგან თავს იკავებს**



# უკრაინის «ახალი ეკლესიის» დელეგაცია ათონის მონასტრებში არ შეუშვეს



**უკრაინის „ახალი ეკლესიის“ წარმომადგენლები ათონის მთის რამდენიმე მონასტერში მღვდელმსახურებაზე არ დაუშვეს, — იუწყება strana.ua.**

„ახალი ეკლესიის“ დელეგაცია ათონს 21-23 ივნისს ეწვია ქსენოფონტის, პანკტოკრატორის, ივერონის, ფილოფეის, ესფიგმენისა და კარაკალის მონასტრების მოსანახულებლად. მიიჩნეოდა, რომ ამ მონასტრების წინამძღოლები, ფილოფეისა და კარაკალის გარდა, პატრიარქ ბართოლომეოსის მიმართ ლოიალურად იყვნენ განწყობილნი. **უკრაინის „ახალი ეკლესიის“ წარმომადგენლები, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილნი, სხვებთან ერთად შევიდნენ ფილოფეისა და კარაკალის მონასტრებში, მაგრამ ათონელმა ბერებმა შენიშნეს და, როცა შეიტყვეს, რომ ე.წ. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები იყვნენ, აიძულეს, მონასტრების ტერიტორია დაეტოვებინათ.**

## უკრაინის „ახალი ეკლესია“

უკრაინის ახალი ეკლესია 2018 წლის დეკემბერში დაარსდა. მისი ხელმძღვანელია **ეპიფანე დუმენკო.** ამა წლის იანვარში კონსტანტინოპოლის პატრიარქმა უკრაინის „რასკოლნიკურ“ ეკლესიას ავტოკეფალიის ტომოსი გადასცა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მართლმადიდებლობა არ აღიარებს „ახალ ეკლესიას“. კიევისა და გალიციის მიტროპოლიტმა **ფილარეტმა** კი ერთი თვის წინათ განაცხადა, რომ „ახალ ეკლესიაში“ განხეთქილებაა და ეპიფანე შეთანხმების დარღვევაში დაადანაშაულა.

ამასთანავე, ფილარეტმა გააკრიტიკა ტომოსი. მისი თქმით, ტომოსი უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას დამოკიდებულს ხდის კონსტანტინოპოლზე და არ შეესაბამება ეკლესიის ავტოკეფალიის სტატუსს.



# ბართოლომეოსმა უკრაინის «ახალ ეკლესიას» ხარკი დაუწესა

**„კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ უკრაინის „ახალი ეკლესიის“ მრევლს გადასახადი მას შემდეგ დაუწესა, რაც კიევმა უარი თქვა მისთვის რელიგიური სიწმინდეების გადაცემაზე“, — განაცხადა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა მმართველმა, ბორისპოლისა და ბროვარის მიტროპოლიტმა ანტონმა.**

მიტროპოლიტის თქმით, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წარმომადგენლები დაუკავშირდნენ პრეზიდენტ **ვლადიმერ ზელენსკის** და მოითხოვეს აწ უკვე პრეზიდენტყოფილი პეტრე პოროშენკოს დაპირების შესრულება ადგილობრივი რელიგიური სიწმინდეების ფენერისთვის (ფენერი — ეს არის სტამბოლის ისტორიული რაიონი, სადაც მდებარეობს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო რეზიდენცია) გადაცემა. „არ გამოვიდა. ემანუილმა (კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსმა) **ეპიფანეს** (უკრაინის „ახალი ეკლესიის“ წინამძღოლს) ანგარიში წარუდგინა და ახლა „ახალი ეკლესიის“ თითოეულმა მრევლმა კონსტანტინოპოლს უნდა გადაუხადოს 4 ათასიდან 20 ათასს ევრომდე“, — განაცხადა მიტროპოლიტმა ანტონმა და დასძინა, რომ ამის გამო კიევისა და გალიციის მიტროპოლიტმა **ფილარეტ დენისენკომ** აურზაური ატეხა.

# უკრაინაში სისხლის სამართლის საქმე აღძრეს პოროშენკოსა და პარუბიის წინააღმდეგ

**უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ საქმე აღძრეს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით: „ძალაუფლებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება“ და „სასამართლო ორგანოების მუშაობაში ჩარევა“. ამის შესახებ განაცხადა ექსპრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოფილმა პირველმა მოადგილემ, იურისტმა ანდრეი პორტნოვმა.**



„ვავიწროებთ წრეს და ველოდებით გენერალური პროკურორის (იური ლუცენკოს — ნ.კ.) გადადგომას, რათა დავიწყოთ პირველი დაკავებები და დაპატიმრებები“, — დაწერა პორტნოვმა სოციალურ ქსელში. უკრაინის გამოძიების სახელმწიფო ბიუროს სპეციალისტებს **პოროშენკოს** მიმართ აღძრული აქვთ სისხლის სამართლის რამდენიმე საქმე. მას ადანაშაულებენ სახელმწიფოს ღალატში, დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზებაში, გადასახადების დამალვაში, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში, სასამართლო ხელისუფლების უზურპაციაში, აგრეთვე, უკრაინის მინისტრთა კაბინეტის უკანონოდ დანიშვნაში.

გამოძიების ბიურომ სახელმწიფო ღალატის მუხლით გამოძიების დასაწყებად საკმარის საფუძვლად ცნო ის ამბავი, რომ უზენაესი რადის (უკრაინის პარლამენტი) სპიკერმა **ანდრეი პარუბიიმ** 3 წლის განმავლობაში ხელი არ მოაწერა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს არმიაში მაროდიორობისა და კორუფციისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

გვერდი მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძე**

ბედისწერა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია,
და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს
დიდი ტრაგედია. ისეთი ბიჭები იხოცებიან,
ძნელია ამის შემყურემ სიცოცხლეზე იფიქრო.
რას იზამ, ბედისწერას ვერ გაექცევი.

*ჟიული შარტავა*





# ვასილი კადენეცი: საქართველოს პირველი ეროვნული გმირი სეპარატისტებმა 9 აპრილის მემორიალთან მოკლეს

**ვასილი კადენეცი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად არჩეული იყო იმ პერიოდში, როცა კომკავშირს სათავეში ჟიული შარტავა ედგა.**
**მეგობრობდნენ. უღალატოდ. როცა ჟიული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ გადაიყვანეს, ვასილი მის გვერდით უნდა ყოფილიყო.**
**იყო კიდეც.**
**კადენეცი აფხაზეთის გულრიფშის რაიონის სოფელ მერხეულში, გლეხის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. იქაური კაცია. ჟიული შარტავას სიცოცხლის ბოლო დღემდე მის გვერდით იყო.**
**26-წლიანი დუმილის შემდეგ ვასილი კადენეცმა გადაწყვიტა პრესაში გამოსვლა და საამისოდ „საქართველო და მსოფლიო“ აირჩია. იმიტომ ხომ არა, რომ მას და ამ სტრიქონების ავტორს საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციაში ერთობლივი მუშაობა გვაკავშირებდა ოდესღაც?**
**არ მიკითხავს.**
**მაშ, ასე: ვასილი კადენეცი საუბრობს საქართველოს პირველი ეროვნული გმირის — ჟიული შარტავას სიცოცხლის უკანასკნელ დღეებზე, ურთულეს და უმძიმეს დროზე, როცა საქართველოს ბედი ბეწვზე ეკიდა.**

— 1993 წლის აპრილში ერთმანეთს თბილისში რომ შევხვდით, ჟიულიმ მითხრა: ხვალ სოხუმში ჩავდივარ, ნათესავის პანაშვიდს უნდა დავესწრო. თუ შეძლებ, დამხვდი, სალაპარაკო მაქვსო.

დავხვდი. გზაში საუბრისას მითხრა, რომ **შევარდნაძემ** შესთავაზა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა. **თამაზ ნადარეიშვილს** გულის დაავადება გაურთულდა, თბილისში მკურნალობდა და მისი შეცვლა აუცილებელი შეიქნა. ჟიულიმ მკითხა, რას მირჩევო. მისდამი შევარდნაძის განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება ყველასთვის ცნობილი იყო, ამიტომ ვურჩიე, უნდა დათანხმდეთ, რადგან უარის შემთხვევაში თქვენი კარიერა, შეიძლება ამით დამთავრდეს-მეთქი.

პანაშვიდზე მისულ ჟიული შარტავას შემოეხვივნენ ადგილობრივი დეპუტატები: სიტუაცია ჩვენთან გართულებულია, ლიდერი არ გვყავს და თქვენი ჩამოსვლა აფხაზეთში აუცილებელიაო. ჟიულის ამაზე განსაკუთრებული რეაქცია არ ჰქონია. საღამოს ვახშმობისას, ჩემს სახლში, სადაც მოწვეული მყავდა **გალაქტიონ ნაჭყებია, მამუკა ნაჭყებია, ავთო ფილია,** ეს აზრი შიგადაშიგ გაკრთებოდა ხოლმე. ჩვენი კოლეგები და მეგობრები გულწრფელი იყვნენ, როცა ამბობდნენ, რომ შარტავასნაირი ხელმძღვანელი მართლაც სჭირდებოდა აფხაზეთს.

სტუმრები რომ წავიდნენ, ჟიულიმ მითხრა, რომ სიტუაცია ჩვენთან უაღრესად რთული იყო. ეს, უპირველესად, მათი ბრალი იყო, ვინც ავტონომიური რესპუბლიკის სათავეში იდგა. ისინი პრაქტიკულად ხელს უწყობდნენ სეპარატისტული იდეების განვითარებას და აძლიერებდნენ იმ მოძრაობას, რომელიც აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფას ქადაგებდა. „მე აქ, ალბათ, არ ჩამოვალო“, — მითხრა მაშინ ჟიულიმ.

მაგრამ გავიდა ცოტა ხანი და მეუბნებიან: შენი მეგობარი სოხუმში ჩამოდისო. ასეც მოხდა.

ედუარდ შევარდნაძემ ჩამოიყვანა ჟიული შარტავა და წარუდგინა საგანგებოდ მოწვეულ აქტივის კრებას, როგორც აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და აფხაზეთის შეიარაღებული ძალების სარდლის კანდიდატურა.

ამ კანდიდატურას მხარი დაუჭირეს, წინააღმდეგი არავინ ყოფილა.

— **როდის მოხდა ეს წარდგენა?**

— 1993 წლის ივნისში. ამ დღიდან სოხუმის დაცემამდე ჟიული ჩემს სახლში ცხოვრობდა. მის გვერდით ვიყავი დღე და ღამე. როგორც ჩანს, ვჭირდებოდი სოხუმის სპეციფიკურ პრობლემებში, საკადრო რეზერვში ზუსტად გასარკვევად და ა.შ. ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენს პარტიულ-სამეურნეო აქტივს — აფხაზებს, ქართველებს, რუსებს, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს — ჟიული შესანიშნავად იცნობდა, რადგან მათ უმეტესობას კომკავშირის გზა ჰქონდა გავლილი; იმ ახალგაზრდული ორგანიზაციისა, რომელსაც იგი რამდენიმე წელიწადი სათავეში ედგა.

ამიტომ არ გართულებია მათთან სანდო ურთიერთობის დამყარება. პირველივე დღეებიდან ელაპარაკებოდა ძმობასა და მეგობრობაზე, მშვიდობაზე, შერიგებაზე. მოჰყავდა ამის მაგალითები და არწმუნებდა, რომ უმთავრესი და უპირველესი ამოცანა იყო ყველა პრობლემის განხილვა-



**ამ დროს სახელმწიფო აგარაკზე იმყოფებოდნენ «ახალგაზრდა რეფორმატორები»: ზურაბ ჟვანია, ირინა სარიშვილი, ბათიაშვილი, ქადაგიშვილი და სხვები, რომლებიც ხშირად ჩამოდიოდნენ სოხუმში. გულახდილად რომ ვთქვა, შარტავას მათთან შეხვედრა მაინცდამაინც არ ხიბლავდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ისინი თავიანთი მაქსიმალიზმით მუშაობაში ხელს უშლიდნენ და ართულებდნენ ვითარებას**

გადაწყვეტა მშვიდობიან გარემოში.

— **და ჰქონდა წარმატება?**

— რა თქმა უნდა, თუმცა წინააღმდეგობაც ცოტა არ ყოფილა. მე თითქმის ყველა მის „ხალხში გასვლას“ ვესწრებოდი და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ, როგორც იტყვიან, ყინული დაიძრა, თუმცა ნეგატივიზმს, სეპარატიზმს ისე ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული, რომ პრობლემების სწრაფ და საფუძვლიან გადაწყვეტამდე კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი.

მაგრამ პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები მაშინ გადაიდგა და ეს არ უნდა დავივიწყოთ.

სამწუხაროდ, არ დასცალდა.

უნდა გითხრათ, რომ **ჟიული ყოველთვის გაურბოდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან ურთიერთობას, რადგან სწორედ იქ, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, ჩაეყარა საფუძველი მტრობის, დაპირისპირების შხამიან მარცვლებს, დაიწყო და გრძელდებოდა ბრძოლა სავარძლებისთვის, ყველას უნდოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა, მინისტრობა და ა.შ. ერთი სიტყვით, „თბილი ადგილისთვის“ ბრძოლამ „აქტივისტებს“ მოქალაქეობრივი მოვალეობა დაავიწყა.**

ძნელი იყო, მაგრამ ჟიულიმ მოახერხა ის, რომ მისი სიტყვისთვის ყური დაეგდოთ, მისი საკადრო და სამეურნეო გადაწყვეტილებები მიეღოთ და გაეთვალისწინებინათ.

მაგალითად დავასახელებ **გურამ გაბისკირიას** სოხუმის მერად დანიშვნას, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე მის გვერდით იდგა და არ უღალატია.

— **დღეს იმასაც იხსენებენ, რომ ფრონტისპირა ქალაქმა სოხუმმა თანდათან მშვიდობიანი იერ-სახე მიიღო.**

— მართალია. თითქოს დიდი არაფერია, ქალაქში ყვავილნარის აღდგენა, პარკებსა და სკვერებს პატრონის ხელი რომ დაეტყო, მაგრამ, დამიჯერეთ, მოქალაქეებზე დადებითად იმოქმედა ასეთმა მშვიდობიანმა შტრიხმა. ხალხი თანდათან რწმუნდებოდა, რომ აფხაზეთის ომი დასასრულს უახლოვდებოდა.

მაგრამ მოხდა პირიქით...

**სოხუმის დაცემამდე ათი დღით ადრე ედუარდ შევარდნაძემ სტალინის აგარაკიდან „ВЧ“ ტელეფონით დაურეკა რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტ ბორის ელცინს და უთხრა, რომ საომარმა დაპირისპირებამ ისეთი ხასიათი მიიღო, დროზე და სასწრაფოდ თუ არ განვახორციელებთ ღონისძიებებს ომის შესაწყვეტად, ისეთი პრობლემები წამოგვეჭრება, რომელთა გადასაწყვეტად წლები დაგვჭირდება. ეს პრობლემები საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზეც უარყოფითად აისახება, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათო. შესთავაზა და სთხოვა, ჩარეულიყო ამ საკითხის მოგვარებაში.**

ტელეფონით ამ საუბარს არ დავსწრებივარ, მაგრამ ჟიული შარტავას გადმოცემით ვიცი, რომ პრეზიდენტმა ელცინმა შევარდნაძეს უპასუხა, რომ ხვალვე თქვენთან ჩამოვა რუსეთის ეროვნებათა საკითხების მინისტრი **ბორის პასტუხოვი.** განიხილავთ დსთ-ში — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში — საქართველოს შესვლის საკითხს და, რასაც გადაწყვეტთ, იმაზე იქნება დამოკიდებული კონფლიქტის მოგვარებაო.

— **პასტუხოვი და შარტავა ერთსა და იმავე პერიოდში მუშაობდნენ კომკავშირში.**

— და დიდი მეგობრებიც იყვნენ. მქონდა შესაძლებლობა, რამდენჯერმე დავსწრებოდი მათ არაფორმალურ, „პირისპირ“ შეხვედრას ჭიქა ჩაიზე და გულახდილი საუბრებისთვის მომესმინა. ამჯერადაც გაიმართა მათი პირისპირ შეხვედრა სტალინის აგარაკზე. ორ საათს გაგრძელდა მოლაპარაკება, ზუსტად ორ საათს.

დამთავრებისთანავე სტუმარ-მასპინძელი ვახშამზე მივიპატიჟე, რომელსაც ესწრებოდნენ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის თანაშემწე, გვარი არ მახსოვს, ორი გენერალი, პასტუხოვი, შარტავა. ცხადია, მეც მათთან ერთად ვიყავი. ვახშამი — როგორც ვახშამი. არაფერი ყურადღება მისაქცევი იქ არ თქმულა.

სტუმარი იმავე საღამოს გავაცილეთ აეროპორტში — ვერტმფრენით ადლერში გაფრინდა.

ცოტა უკან დავბრუნდები.

**მას შემდეგ, რაც შევარდნაძე ელცინს ომის დამთავრების შესახებ ელაპარაკა, ჟიულიმ დამავალა: — ვასია, დსთ-ში შესვლის საინიციატივო ჯგუფის 25-კაციანი სია შეადგინე და მაჩვენეო. სია ოპერატიულად ჩამოვწერე. სახელმწიფოთა ახალ წარმონაქმნში შესვლის მოთხოვნას პირველმა ხელი მოაწერა რაულ ეშბამ, მეორემ — ლორიკ მარშანიამ, მესამე მე ვიყავი, მეოთხე — სერგო წურწუმია, რომელიც ხელმძღვანელობდა სახელმწიფო აგარაკების დაცვის სამსახურს.**

ჟიული გაეცნო ამ სიას და მთხოვა, ედუარდ შევარდნაძისთვის შემეტანა. შევარდნაძე გაეცნო და მოიწონა.

ამ დროს სახელმწიფო აგარაკზე იმყოფებოდნენ „ახალგაზრდა რეფორმატორები“: **ზურაბ ჟვანია, ირინა სარიშვილი, ბათიაშვილი, ქადაგიშვილი** და სხვები, რომლებიც ხშირად ჩამოდიოდნენ სოხუმში. გულახდილად რომ ვთქვა, შარტავას მათთან შეხვედრა მაინცდამაინც არ ხიბლავდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ისინი თავიანთი მაქსიმალიზმით მუშაობაში ხელს უშლიდნენ და ართულებდნენ ვითარებას.

**ახალგაზრდებმა რომ შეიტყვეს, ასეთი საინიციატივო ჯგუფის არსებობა, დიდი ხმაური ატეხეს. სხვებზე მეტად ირინა სარიშვილი ირჯებოდა. მან ედუარდ შევარდნაძეს უთხრა, რომ, თუ თქვენ ამ ქაღალდს ხელს მოაწერთ, თბილისში არ-** ▶

ბედისწერა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „27 სექტემბერს სოხუმი დაეცა: დსთ-ს წევრობაზე უარის თქმა საქართველოსთვის გარდაუვალ კატასტროფად ტრანსფორმირდებოდა. ეს აშკარა იყო. გაწევრების საკითხი შევარდნაძემ პარლამენტის სხდომაზე გაიტანა და შეძლო დეპუტატების დარწმუნება, რომ სხვა გზა იმ სიტუაციაში არც თეორიულად, არც პრაქტიკულად არ არსებობდა“.

**◀ აფერი გესაქმებათ, პირდაპირ მოსკოვში გაემგზავრეთო! სხვებიც შეუერთდნენ მას და გაბრაზებული შევარდნაძე იმავე საღამოს თბილისში გაფრინდა.**

**მეორე დილით ჩამოვიდა პასტუხოვი. სია დახეულია, შევარდნაძე სოხუმში არ არის. პასტუხოვ-შარტავას შეხვედრა უშედეგო იყო.**

გაფრენამდე 10-15 წუთი ჟიულიმ და პასტუხოვმა აეროპორტში კიდევ ერთხელ ილაპარაკეს.

აეროპორტიდან სოხუმში რომ ვბრუნდებოდით, ჟიულის შევეკითხე, რა გითხრათ პასტუხოვმა-მეთქი.

სინდისს და პატიოსნებას გეფიცებით, რაც ჟიულიმ მიპასუხა, იმას ზუსტად გადმოგცემთ. ასეთი სიტყვები მისგან პირველად მოვისმინე:

— Это мерзавец, негодяй и подлец!

თქვა იმ კაცზე, რომელთანაც წლების განმავლობაში მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა.

**— ალბათ, ღირსი იყო!**

— რა თქმა უნდა! ასეთი პასუხი რომ მოვისმინე, აღარ მიკითხავს, მაინც რით დაიმსახურა პასტუხოვმა ასეთი მწარე შეფასება...

**(პასტუხოვი საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნებს შორის ყველაზე უსახური პიროვნება იყო. ნახმარ და გამხმარ ფურცელს გავდა, რომელზეც მისი სახელისა და გვარის დაწერა ყოვლად შეუძლებელი იყო. ა.ს.)**

**27 სექტემბერს სოხუმი დაეცა: დსთ-ს წევრობაზე უარის თქმა საქართველოსთვის გარდაუვალ კატასტროფად ტრანსფორმირდებოდა. ეს აშკარა იყო.**

**გაწევრების საკითხი შევარდნაძემ პარლამენტის სხდომაზე გაიტანა და შეძლო დეპუტატების დარწმუნება, რომ სხვა გზა იმ სიტუაციაში არც თეორიულად, არც პრაქტიკულად არ არსებობდა.**

* * *

**ფუნაგორია თემაში**

**საქართველოს პარლამენტში ურთულესი და უმძიმესი პრობლემების განხილვა-გადაწყვეტის დროს დეპუტატთა დაპირისპირების ერთგვარად განსამუხტად პარლამენტის წევრი ჯანსუღ ჩარკვიანი ფუნაგორიებს წერდა და კოლეგებს უკითხავდა.**

**არც ეს შემთხვევა ყოფილა გამონაკლისი. ბატონმა ჯანსუღმა დაწერა:**

**ასე გვითხრა შევარდნაძემ**
**ტრიბუნაზე შემდგარმა:**
**შევალთ — დედა გვეტირება,**
**არ შევალთ და — დედ-მამა.**

**დაწერა და წაუკითხა ედუარდ შევარდნაძეს. იმანაც მოუსმინა და უპასუხა:**

**— მამებს რას გვერჩი, ჯანსუღ?!**

**ცნობისთვის: ორიგინალში „დედა გვეტირება“ მსუყე კახური გინებით იკითხება.**

* * *

სიტუაცია თანდათან უარესდებოდა. სოხუმის დაცემამდე 3 დღით ადრე ჟიულიმ მითხრა, რომ შევარდნაძე სახელმწიფო აგარაკზე იმყოფებოდა და რომ იგი აუცილებლად მის გვერდით უნდა ყოფილიყო, მარტოს ვერ დავტოვებო, ამიტომ ჩემს სახლში ღამეს აღარ გაათევდა.

მეზობლები ყურადღებით გვაკვირდებოდნენ, თუ ჟიული შინ ბრუნდებოდა, მაშასადამე, მდგომარეობა ნორმალური იყო და სოხუმის დატოვება აუცილებელი არ ჩანდა. არადა, სასწრაფოდ უნდა გაცლოდნენ ქალაქს. არც ჩემი ოჯახი იყო გამონაკლისი — ავადმყოფი დედა, პატარა ბავშვები. თადარიგი მეც უნდა დამეჭირა, ამიტომ ვუთხარი ჟიულის, რომ ოჯახს აეროპორტთან ახლოს, ნათესავებთან, გავხიზნავდი.

აეროპორტთან ჩვენი ერთადერთი ტანკი იდგა და დროდადრო ოჩამჩირის მიმართულებით ისროდა. 26 სექტემბრის საღამოსთვის მას არც ჭურვები ჰქონდა, არც ადგილიდან დაძვრა შეეძლო. უსარგებლო ჯართივით იდგა. მე და ერთი ჩემი მეგობარი იმ დღეს ტანკთან მივედით სიტუაციის გასარკვევად.

ვხედავთ, რომ იქაურობას მოუახლოვდა ერთი ძველი, ჭაობისფერი „ჟიგული“ და იქიდან გადმოვიდა ჟიული შარტავა: ისიც თურმე ჩამოვლაზე იყო და საცეცხლე წერტილებს ამოწმებდა.

ჟიულიმ მაშინ მითხრა, რომ ვითარება ძალიან ცუდია და ხვალ აუცილებლად ჩამოდი სოხუმშიო. სამწუხაროდ, მეორე დილიდან სოხუმში შესვლა შეუძლებელი შეიქნა. ჩვენი იმ საღამოს შეხვედრა უკანასკნელი აღმოჩნდა.

**არაერთხელ გაკეთებული განმარტების მიუხედავად, დღესაც აქა-იქ კითხულობენ, თუ რატომ დარჩა ჟიული შარტავა სოხუმში. ჯერ ერთი, სოხუმში კი არ დარჩა, არამედ დაბრუნდა მინისტრთა საბჭოში, როგორც ყოველთვის, გადაუდებელი საქმეების მოსაგვარებლად და, რაც მთავარია, სოხუმის დაცვის უზრუნველსაყოფად, რაც, სამწუხაროდ, უკვე შეუძლებელი იყო.**

ამ დროისთვის ქალაქის ქართველი მოსახლეობის 70 პროცენტი დაბრუნებული იყო სოხუმში, რომელსაც აწესრიგებდნენ, ასუფთავებდნენ, შეძლებისამებრ ალამაზებდნენ. ხალხმა დაიჯერა, რომ მშვიდობის დრო დადგა და სწორედ მაშინ აიძაგრა, აბობოქრდა სეპარატისტული ძალები, შეუტია ქალაქს. ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქში მტრის პირისპირ დარჩა. ჟიულიმ თქვა, რომ ხალხს ვერ დავტოვებო, და გამოვიდა ზუსტად ისე, კაპიტანი ჩასაძირად განწირულ გემს ყველაზე ბოლოს რომ დატოვებს.

ან არ დატოვებს.

ჟიული დარჩა.

## «ამ დროისთვის ქალაქის ქართველი მოსახლეობის 70 პროცენტი დაბრუნებული იყო სოხუმში, რომელსაც აწესრიგებდნენ, ასუფთავებდნენ, შეძლებისამებრ ალამაზებდნენ. ხალხმა დაიჯერა, რომ მშვიდობის დრო დადგა და სწორედ მაშინ აიძაგრა, აბობოქრდა სეპარატისტული ძალები, შეუტია ქალაქს. ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქში მტრის პირისპირ დარჩა. ჟიულიმ თქვა, რომ ხალხს ვერ დავტოვებო, და გამოვიდა ზუსტად ისე, კაპიტანი ჩასაძირად განწირულ გემს ყველაზე ბოლოს რომ დატოვებს. ან არ დატოვებს. ჟიული დარჩა»



ჟიული, როცა მშვიდობა იყო



(მარცხნიდან პირველი) ჟიულის უკანასკნელი ფოტო



ლტოლვილები

ჩვენი სამხედროები ერთმანეთის მიყოლებით აშიშვლებდნენ ფრონტის ხაზს. „პატრიოტი“ ნოდარ ნათაძე და მისთანანი აგულიანებდნენ:

— გაიქეცით, გაიქეცით, აფხაზები მოდიან!

ყველაფერი იყო იმ ომში...

**— ჟიული შარტავა და მისი თანამებრძოლნი კი შეეწირნენ.**

— ახლა გეტყვით, ჩემი ვარაუდით, სად დახვრიტეს არაკაცებმა ჩვენი მამულიშვილები.

სოხუმის რაიონში, სოფელ აჩადარას მხარეს, გუდაუთისკენ მიმავალ გზაზე ააგეს 1989 წლის 9 აპრილს თბილისში, მთავრობის სახლის წინ, რუსთაველის პროსპექტზე დაღუპულთა მემორიალი. მაშინ პარტიის სოხუმის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი ვიყავი და ამ ინიციატივის განხორციელებისთვის ხელი არ შემიშლია: არც მომხრე ვიყავი, არც — მოწინააღმდეგე.

აჩადარაში სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა აფხაზი **ანატოლი ოტირბა**, ნორმალური ინტერნაციონალი, პოზიტიური ადამიანი. აფხაზი მოსახლეობის ნაწილს, ინტელიგენციას უმძიმეს მდგომარეობაში ჰყავდა ჩაგდებული ეს კაცი — რატომ დართე მემორიალის აგების ნებაო! სიცოცხლეს უმწარებდნენ, სისტემატურად, განუწყვეტლივ. ისეთ დღეში ჩააგდეს, რომ ეს ახალგაზრდა კაცი იძულებული გახდა, თავი მოეკლა.

აფხაზი სეპარატისტები ქართველებს ემუქრებოდნენ: ბართლომეს ღამეს მოგიწყობთ და ეს ადგილი (სადაც მემორიალი იდგა) თქვენთვის ყველაზე ტრაგიკულ ადგილად იქცევაო.

მინისტრთა საბჭოს შენობის წინ სეპარატისტებთან მოსალაპარაკებლად ჩასული ჟიული შარტავა და მისი თანამებრძოლნი დაატყვევეს, ორ მიკროავტობუსში ჩასვეს და სწორედ აქ მოიყვანეს, გამიზნულად — არაკაცური მუქარის აღსრულების მიზნით.

ცხედრები იქვე, სოხუმის შემოვლითი გზის დაუმთავრებელი მშენებლობის ორმოებში ჩაყარეს და მიწა გადააყარეს.

ერთადერთი კაცი გადარჩა — **იური გავა**, რომელიც პარტიის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგედ მუშაობდა. ვიღაცამ იცნო, ეტყობა, დახმარებია ოდესღაც, გამოათრიეს მანქანიდან, გაუშვეს. იური გავა ბორჯომელია, უკრაინელი. შემდეგ მოსკოვში ჩვენს წარმომადგენლობაში მუშაობდა *(დავუდასტურე — ვიცნობ, შევხვედრივარ-მეთქი. — ა.ს.).*

მანქანიდან სოხუმის სამშობიარო სახლთან, გელოვანის ქუჩაზე გადმოიყვანეს.

* * *

### ორიოდე სიტყვა რესპონდენტის შესახებ

ვასილი კადენეცი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, აფხაზეთის ომში კაზაკების შეიარაღებულ ფორმირებებს მონაწილეობა რომ არ მიეღოთ და სხვა დამსახურებათა გამო, რომელთა ჩამონათვალში განსაკუთრებით გამოყოფილი იყო მისი მაღალი, ეროვნული სულისკვეთება, დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს საბაჟო სისტემაში. აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ასარჩევი კანდიდატურების სიაში არ შეუყვანიათ — ეროვნული სულისკვეთება არ აქვსო. სიცრუეა! ეროვნულმა ხელისუფლებამ რეკომენდაცია გაუწია (ტელევიზიითაც გამოაცხადეს) ვინმე ვასილიევს, რომელიც მაიმუნსაშენის საცეცხლფარეშოს უფროსი იყო. ქართველმა დეპუტატებმა მას დაუჭირეს მხარი. არჩევის შემდეგ ვასილიევი მხოლოდ ერთ დღეს იჯდა ქართველ დეპუტატებთან, მეორე დღესვე აფხაზების მხარეს გადავიდა.

ვასილი კადენეცი საბაჟო სამსახურისა და კაზაკთა კავშირის გენერალია: არის საქართველოს კაზაკთა კავშირის უმაღლესი ატამანი, გენერალ-ლეიტენანტი. დაჯილდოვებულია კაზაკთა ორდენებით. არის კაზაკთა მსოფლიო საბჭოს წევრი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორია. ამჟამად პენსიონერია.

საინტერესო ბიოგრაფია აქვს ბატონ ვასილს. თუ საშუალება მოგვეცემა, ეგებ, მოვუთხროთ კიდეც ჩვენს მკითხველებს.

უზადო ქართულითა და მეგრულით მეტყველებს. წერს შესანიშნავ ლექსებს.

**არმაზ სანებლიძე**

## «ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ჩაეყარა საფუძველი მტრობის, დაპირისპირების შხამიან მარცვლებს, დაიწყო და გრძელდებოდა ბრძოლა სავარძლებისთვის, ყველას უნდოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა, მინისტრობა და ა.შ. ერთი სიტყვით, «თბილი ადგილისთვის» ბრძოლამ «აქტივისტებს» მოქალაქეობრივი მოვალეობა დაავიწყა»

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არ გეთაკილებათ ყურმოჭრილი ყმობა უცხოელი პატრონების, ხელის აღება საკუთარ ღირსებაზე? რანი ხართ? ვის სათამაშოდ და სამასხარაოდ გაიხადეთ თავი და გაწირეთ ქვეყანა? ქვევრები ხართ, რომლებსაც, რასაც ჩასძახებენ იმას რომ ამოგძახებს, თუ ადამიანები, რომელთათვისაც ღმერთს გონება და ჭკუა მოუცია, რათა ათჯერ გაზომოს და ერთხელ გამოსჭრას, მით უმეტეს იქ, სადაც საზოგადო საქმეა, ყველასათვის ერთნაირად საზრუნავი და გულშესატკივარი?!**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

სამწუხაროდ, დღეს პოლიტიკაში არიან ადამიანები, რომელთათვისაც „ყველა გზა კარგია, თუკი იმ გზით მიაღწევს ყველაზე ბინძურს, მაგრამ მისთვის საჭირო მიზანს". ხალხს კი პოლიტიკურ სარბიელზე ახალგამოჩენილთა ერთი შეხედვით უბრალო, გულზვავობას მოკლებულ დაპირებებში ყოველთვის ნაკლები ჭუჭყი და მეტი საღი აზრი ეგულება, ამიტომაც ტყუვდება ყოველი არჩევნების წინ და მის გულში ჯერ კიდევ მბჟუტავ იმედის ნაპერწკალს მოგიზგიზე კოცონად აქცევს. არჩევნების შემდგომ კი ამ კოცონისგან დარჩენილი ფერფლიც კი ქარს მიაქვს იმ იმედთან ერთად, რომელსაც წყალწაღებულივით ებღაუჭებოდა და მივიდა იქამდე, რომ უკვე აღარ გაბრიყვდება ვინმეს „პატრიოტული" პათოსით, ვერავინ მოატყუებს ფოჩიანი კანფეტებით...

საზოგადოებამ უკვე იცის, „დღეს ისეთი დღეა, რომ თვითეულს სიტყვას დიდის სიფრთხილით უნდა მოვექცეთ, და ვიდრე სხვისა თქმულს ბეჭდვით საჯაროდ განვიმეორებდეთ, ავწონდავწონოთ, რა თქმულა და როგორ თქმულა". დიახ, დღეს ისეთი დროა, რომ თითოეული ჩვენგანი განსაკუთრებით პასუხისმგებელია ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისი სიტყვითა და საქმით, ამიტომ არც ისე ადვილია, ვინმემ თავს რამე მოგვახვიოს.

განვლილმა წლებმა და თუნდაც ახლახან მიმდინარე მოვლენებმა დაადასტურა, რომ უკადრისის კადრება — სათაკილო და სამარცხვინო ამბები სახელს უტეხს არა მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებას, მის ადამიანობას, კაცურ-კაცობას, ჩირქს სცხებს არა მხოლოდ კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას, არამედ მთელ ქვეყანას. და, „არამცთუ დაჯერება ამ ამბებისა, გაგონებაც-კი გულს უკლავს ყოველ კაცს, ვისაც-კი გაუგია, რა არის გრძნობა ადამიანის ღირსებისა, თავის სიმაღლიდამ ძირს დაშვებული, დაცემული".

„ოცნების" ხელისუფლებამ ვერ გაუმართლა ხალხს იმედი, ვერ აუსრულა დანაპირები, როგორც დიდი ილია იტყოდა ასეთ შემთხვევაში, ვერ შეძლო „ყოველივე ღონისძიება ნამუსის და პატიოსნების სასწორზედ" აეწონა და, ვინც ულალატა „თავის კაცურ-კაცობას... საზოგადოებას, ქვეყანას, იგი მჩვარია და არა ადამიანი, თავისთავის პატრონი, თავის საკუთარი ღირსების მქონებელი, მომვლელი და დამცველი". საბედნიეროდ, „კაი-კაცობას, კეთილ-სინდისიანობას და პატიოსნებას, დიდს თუ პატარა-საქმეში, ჩვენშიაც პატივი და დიდება აქვს და ექნება".

1890 წელს ქუთაისის ბანკის საქმეზე ილია წერდა, რომ „ნაძირალათა გრძნობათა აშლა და ფეხის გადმოდგმა საზოგადო საქმის სარბიელზე პირქვე დასცემს ყველა კეთილსა და თავის ლამითა და შლამით წალეკავს ყოველსფერს, რასაც-კი მიეკარებაო". სწორედ მაშინ დადგა ერი ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე, როცა მსგავსმა ნაძირალებმა ხალხის სახელით გამოსვლა გაბედეს. ჩვენმა ხელისუფლებამ კი — ილიას გზას მივუყვებითო(?!). თუ მართლაც მიგაჩნიათ ერის მამა თქვენს მასწავლებლად, ისმინეთ მისი ერთი რჩევა მაინც: „თუ სამუდამოდ ჩვენი წახდენა, ჩვენი მიწასთან გასწორება არ გვინდა, ამ მხრით უნდა მოვუაროთ ჩვენს თავს, ამ ნაძირალთა გრძნობას გზა უნდა გადავუღობოთ, ვიდრე დროა, თორემ მერე გვიანღა იქნება: ჩვენი საზოგადოებური ღირსება ამ ნაძირალთა გრძნობის ლექ ქვეშ დაიმარხება და მერე მშვიდობით, ჩვენო იმედო, ჩვენო სასოებავ ხვალისავ!"

არ გეთაკილებათ ყურმოჭრილი ყმობა უცხოელი პატრონების, ხელის აღება საკუთარ ღირსებაზე? რანი ხართ? ვის სათამაშოდ და სამასხარაოდ გაიხადეთ თავი და გაწირეთ ქვეყანა? ქვევრები ხართ, რომლებსაც, რასაც ჩასძახებენ იმას რომ ამოგძახებს, თუ ადამიანები, რომელთათვისაც ღმერთს გონება და ჭკუა მოუცია, რათა ათჯერ გაზომოს და ერთხელ გამოსჭრას, მით უმეტეს იქ, სადაც საზოგადო საქმეა, ყველასათვის ერთნაირად საზრუნავი და გულშესატკივარი?!

ქვემოთ მკითხველს კვლავ ვთავაზობთ ილია ჭავჭავაძის ბრძნულ გამონათქვამებს, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა საკითხზე დაწერილი წერილებიდან თუ მხატვრული ნაწარმოებებიდან არის ამოკრებილი და საუკეთესო სახსარია „ამისთანა განსაცდელისაგან მშვიდობით გადარჩენისათვის", და რომელიც თითოეული ჩვენგანის ჭკუას, გონებას, ფიქრს, გრძნობას მიმართავს საქართველოს კეთილდღეობისკენ.

# «ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა»



„ვაი იმ ხალს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე" ხშირია, და „ჩვენ" — იშვიათი!"

**«როგორც ეტყობათ, ყველა სიკეთე საზოგადოებური, ყველა რიგი და წესი კაცად-კაცური, ყველა მართებულობა უსირცხვილოდ გაუწირავთ, რომ ფიცი, თუ აღთქმა არ გაუტეხონ თავის მბრძანებლებს და მით იმათს შეუწყნარებელს სამარცხვინო ქინს ყურმოჭრილ ყმასავით ემსახურონ. ნუთუ არავის ეთაკილება ეს ასეთი სათაკილო ყმობა, ასე ხელის-აღება საკუთარის თავის ღირსებაზე, ასე თავის ხელითვე გაქელვა და წაწყმედა თავის კაცურ-კაცობისა?!»**

* „სათნოება და დიდება, როცა და-ძმურად ერთად ვლიან, ყველა სხვა და-ძმობაზე უმაღლესნი, უტკბილესნი და უმშვენიერესნი და-ძმანი არიან, და ნეტარ არს იგი, ვისიც დიდება მხარს უმშვენებს სათნოებას და სათნოება — დიდებასა" *(„ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან", 1898 წ. 12 იანვარი).*

* „დღეს ისეთი დღეა, რომ თვითეულს სიტყვას დიდის სიფრთხილით უნდა მოვექცეთ, და ვიდრე სხვისა თქმულს ბეჭდვით საჯაროდ განვიმეორებდეთ, ავწონ-დავწონოთ, რა თქმულა და როგორ თქმულა. დღეს ისეთი დროა, რომ თვითეული ჩვენგანი უნდა განკითხულ იყოს და პასუხის მგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისის სიტყვისა და საქმისაებრ და არა იმისებრ, რასაც სხვანი ან დაუდევრობით, ან წინდაუხედაობით თავზე მოახვევენ" *(„წერილი რედაქციის მიმართ". 1905 წ. 9 მარტი).*

* „ჩვენ რა გადამხდელები ვართო გაზეთის ვალისაო, რომ უთქვამთ — ვერაფერი საბუთია. მაშ აღმართის მხვნელმა ძალამ რომ კაცი გასრისოს, შველა არ უნდა? ნუთუ ყოველი მოღვაწე ღვთის ანაბარად უნდა იყოს ჩვენში მიგდებული? ნუთუ არავის ქვეყნისათვის მოღვაწეს იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ფეხი წამასხლეტინონ, მოძმენი ხელს მაწვდიან და ფეხზედ დამაყენებენო? თუ ასეა, იყოს ნება მათი, ვინც შველაზედ უარს ამბობენ. ვალი ქართველიშვილმა გადაიხადოსო, — ნუთუ ზნეობითად ეს სამართლიანი საქმე იქნება? ქართველიშვილი აქ რა შუაშია? თქვენ ხომ ეს ამბავი კარგად მოგეხსენებათ". *(„წერილი დავით მესხისადმი". 1885 წ. 9 ოქტომბერი).*

* **„თქვენც უნდა კარგად იცოდეთ, რომ მე მეტისმეტად ძვირფასად მიმაჩნია ყოველი კაცის ღირსება და პატიოსნება და ნამეტნავად ჩემის კარგის ნაცნობისა. ამიტომაც მე ამაებში ყოველთვის ფრთხილი და მორიდებული ვარ და თავის დღეში არ ვიკადრებ, რომ ადამიანის პატიოსნება ჭორის სათამაშო ბურთად გავხადო"** *(„წერილი სოფრომ მგალობლიშვილისადმი". 1887 წ. 9 ივლისი).*

* „უფულობას რომ უჩივიან, განა ფული ამ ავზნეობას არ უფრთხის? ამ ყოვლად სახეირო და სასარგებლო საქმეს ფული განა არ მოედინებოდა, თუ რომ ავზნეობის შიში და რიდი არ ჰქონიყო?.. **ფული იმისთანა ბუნებისაა, რომ თვითონ თავისთავად მიიზიდება ხოლმე ამისთანა გამოსაჩენ საქმისაკენ, თუკი დაიმედებული იქნება, რომ პატიოსან კაცის ხელში ჩავარდება, საქმეს მოხმარდება და არა სიხარბეს და ანგარობას ავზნეობისას"**. *(„შავი-ქვის მრეწველობის მიმდინარე საქმეებზე". 1886 წ. 15 ოქტომბერი).*

* „ჭიდილიც არის და ჭიდილიც. ამ ჭიდილში ყოველივე ღონისძიება ნამუსის და პატიოსნების სასწორზედ უნდა აწონილ იყოს, უამისოდ ჭიდილი, — საზოგადო სარბიელია, თუ საცალკეო, — რყვნაა და არა წვრთნა ადამიანურ გრძნობისა, ღირსებისა და კაცურკაცობისა. ყოველივე მოთავე დასსა, ყოველივე ცალკე წევრი და მომხრე მისი, ყოველივე ეგრეთ წოდებული „კენჭოსანი" ამ სასწორით ხელში უნდა შედიოდეს კრებაში და ამ სასწორით მოქმედობდეს, არჩევანია, თუ სხვა საქმე რამ გასარჩევი და გადასაწყვეტი. ვინც ასე არ იქცევა, იგი ჰღალატობს თავის კაცურ-კაცობას, იგი ჰღალატობს კრებას, საზოგადოებას, ქვეყანას, იგი მჩვარია და არა ადამიანი, თავისთავის პატრონი, თავის საკუთარი ღირსების მქონებელი, მომვლელი და დამცველი" *(„ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 3 აგვისტო).*

* „აკი ვსთქვით, თუ ჩვენდა სამწუხაროდ, ასში ერთი მაინც მართალი გამოდგა იქიდამ, რასაც ჰლაპარაკობენ დღეს, უეჭველია დიდს საგონებელს და სანაღვლელს უნდა მივეცნეთ და ხვალინდელ უარესობის შიშმა უნდა შეგვაძრწუნოს" *(„ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 3 აგვისტო).*

* **„ნაძირალთა გრძნობათა აშლა და ფეხის გადმოდგმა საზოგადო საქმის სარბიელზე პირქვე დასცემს ყველა კეთილსა და თავის ლამითა და შლამით წალეკავს ყოველსფერს, რასაც-კი მიეკარება. თუ სამუდამოდ ჩვენი წახდენა, ჩვენი მიწასთან გასწორება არ გვინდა, ამ მხრით უნდა მოვუაროთ ჩვენს თავს, ამ ნაძირალთა გრძნობას გზა უნდა გადავუღობოთ, ვიდრე დროა, თორემ მერე გვიანღა იქნება: ჩვენი საზოგადოებური ღირსება ამ ნაძირალთა გრძნობის ლექ ქვეშ დაიმარხება და მერე მშვიდობით ჩვენო იმედო, ჩვენო სასოებავ ხვალისავ!"** *(„ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 3 აგვისტო).*

* „ჩვენ შორს ვართ, რასაკვირველია, იმისგან, რომ ამისთანა სათაკილო და სამარცხვინო საქციელი ან ერთ მხარეს, ან მეორეს თავზე მოვახვიოთ. ჩვენ, როგორც უკვე ვსთქვით, ამისათვის უტყუარი და უეჭველი საბუთი ხელთ არა გვაქვს, ცალიერის სიტყვისა და მითქმა-მოთქმის მეტი, და ცალიერი სიტყვა და მითქმა-მოთქმა ვერაფერი თამასუქია ამისთანა შემთხვევაში. ხოლო ამ მითქმა-მოთქმას ჩვენ ისე ვუყურებთ, როგორც მაგალითს იმისას, თუ რა სიფრთხილით, რა წინდახედულობით, რა სიწმინდით და სიფაქიზით უნდა გამოდიოდეს კაცი საზოგადო საქმეთა სარბიელზე სამოქმედოდ, რომ თვით პირგახეულმა ჭორმა და ნამუსზედ ხელაღებულმა მტრობამ ვერა იპოვნოს-რა ხელის მოსაჭიდებელი. **აქ მცირეოდენი ეჭვიც საკმარისია, რომ ჭორმა და მითქმა-მოთქმამ თავისი საზარელი და დაუნდობელი ქსელი გააბას, რაც გინდ კაცი მართალი იყოს, და ამით პირქვე დაამხოს არამცთუ ღირსება ადამიანისა, თვითონ იგი საქმეცა, რომლის სამსახურად კაცი მოედანს გამოსულა. ესეც კია: უცეცხლოდ ბოლი არ ავარდებაო, როგორც რუსები იტყვიან, და — ვინ იცის — იქნება არც გაუშლია მითქმამოთქმას ფრთა უმიზეზოდ. აი ეს არის სამწუხარო და სავალალო"** *(„ქუთაისის ბანკის საქმე". 1890 წ. 3 აგვისტო).*

* „იმედი გვაქვს, რომ, თუ რამ ამ მითქმა-მოთქმისა გამართლდა, იგინი სამართლიანის რისხვითა და წყრომით მსჯავრს დასდებენ იმას, ვისაც უკადრისობა უკადრნია, სათაკილო არ უთაკილნია და სამარცხვინო არ შერცხვენია. ჩვენა გვჯერა, რომ ქუთაისის ბანკის წევრნი ამ ამღვრეულს საქმეს დასწმენდენ და ქვეყნის წინაშე გამოვლენ იმ საქებურ სახელით, რომელსაც ჰნატრობს ჩვენთვის ყოველი ჩვენი კეთილისმყოფელი, და რომლის მაგალითიც არა ერთხელ უჩვენებიათ ჩვენთვის ჩვენს იმიერ მოძმეებსა, როცა ქვეყნისათვის ზრუნვას და გულისტკივილს თავისუფლად მისცემიან მათდამი უხვად მინიჭებულ მხურვალებითა და თავგამოდე-

„დღეს ისეთი დღეა, რომ თვითეულს სიტყვას დიდის სიფრთხილით უნდა მოვექცეთ, და ვიდრე სხვისა თქმულს ბეჭდვით საჯაროდ განვიმეორებდეთ, ავწონ-დავწონოთ, რა თქმულა და როგორ თქმულა. დღეს ისეთი დროა, რომ თვითეული ჩვენგანი უნდა განკითხულ იყოს და პასუხის მგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისის სიტყვისა და საქმისაებრ და არა იმისებრ, რასაც სხვანი ან დაუდევრობით, ან წინდაუხედაობით თავზე მოახვევენ“.

საკითხავი
აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბითა“. *(„ქუთაისის ბანკის საქმე“. 1890 წ. 3 აგვისტო).*

* „ბრალი ეხლა თანასწორად ყველას ედება და ყველამ უნდა იტვირთოს ის მძიმე პასუხისგება, თუ ვინიცობაა ამისთანა უწესობამ ბანკის საქმე პირქვე დაამხო. ეს პირქვე დამხობა ადვილად მოსალოდნელია, თუ რომ უკეთესმა ნაწილმა ბანკის საზოგადოებისამ მთელი თავისი მხნეობა არ იხმარა, მთელი გულწრფელი და უანგარო სიყვარული საქმისა არ მოიშველია, და ეს უკადრისი, უვარგისი „მეობა“ არ განდევნა ბანკის საქმეებისაგან და მარგებელი და პატიოსანი „ჩვენობა“, ეხლა ამ წინდაუხედავ „მეობისაგან“ მიწასთან გასწორებული, ფეხზე არ წამოაყენა მთელის მისის სახელითა და დიდებით. ყველამ უნდა დააჩუმოს თავზე ხელაღებული „მე“ საცა სასახელო და სადიდებელი „ჩვენ“ უნდა ჰღაღადებდეს. უამისოდ ეს ერთად-ერთი საზოგადო საქმე, რომელიც ქვეყნის სიყვარულმა შეჰქმნა ჩვენში და იმედი გვქონდა, რომ ქვეყნის სიყვარულივე ძუძუს მოაწოვებს და გაზრდისო, ჩვენივე ხელით სამარეს გაითხრის და ჩვენს სახელს შეაზარებს ჩვენთა შვილთა და მომდევართ“. *(„ქუთაისის ბანკის საქმე“. 1890 წ. 4 აგვისტო).*

* „ჩვენ გვსურს, რომ ამისთანა უწესობას შემდეგში მაინც ადგილი აღარა ჰქონდეს და მით მოქმედება კრებისა ყოველ ეჭვს გარეშე იყოს. უამისოდ ბანკის საქმეთა სვლა შეუძლებელია“. *(„ქუთაისის ბანკის საქმე“. 1890 წ. 4 აგვისტო).*

*** „აქ არის იგი ტკივილი, იგი იარა, იგი მუწუკი, რომელიც ზედ ააჩნდა მთელს ტანს ბანკისას და ჰლამის ბანკი თან გადაიტანოს, თუ თავის დროზე სიფრთხილით და გონებადადებით არ გამოირწყო და თუ ბანკის კეთილის მოსურნეთ არ გამოიჩინეს იგი მხნეობა და მედგრობა, რომელიც ერთადერთი სახსარია ამისთანა განსაცდელისაგან მშვიდობით გადარჩენისათვის“.** *(„ქუთაისის ბანკის საქმე“. 1890 წ. 4 აგვისტო).*

*** „შეყრილან საქმეთა გასარჩევად, მართალის გამოსარკვევად და არა-რა წესს და რიგს კი არ დაგიდევენ. არც პატივისცემა თვითონ კრებისა, არც თავმჯდომარისა, არც თვითეულ ცალკე წევრისა, არც კანონისა, არც მართებულობისა და რიგიანობისა, არც თავის-თავისა, ყველაფერი დავიწყებულია, ყველაფერი უარყოფილია და მარტო ჭვარტლმოკიდებული გული თვითნებობისა, ძალმომრეობისა, ჰღაღადებს და ამღვრეულს საქმეს უფრო ამღვრევს, ჰრყვნის და აწბილებს.** აუშვია ალვირი პირგახეულობას და არავის ნებას არ აძლევს სთქვას რამე, თვითონ კი ჰყვირის და ჰღრიალებს, „არ გვინდა, არ შეიძლება, ეხლავ კენჭი“, თითქოს საგიჟეთიდამ ეს ეს არის ეხლა გამოვარდნილა მარტო იმისათვის, რომ იყვიროს და იღრიალოს უთავბოლოდ. ვის სასარგებლოდაც ეს თავზე ხელაღებულობა დღეს ქუთაისის ბანკის კრებაში ასე კადნიერად და მოურიდებლად იბრძვის, იმას კარგი წამალი სცოდნია, რომ ზოგიერთთა მჭვარტლიანს გულში ასეთი ცეცხლი აუნთია ყოველ სამარცხვინო გრძნობის ასაფეთქად და არა სამარცხვინო ბოძზე გაკვრაა გამარჯვებულისა“. *(„ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო“. 1890 წ. 1 ნოემბერი).*

*** „განა მარტო ამ მიზეზის გამოწვევა საკმაო საბუთი არ არის, რომ მისი მომავლინებელი სამარცხვინო ბოძზე გააკრას კაცმა და სამართლიანის გულისწყრომით უთხრას: „შორს ჩვენგან! შენ არა ხარ ხორცი ხორცისა ჩვენისა და ძვალი ძვალისა ჩვენისა. შენ ჰღალატობ საზოგადო საქმეს, შენ ჰგმობ და აუპატიურებ ჩვენს ღირსებას, ჩვენს პატიოსნებას, გვარცხვენ შინაც და გარეთაც და ერთადერთს საზოგადო საქმეს ძირს შინაც და გარეთაც და ერთადერთს საზოგადო საქმეს ძირს უთხრი, პირქვე ამხობ, და ჩვენვე გვწურთნი ცდუნებით და მოტყუებით ჩვენისავე ხელით ყელი გამოვიჭრათ, შორს, შორს ჩვენგან!“** *(„ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო“. 1890 წ. 1 ნოემბერი).*

*** „ნუთუ ეს თავგასულები პირდაპირ არ სჩანან, და თუ სჩანან, როგორ არა ჰხედავენ ამათ ისინი, ვისაც თვალი აქვს ხედვად და ვინც ასე ბრმად მისცემიან ონბაზობას თავგასულობისას, რომელთაც, როგორც ეტყობათ, ყველა სიკეთე საზოგადოებური, ყველა რიგი და წესი კაცადკაცური, ყველა მართებულობა უსირცხვილოდ გაუწირავთ, რომ ფიცი, თუ აღთქმა არ გაუტეხონ თავის მბრძანებლებს და მით იმათს შეუწყნარებელს სამარცხვინო ჟინს ყურმოჭრილ ყმასავით ემსახურონ. ნუთუ არავის ეთაკილება ეს ასეთი სათაკილო ყმობა, ასე ხელის-აღება საკუთარის თავის ღირსებაზე, ასე თავის ხელითვე გაქელვა და წაწყმედა თავის კაცურ-კაცობისა!“** *(„ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო“. 1890 წ. 2 ნოემბერი).*

*** „რანი ვართ? ვის სათამაშოდ და სამასხარაოდ გაგვიხდია თავი? ქვევრები ვართ, რომელთა რასაც ჩასძახებენ, ის უნდა ამოიძახონ, თუ ადამიანები, რომელთათვისაც ღმერთს გონება და ჭკუა მოუცია, რომ ათჯერ ჰზომოს და ერთხელ გამოსჭრას, ნამეტნავად იქ, საცა საზოგადო საქმეა, ყველასათვის ერთნაირად საზრუნავი და გულშესატკივარი“** *(„ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო“. 1890 წ. 2 ნოემბერი).*

* „დაუმტკიცეთ სად არის მართალი და მტყუანი, და გვერწმუნეთ, მართალი იმოდენა მომხრეებს იშოვის, რომ ბურჯად შეექმნას ყოველ საზოგადო საქმეს. ამისი თავმდებია საზოგადოდ ადამიანის კეთილ-გონიერება, პატიოსნება და გულწრფელი სიყვარული საქმისა, ესე იგი, იგი საზოგადოებური და ადამიანური ღირსება, რომელსაც ყოველს საზოგადოებაში თავისი მომხრე, მიმდევარი და მცველი ჰყავს და ურომლისოდაც წარმოუდგენელია თვით კაცთა საზოგადოებაც“ *(„ქუთაისის ბანკის შესახებ“. 1893 წ. 3 დეკემბერი).*

*** „აქ, ჩვენის ფიქრით, დანაშაული ის გაიძვერაობა, ის ეშმაკური ოსტატობა, ის უკადრისი ღონისძიებაა, რომელსაც არა ჰთაკილობენ ჩვენში ისინი, ვისიც მრწამსი ის არის, რომ თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედ ნუ იქნებაო. ამ გაიძვერაობას, ამ ეშმაკობას უნდა ეწამლოს რამე, უნდა კრიჭა შეეკრას, უნდა კარი ამოეგულოს, რომ კარში ფეხი არ გამოდგას. ამას, ჩვენის ფიქრით, მთელის საზოგადოების თვალი და ხელი უფრო შესძლებს, ვიდრე სხვა რამე“** *(„ისევ ქუთაისის ბანკის შესახებ“. 1894 წ. 16 იანვარი).*



„ნუთუ ეს თავგასულები პირდაპირ არ სჩანან, და თუ სჩანან, როგორ არა ჰხედავენ ამათ ისინი, ვისაც თვალი აქვს ხედვად და ვინც ასე ბრმად მისცემიან ონბაზობას თავგასულობისას?“



„ნუთუ არავის ეთაკილება ეს ასეთი სათაკილო ყმობა, ასე ხელის-აღება საკუთარის თავის ღირსებაზე, ასე თავის ხელითვე გაქელვა და წაწყმედა თავის კაცურ-კაცობისა?!“

## «სათნოება და დიდება, როცა და-ძმურად ერთად ვლიან, ყველა სხვა და-ძმობაზე უმაღლესნი, უტკბილესნი და უმშვენიერესნი და-ძმანი არიან, და ნეტარ არს იგი, ვისიც დიდება მხარს უმშვენებს სათნოებას და სათნოება — დიდებასა»

* „თანასწორობა, რომელიც სულია და გული ყოველის წყობისა და ნამეტნავად თვითმმართველობისა. უამისოდ თვითმმართველობა უქმი სიტყვაა, უნაყოფო ხეა; უამისოდ სოფლის სამმართველო თავის-დღეში ვერ მოიპოვებს მცხოვრებთა თვალში იმ პატივს, რომელიც სანატრელია და ურომლისოდაც მისი წარმატება და სიკეთე შეუძლებელია“. *(„ცხოვრება და კანონი“. 1877-1881 წ.).*

* „ — მაშ გული ქვეყანაზედ აღარ არის?.. მოჰკვდა, გამოეცალა ადამიანს...

— გული... **გული, ესე იგი ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, მართლა რომ აღარ არის, ან არის და დამუნჯებულია, დაყრუებულია, თითქო იმათაც და ჩვენც მოგვკვდომოდეს, თუ მთლად არა, ერთი ნახევარი მაინც. ამ ცალთვალა და ცალყურა ნახევრით-ღა ვცხოვრობთ და ვკითხულობთ ერთმანეთს.** აქ ცდომა უეჭველია, იმიტომ რომ სწორედ ის თვალია დახუჭვილი, ის ყურია დახშული, რომელიც სჭრის სხვის ხედვად, სხვის სმენად. გული რა არის? მარტო ერთადერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზედ, გულიც არ იქნებოდა. გული მადლია, და მადლი მარტო ორ შუა ჰსაქმობს. ორნი მაინც უნდა იყვნენ, რომ მადლი მოჰხდეს, იმიტომ, რომ მადლი ერთისაგან გაწირვაა და მეორისაგან შეწირვა ერთსა და იმავე დროს. თუ ან გამწირველი არ არის, ან შემწირველი, მადლიც არ არის, მაშასადამე, გულიცა. თუ ორნი არ არიან, გულმა რისთვის ამოციქულოს ან ენა, ან თვალი, ან ყური. თავის თავთან მოციქული საჭირო არ არის, მოციქული სხვასთან უნდა. უსხვაიოდ ერთის გული მარტო პარკია, სისხლის აღებმიმცემი აგებულებისათვის. სად არის ის სხვა? წყალგალმაა, შორს... შორს... მაშ რაღად გიკვირს, რომ იქიდამ ვეღარა გვხედვენ, ჩვენი აღარა სჯერათ-რა... კეთილიც კი. მაგ ჯერვამ თვალი რას მოაბას, ფეხი სად მოიკიდოს? მკვდარს გულში? შეუძლებელია“. *(„ოთარაანთ ქვრივი“. 6 ქრისტეშობისთვეს 1887 წელსა).*

* „თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის“ *(„ზოგიერთი რამ“. 1866-1876 წ.).*

„ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის“.

„საერთო ლხინი მიჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის: ჩემი ლხინი შენი ლხინი არ არის, შენი ჭირი ჩემი ჭირი არ არის“.

„აბა დაიძახე: ქართველოთქო, თუ შავის ზღვიდან მოყოლებული კასპიის ზღვამდე

მარტო ლიპ-გადმოგდებულის ქართველის მეტმა (ე.ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო“.

„ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელი-ღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში, თუ ლხინში, ერთად ძმურად უწევნია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია, და რომელიც დღესაც ერთისა და იგივე ენით — თუ არაფერს აკეთებს — თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაცა და კაცთანაცა“.

„ვაი იმ ხალს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ — იშვიათი!“

„განვთითეულდით, ცალცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიჭერით, და მაგ განთვითეულებამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველსფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წკეპლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტვრევს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საერთო სახელი აღარ შეგვრჩებოდა, და აკი აღარ შეგვრჩა“.

**„რაკი ის დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდან გამოგვეცალა, ჩვენი გონება დაიფუყა, სულით და ხორცით დავკუწმაწდით. გონება ჩვენი, როგორც ყოველივე საგანი, რომელიც დაიფუყება, შეგვივიწროვდა, დაგვისუსტდა და, რასაკვირველია, ვეღარაფერს ფართოსა და დიდს აზრს ვეღარ დაიტევდა, და ვერ ზიდავდა... ამ მიზეზით ყოველივე აზრი, ფიქრი, სურვილი, გრძნობა დაგვინამცეცდა, გონებრივად, ზნეობითად დავპატარავდით.** მას აქეთ, რასაც კი ხელი მოვკიდეთ, ვეღარ მოვერივენით, რასაც კი გონების თვალით დავაკვირდით, გონებაში ვერ დავიტიეთ; ავიღეთ ყოველი იგი და დავანაკუწეთ, იმოდენა ნამცეცებად ვაქციეთ, რამოდენის ზიდვასაც თვითეულის ჩვენგანის ღონე შესძლებდა, რადგანაც მთელის ზიდვისათვის საერთო მხარი აღარა გვქონდა“.

„განვთვითეულდით, და რამდენადაც თვითეული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძლურია და პატარა, იმოდენად თვითეულის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძლურდა, დაპატარავდა“.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ავსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## რვა ქალმა ბრალი დასდო სცენარისტს სექსუალურ ძალადობაში

**ეს სცენარისტი მაქს ლენდისია, ფილმების: „საშინელებათა ოსტატების“, „ულტრაამერიკელების“, „ვიქტორ ფრანკენშტეინის“, „კაშკაშის“ სცენარების ავტორი. სწორედ ამ ცნობილ პიროვნებას უჩივლეს დედაკაცებმა, — იუწყება პორტალი Variety.**

ერთ-ერთმა დიაცმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ლენდისს სამართალდამცველებთან უჩივლა ჯერ კიდევ 2008 წელს. იგი ამტკიცებდა, რომ განიცადა „სექსუალური თავდასხმა“ მწერლის მხრიდან, როცა მთვრალი იყო. მეორე ქალიშვილი ყვებოდა, რომ ლენდისი მასზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდა მაშინ, როცა იგი სცენარისტთან გაყრას აპირებდა.

ახლახან „ლაიფი“ იუწყებოდა, რომ დააპატიმრეს ჰოლივუდის მსახიობი **კიუბ გუდინგი უმცროსი** ძალადობის ბრალდებით. განცხადებით მის წინააღმდეგ პოლიციას მიმართა 29 წლის ქალმა, რომლის კოცნასაც თურმე აპირებდა მსახიობი და ძუძუებზე ეფათურებოდა.



## რცხვენოდა და არ აცხადებდა

**ნიუ-იორკში გამართულ პრესკონფერენციაზე 51 წლის კინოვარსკვლავმა მირა სორვინომ (მიღებული აქვს „ოსკარის“ პრემია ფილმში „დიადი აფროდიტე“ მონაწილეობისთვის) პირველად საჯაროდ განაცხადა, როგორ მძიმედ გადაიტანა გაუპატიურების მცდელობა.**

სორვინოს თქმით, ინციდენტი 1995 წელს მოხდა. მას შინ ეწვია პროდიუსერი **ჰარვი ვაინშტეინი** და საწოლში მისი შეთრევა დაიწყო.

— საშინლად შემეშინდა, ჩემს ძაღლს ჩიხუახუას ხმალივით ვიქნევდი, თითქოს მას ჩემი შველა შეეძლო, იხსენებდა მსახიობი. ქალი გადაარჩინა ტყუილმა, თითქოს სადაცაა მისი საყვარელი უნდა მოსულიყო. ვაინშტეინი სასწრაფოდ გასცილდა იქაურობას.

კინომაგნატმა უარი არ აპატია ვარსკვლავს: ამ შემთხვევის შემდეგ მირას კარიერა უწინდებური წარმატებით აღარ განვითარებულა. სამაგიეროდ, პირადი ცხოვრება აწყობილი აქვს: 2004 წელს ცოლად გაჰყვა 37 წლის მსახიობ **კრისტოფერ ბაკუსს** („მენტალისტი“). მათ ოთხი შვილი ჰყავთ. ვაინშტეინის „თავდასხმაზე“ სორვინო აქამდე არაფერს ამბობდა, რადგან რცხვენოდა.



# ნეოლიბერალური ზნეობა

**არცთუ დიდი ხნის წინათ სოდომისტები ერთადერთი თავიანთი აღლუმის გამართვას ითხოვდნენ, ამჟამად კი უკვე აცხადებენ და აწყობენ კიდეც თავიანთი საზიზღარი და ღმერთის შეურაცხმყოფელი ბაქანალიების ერთთვიურს.**

ისრაელში 1 ივნისს დაიწყო და ერთ თვეს გაგრძელდა სექსუალური უმცირესობების „სიამაყის ერთთვიურის“ ღონისძიებები, რომლებიც ამ ქვეყნის 40 ქალაქში გაიმართა. 40 მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი საბჭოს ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ამ ბრძოლის მხარდაჭერის ერთობლივ დეკლარაციას.

პირველი „სიამაყის აღლუმი“ 31 მაისს ქალაქ კფარ-საბეში გაიმართა, მეორე — 6 ივნისს იერუსალიმში. ამ ერთთვიურის ცენტრალური ღონისძიება — თელ-ავივის გეიაღლუმი ჩატარდა 14 ივნისს, პარასკევს. ერთი კვირის შემდეგ 20 და 21 ივნისს საზეიმო სვლა მოეწყო ბეერ-შევესა და რიშონ ლე-ციონში, 28 ივნისს — ხაიფში, აშდოდში კი — 2 აგვისტოს.

ბოლო წლების მემარჯვენე მთავრობებმა გეიაღლუმები გამოიყენეს, როგორც ისრაელის საზოგადოების ტოლერანტობისა და ლიბერალურობის დამამტკიცებელი აქციები.

თელ-ავივის მერმა **რონ ჰულდაიმ** ქალაქში გამართული 21-ე „პრაიდი“ დაახასიათა,





## დაუსჯელი ბოროტება თავხედდება, ანუ წმინდა მიწის წაბილწვა



როგორც ყველაზე დიდი ღონისძიება ახლო აღმოსავლეთში. იგი ჩატარდა ლოზუნგით „ბრძოლა თანაბარუფლებიანობისთვის“. „პრაიდის“ კოლონაში შენიშნეს იუსტიციის მინისტრი **ამირ ოჰანი** — პირველი აშკარა გეი ისრაელის ქნესეტში. მასთან ერთად, რა თქმა უნდა, მისი სექსპარტნიორი პედერასტი მიაბიჯებდა. ქალაქის მერმა ჰულდაიმ გახსნისას განაცხადა: „ჩვენ კიდევ ბევრი რამის გაკეთება მოგვიწევს და არ გავჩერდებით, სანამ სახელმწიფოში სრულ თანასწორობას არ მივაღწევთ“.

ნუთუ მოსემ 40 წელიწადი ებრაელები უდაბნოში იმიტომ ატარა, რომ XXI საუკუნეში გაპედერასტებულ „აღთქმულ ქვეყანაში“ ეცხოვრათ?!





# მსოფლიო ელიტა სოდომიას ნერგავს

**ბრიტანეთის პრინცმა უილიამმა განაცხადა, რომ მას არ ეწყინება, თუ მის შვილთაგან რომელიმეს ჰომოსექსუალური ორიენტაცია აღმოაჩნდება, — იუწყება Daily Mirror.**

ეს აღიარება გაჟღერდა მაშინ, როცა პრინცი ესტუმრა ალბერტ კენედის მოწყალების ფონდს, რომელიც უსახლკაროდ დარჩენილ ახალგაზრდა ლგბტ-ებს ეხმარება. „მე ამაზე დავფიქრდი, როცა მამა გავხდი, — განაცხადა მან, — ასეთი პერსპექტივა მაშფოთებს, მაგრამ **არა იმიტომ, რომ ისინი შეიძლება ჰომოსექსუალები იყვნენ,** არამედ იმ ზემოქმედების გამო, რომელიც მათ ელოდება იმ პოზიციის გამო, რომელიც ჩვენ გვაქვს.

უილიამმა თქვა, რომ მხარს დაუჭერს ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელსაც მისი შვილები მიიღებენ. „მე ის მაწუხებს, როგორ აღიქვამენ სხვები, როგორი რეაქცია იქნება და როგორი ზემოქმედება ელოდება მათ“, განმარტა მან.

პრინც უილიამსს სამი შვილი ჰყავს: ხუთი წლის **ჯორჯი,** ოთხის **შარლოტა** და ერთი წლის **ლუი.** კემბრიჯის ჰერცოგს ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეების რიგში მამამისის, დედოფალ ელიზაბეტას შვილის, პრინც ჩარლზის შემდეგ მეორე ადგილი უკავია.

2017 წელს იუწყებოდნენ, რომ გლაზგოს წმინდა მარიამის ეკლესიის მღვდელმსახური **კელვინ ჰოდსვორსი** ქრისტიანებს მოუწოდებდა, ელოცათ, რათა პრინც უილიამის ვაჟი — პრინცი ჯორჯი გეი აღმოჩენილიყო.

„ღვთისმსახურის“ აზრით, მხოლოდ ეს ფაქტი აიძულებს ანგლიკანურ „ეკლესიას“, აღიაროს ერთნაირ სქესიანთა ქორწინება. „(საჭიროა) ილოცოთ, რომ პრინც ჯორჯს ეწვიოს ახალგაზრდა ლამაზი კაცისადმი სიყვარულის მადლი“, — დაწერა აქტივისტმა თავის ფურცელზე ერთ-ერთ სოცქსელში.



სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტურნირი არც ისე კარგი გამოვიდა — ცუდი ორგანიზებულობა, ცუდი მინდვრები, ხშირად არაადეკვატური მსაჯები, ძვირი ბილეთები და დაბალი დასწრება. რაც შეეხება დადებით მხარეს, ჩემპიონატზე ვნახეთ ძლიერი ბრაზილია, კარგად გაწვრთნილი ურუგვაი და კოლუმბია და პოტენციურად ძლიერი არგენტინა, რომელიც ცოტა ხანში, უკვე 2020 წლის „კოპა ამერიკაზე“ კარგად უნდა ათამაშდეს.**

# «კოპა ამერიკა 2019» — წარმატებულები და წარუმატებლები

**14 ივნისიდან 7 ივლისის ჩათვლით ბრაზილიის 5 ქალაქში სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის (კონმებოლი) ეგიდით ჩატარდა სამხრეთ ამერიკის თასის 46-ე გათამაშება (გათამაშება დაარსდა 1916 წელს, როგორც სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი; 1975 წელს, რეორგანიზაციის შემდეგ, ეწოდა ამერიკის თასი — „კოპა ამერიკა“).**






ტურნირში მონაწილეობდა სამხრეთ ამერიკის 10 ქვეყნის — არგენტინის, ბრაზილიის, ურუგვაის, პარაგვაის, ჩილეს, ვენესუელის, კოლუმბიის, ბოლივიის, პერუსა და ეკვადორის, და აზიიდან მიწვეული ორი ქვეყნის — იაპონიისა და ყატარის — ნაკრებები. თასის გათამაშებაში გაიმარჯვა ბრაზილიის ნაკრებმა, რომელმაც ბოლო 12 წლის განმავლობაში პირველად მოიგო ამერიკის თასი, სულ კი მეცხრედ ისტორიაში, ბრაზილიელებმა ფინალში დაამარცხეს პერუ — 3:1. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი არგენტინამ ჩილეს მოუგო 2:1.

## 5 ჩემპიონი

ბრაზილიამ ისე კარგად ითამაშა, რომ სიმბოლურ ნაკრებში მისი, სულ ცოტა, 5 ფეხბურთელი მოხვდებოდა.

**დანი ალვესი**

ნაკრების ვეტერანი „კოპა ამერიკა 2016“-ზე საუკეთესოთა შორის მოხვდა, ასე იყო ამ ჩემპიონატზეც. მან ტურნირის MVP-ის (ყველაზე ღირებული მოთამაშის) ტიტული დაიმსახურა. 36 წლის ალვესმა განსაკუთრებით კარგად არგენტინასთან ითამაშა.

**გაბრიელ ჟესუსი**

ჟესუსი ბრაზილიის მთავარი მწვრთნელის, **ტიტეს,** საყვარელი ფეხბურთელია. ის შესანიშნავად გამოიყურებოდა ტურნირის ყველა მატჩში, ნახევარფინალსა და ფინალში თითო-თითო გოლი გაიტანა.

**რობერტო ფირმანო**

ფირმანო არ არის ეგოისტი თავდამსხმელი და, ბრაზილიური გაგებით, მომართული არ არის მეტოქის კარში ბურთების გასატანად; სამაგიეროდ იცის, როგორ განახორციელოს პრესინგი მოწინააღმდეგის მცველების მიმართ და ხელი შეუწყოს თანაგუნდელებს.

ფირმანომ ტურნირზე საგოლე პასი მეტი გააკეთა, ვიდრე ბურთი გაიტანა (3 პასი და 2 გოლი). ის იდეალური გუნდური მოთამაშეა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში.

**არტური**

ბრაზილიის ნაკრებს, კარგა ხანია, არ ჰყოლია ისეთი მოთამაშე, რომელიც ასე ოსტატურად გააკონტროლებდა ბურთს (საშუალოდ მატჩში აკეთებდა 75 გადაცემას 90,5%-იანი სიზუსტით). აღსანიშნავია, რომ ეს 22 წლის ფეხბურთელი „ბარსელონას“ ნახევარმცველია.

**ალისონი**

ამ სეზონში ალისონმა ძალიან ცოტა ბურთი გაუშვა როგორც კლუბში („ლივერპული“), ისე ნაკრებში. მიუხედავად იმისა, რომ მცველები მის კართან მეტოქის თავდამსხმელებს თითქმის არ უშვებდნენ, ალისონმა თავი მაინც გამოიჩინა პენალტების სერიაში პარაგვაის წინააღმდეგ და მოიგერია მესის რთული დარტყმა.

## 5 აღმოჩენა

**ევერტონ სოარესი (ბრაზილია)**

ძნელია, აღმოჩენა დაარქვა 23 წლის ევერტონს, რომელსაც ბრაზილიური „გრემიოს“ შემადგენლობაში 230 მატჩი აქვს ჩატარებული, მაგრამ ეს ასეა. გასული სეზონში ბრაზილიის საუკეთესო ფეხბურთელმა შანსი ხელიდან არ გაუშვა, ნაკრებშიც ეპოვა თავისი ადგილი. მან პერუელ **პაულო გერეროსთან** ერთად ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიპოვა.

**ერიკ პულგარი (ჩილე)**

პულგარი ჩილეს ნაკრებში გამოჩნდა **მარსელო დიასის** ნაცვლად, რომელიც სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი გუნდის ძირითადი მოთამაშე იყო. პულგარი დიასისგან განსხვავდება იმით, რომ შესანიშნავად მოქმედებს მოწინააღმდეგის შეტევის ჩასაშლელად, აზღვევს პარტნიორებს და შემოქმედებითი მოქმედების საშუალებას აძლევს მათ.

**ლაუტარო მარტინესი (არგენტინა)**

ლაუტარო ყველაზე სასარგებლო მოთამაშე იყო თავის გუნდში — გაიტანა ორი ბურთი ძალიან მნიშვნელოვან მატჩებში. „ინტერას“ თავდამსხმელი არ აფუჭებს ბევრ მომენტს მატჩის მიმდინარეობისას. ლაუტაროსა და მესის შორის გაჩნდა ურთიერთკავშირი, რომელმაც მომავალში კარგი შედეგი უნდა მოიტანოს.

**ვილიამ ტესილიო (კოლუმბია)**

ამ 29 წლის მცველმა შესანიშნავად ითამაშა არგენტინისა და ყატარის ნაკრებების წინააღმდეგ. ხშირად ერთვებოდა შეტევაში, დაცვაში კი საიმედო იყო. ჩილელებთან მთლად კარგად ვერ ითამაშა, მაგრამ, საერთოდ, კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**მიგელ ალმირონი (პარაგვაი)**

ალმირონი ნაკრებში ახალბედა არ არის — უკვე თითქმის ორი ათეული მატჩი ჩაატარა, მაგრამ „კოპა ამერიკაზე“ გუნდის ლიდერად და მთავარ შემტევ ძალად წარმოგვიდგა. მისი გასვლა მარცხენა ფლანგზე არგენტინის ნაკრებთან ტურნირის საუკეთესო მომენტებს შორისაა.

## 5 დამარცხებული

ამ სიაში მოხვდნენ ფეხბურთელები, რომლებისთვისაც ჩემპიონატი კარგად არ წარიმართა.

**გაბრიელ არიასი (ჩილე)**

ჩილეს ნაკრების მეკარე „კოპა ამერიკის“ ერთ-ერთი ცუდი თუ ყველაზე ცუდი მოთამაშეა. უნიჭოდ ითამაშა პერუსთან მატჩის პირველი ტაიმი და მეორე გოლი მიიღო საკუთარ კარში. ცუდად ითამაშა მან არგენტინასთანაც — გუნდი გოლებს ვერ გადაარჩინა.

**ლიონელ მესი (არგენტინა)**

მესის ცუდად არ უთამაშია, მან ყველაზე მეტი წარმატებული დრიბლინგი შეასრულა, მაგრამ ისეთ სუპერვარსკვლავს, როგორიც მესია, ასეთი თამაში არ ეკადრებოდა. ის პრაქტიკულად არ ასრულებდა დაცვით ფუნქციებს, არ


ლაუტარო მარტინესი

მონაწილეობდა პრესინგში, ცდილობდა მხოლოდ ცენტრიდან, 2-3 მოთამაშის გვერდის ავლით, შესულიყო მეტოქის საჯარიმო მოედანზე.

**დერლის გონსალესი (პარაგვაი)**

დერლისთვის ეს ყველაზე საშინელი ტურნირი იყო. მიუხედავად იმისა, რომ გოლი გაიტანა, პენალტები ძალიან ცუდად დაარტყა ჯერ არგენტინასთან, შემდეგ პელანტების სერიაში — ბრაზილიასთან. მას შეეძლო, ეს ორი გუნდი ჩემპიონატიდან გაეგდო, მაგრამ, ნაცვლად ამისა, თვითონ გაემგზავრა შინ.

**რადამელ ფალკაო (კოლუმბია)**

ფალკოსგან ფეერიულ თამაშს არ ელოდნენ. ასეთი მოლოდინი იყო 2011 წელს, როდესაც მან ვილაშ-ბოაშის „პორტუსთან“ ერთად შესანიშნავად ითამაშა ევროპაში და „კოპა ამერიკაზე“ ერთ-ერთ ვარსკვლავად წარდგა, მაგრამ როგორც მაშინ, ისე ახლა, ძალიან ცუდად ითამაშა.

**ჟოზეფ მარტინესი (ვენესუელა)**

მარტინესმა თითქმის მთელი ტურნირი გაატარა სათადარიგოთა სკამზე (3 მატჩში მოლოდ 40 წუთი ითამაშა). არადა, მისი სტატისტიკური მონაცემები ამერიკის პროფესიულ საფეხბურთო ლიგაში (MLS) განსაცვიფრებელია.

## შედეგები

ტურნირი არც ისე კარგი გამოვიდა — ცუდი ორგანიზებულობა, ცუდი მინდვრები, ხშირად არაადეკვატური მსაჯები, ძვირი ბილეთები და დაბალი დასწრება. რაც შეეხება დადებით მხარეს, ჩემპიონატზე ვნახეთ ძლიერი ბრაზილია, კარგად გაწვრთნილი ურუგვაი და კოლუმბია და პოტენციურად ძლიერი არგენტინა, რომელიც ცოტა ხანში, უკვე 2020 წლის „კოპა ამერიკაზე“ კარგად უნდა ათამაშდეს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**


დანი ალვესი


გაბრიელ ჟესუსი


რობერტო ფირმანო


ევერტონ სოარესი


არტური

# საფრანგეთში ქრისტიანულ ძეგლებზე თავდასხმა გახშირდა



საფრანგეთის პოლიციამ 2018 წელს კათოლიკურ ძეგლებზე, უმეტესად კი ტაძრებსა და სასაფლაოებზე, ქურდობის 129, ხოლო ვანდალიზმის 877 შემთხვევა აღრიცხა. ტენდენცია მიმდინარე წელსაც გრძელდება. ფრანგი ეპისკოპოსების ასოციაცია იუწყება, რომ 2019 წლის მხოლოდ პირველ სამ თვეში საფრანგეთში ანტიქრისტიანული ძალადობრივი აქტის 228 შემთხვევა აღირიცხა ქვეყნის 45 რეგიონში.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2008-2019 წლებში ქრისტიანულ ძეგლებზე თავდასხმები გაოთხმაგდა.

საფრანგეთის გარდა, სადაც ყველაზე მეტი თავდასხმა ხდება, ქრისტიანულ ძეგლებზე ქურდობისა და ვანდალიზმის შემთხვევებმა ევროპის მასშტაბით მოიმატა. ვენაში მდებარე „ქრისტიანების წინააღმდეგ მიმართული შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ობსერვატორიამ“ 2017 წელს ევროპაში 275 ანტიქრისტიანული ინციდენტი აღრიცხა, რაც გაცილებით მეტია წინა წლებთან შედარებით.

# საქართველოში საარსებო მინიმუმი 2 ლარით შემცირდა



**2019 წლის ივნისში, წინა თვესთან შედარებით, საარსებო მინიმუმი 2 ლარით შემცირდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ივნისში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 188.1 ლარს შეადგენდა, მაშინ, როცა მაისში ეს მაჩვენებელი 190.1 ლარი იყო.**

საქსტატის მონაცემებით, მაისთან შედარებით, ივნისში 1.8 ლარით შემცირდა საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი და 166.6 ლარი შეადგინა, 3.4 ლარით შემცირდა საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმიც და 315.5 ლარი გახდა. აღსანიშნავია, რომ საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი 2018 წლის ივნისის მონაცემთან შედარებით 25.3 ლარით არის გაზრდილი.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# «კიდევ მილიონობით მიგრანტი ჩამოვა, ჩვენი ვალია, დავიცვათ ჩვენი ხალხი»



**უნგრეთის პრემიერმინისტრი ვიქტორ ორბანი ვარაუდობს, რომ მიგრაციის კრიზისი გრძელვადიანი ფენომენია და ევროპის ქვეყნები მზად უნდა იყვნენ ევროკავშირის შეცდომების გამოსასწორებლად.**

უნგრეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ბრიუსელმა ბევრი შეცდომა დაუშვა. მისივე თქმით, მიგრაციის კრიზისის დაძლევამდე ჯერ კიდევ შორია და მიგრაციის წნეხი მომავალ ათწლეულებში კიდევ უფრო გაიზრდება.

**„ევროპის მოსახლეობა მცირდება, საპირისპირო მდგომარეობაა აზიასა და აფრიკაში. ეს სიტუაცია სასაზღვრო კონტროლის უფრო ძლიერ სისტემას საჭიროებს. მილიონობით მიგრანტი კიდევ ჩამოვა და ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა ჩვენი ხალხის დაცვა იქნება. ევროპელ პოლიტიკოსებს იმიგრაციის ლეგალიზება სურთ, ფიქრობენ, რომ ეს სწორი გამოსავალია. ჩვენ ამას სხვანაირად ვხედავთ. კითხვა კვლავ რჩება: როგორ გამოვიყენებთ გამოყოფილ ბიუჯეტს? როდის გააანალიზებენ ევროპული პარტიები, რომ მიგრაციის მხარდაჭერას უფრო მეტი უარყოფითი მხარე აქვს, ვიდრე სარგებელი?“** — აღნიშნა ორბანმა.




# სკოლებში იაკობ გოგებაშვილის «დედა ენა» დაბრუნდება

**სექტემბრიდან ქართულ სკოლებში დაბრუნდება იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, — განაცხადა საქართველოს პრემიერმინისტრმა მამუკა ბახტაძემ. მისივე თქმით, პირველკლასელები სახელმძღვანელოს უფასოდ მიიღებენ.**

„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი და განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც შეძლო, რომ ქართულ სკოლაში „დედა ენა“ დაგვებრუნებინა. სექტემბრიდან ყველა პირველკლასელი უფასოდ მიიღებს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ და დარწმუნებული ვარ, ჩვენი ბავშვები, როგორც მომავალი თაობები შემდეგი საუკუნეების განმავლობაში, ისევე შეიყვარებენ „დედა ენას“, როგორც უყვარდათ ჩვენს წინა თაობებს და გვიყვარს ჩვენ“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ, რომელიც სოფელ ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში იმყოფებოდა.




ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

# რა სარგებელს მოუტანს დედამიწას 1.3 ტრილიონი ხის დარგვა



**თუ კაცობრიობა უახლოეს წლებში მასობრივად დაიწყებს ხეების დარგვას, ატმოსფეროდან უდიდესი რაოდენობით სითბური აირის გადინებას შეუწყობს ხელს. საუბარია 4.4 მილიარდ ჰექტარზე 1.3 ტრილიონი ხის დარგვაზე, — იუწყება ჟურნალი Science.** ციურიხის უნივერსიტეტის მეცნიერმა **ტომას კრაუტერმა** და მისმა კოლეგებმა განაცხადეს, რომ 1.3 ტრილიონი ხის დარგვის შემთხვევაში, 10 წლის განმავლობაში იქნება შესაძლებელი ატმოსფეროში არსებული ნახშირორჟანგის გაუვნებელყოფა. თუმცა პრობლემა ის არის, რომ დედამიწაზე ხეების მასობრივად დარგვისთვის თავისუფალი ადგილები არც ისე ბევრია, ვინაიდან მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რაოდენობის ზრდასაც გულისხმობს.

თუკი პლანეტაზე არსებულ მიწებს გამოვაკლებთ დასახლებულ ადგილებს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებსა და ტყეებს, ხეების დარგვისთვის დაახლოებით 1 მილიარდ ჰექტარზე ნაკლები ფართობი რჩება.

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009